ყოველდღიური ფასიანი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 9 თებერვალი, 2010 №32 (5108) ფასი: 30 თეთრი

რის თქმა სურს ცაგარეიშვილს პრეზიდენტისთვის?

გვ.5

დეპუტატი 5-წუთიანი სიტყვით გამოსვლას მოითხოვს

40 ათასი პოლიციელი უმუშევარი დარჩება

ამ ადამიანების გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად ფინანსური სახსრების უქონლობა სახელდება, რეალურად კი მათი გათავისუფლების მიზეზი ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ მათი ნეიტრალური დამოკიდებულებაა

გვ.2

რა დოკუმენტები მისცა პუტინმა ნოლაიდელს

გვ.2

ყოფილი პრემიერი ედპ-მ მოღალატედ გამოაცხადა

შსს 40 ათასი პოლიციელის სამსახურიდან გათავისუფლებას უარყოფს

გვ.6

სააკაშვილი ოპოზიციას თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეს

გვ.3

პოლიტიკურ თავშესაფარს გვ.4 არ ვითხოვ

ეფხაზეთი სომხებს გვ.6 დარჩათ?!

რევოლუცია მხოლოდ გვ.3 დროშების ქნევა არ არის

ხელისუფლება გაყალბებას ოპოზიციის ხელით აკანონებს

გვ.5

რაზე ისაუბრეს ალასანიამ გვ.4 და ლავროვმა

3090

sms განცხადებები ახალი თაობაში

გვ.4

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

3 პატრიარქმა მიუნხენში გეგმური მკურნალობის კურსი დაასრულა

6 საქალაქო სასამართლომ ნინო ბურჯანაძის სარჩელი არ დააკმაყოფილა

2 ლეიბორისტები შეიძლება პარლამენტში გამოჩნდნენ

6 ქობა დავითაშვილი მცირე მეწარმეთა ინტერესების დაცვას განაგრძობს

ლეიბორისტები შეიძლება პარლამენტში გამოჩნდნენ

ნანა მელაშვილი

ლეიბორისტებმა პარლამენტს საკუთარი კანონპროექტები წარუდგინეს. სამი კანონპროექტი, რომელიც ერთ პაკეტად არის დაფიქსირებული, გუშინ ბიუროზე მსჯელობის საგანი გახდა.

ამ სამი კანონპროექტის ინიციატორები არიან: შალვა ნათელაშვილი, იოსებ შატბერაშვილი, კახა ძაგანია და გიორგი გუგავა. ოთხივე მათგანი პარლამენტის წევრია, თუმცა, ისინი პარლამენტის სხდომებს პროტესტის ნიშნად არ ესწრებიან.

ლეიბორისტების მიერ მომზადებულ საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით გუშინ ბიუროზე განმარტება გააკეთა საოროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ხათუნა გოგორიშვილმა. მისი თქმით, ეს კანონპროექტები სამი დამოუკიდებელი კანონპროექტია და ისინი ერთ პაკეტში არ უნდა იხილებოდეს.

პარლამენტის თავმჯდომარე კომიტეტის თავმჯდომარეს დაეთანხმა, რომ სამივე კანონპროექტი ცალ-ცალკე ინიციატივებად განიხილონ.

— არანაირი ხელისშეშლა არ მოხდება და კანონპროექტების განხილვა დაიწყება, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

ბიუროს სხდომის შემდეგ ერთ-ერთმა დეპუტატმა იხუმრა: მაინტერესებს, კანონპროექტებს სხდომაზე რომელი ლეიბორისტი წარმოადგენს.

აქამდე ლეიბორისტები არც ერთ სხდომას არ დასწრებიან, ამიტომ ზოგიერთს აინტერესებს, საკუთარი კანონპროექტების განხილვას დაესწრებიან თუ არა ისინი. ვინ წარმოადგენს სამ კანონპროექტს კომიტეტის ან პარლამენტის სხდომაზე, ეს ჯერ გარკვეული არ არის.

რაც შეეხება თავად კანონპროექტებს, ისინი სხვადასხვა საკითხს შეეხება. ერთი კანონპროექტი შეეხება „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებებს, მეორე — „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონში ცვლილებებსა და დამატებებს, მესამე კი — „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებებსა და დამატებებს.

ლეიბორისტების მიერ მომზადებული „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონში ცვლილებები პენსიის დანიშვნის საკითხებს შეეხება. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, პენსიის დანიშვნის საფუძვლად განისაზღვრება საპენსიო ასაკის — 60 წლის მიღწევა (65 წლის ნაცვლად), ხოლო ქალებისთვის 55 წლის მიღწევა (60 წლის ნაცვლად). ამასთან საპენსიო ასაკის მიღწევის გამო, პენსიის ოდენობა განისაზღვრება კანონით დადგენილი პენსიის მინიმალური ოდენობისა და ნამსახურობის თითო წელზე ერთი ლარის დანამატის ჯამით.

ლეიბორისტების მიერ მომზადებული კანონპროექტი თუ გავიდა, მაშინ ქალების საპენსიო ასაკი 55 წლით განისაზღვრება, ხოლო მამაკაცების — 60 წლით. სანამ ლეიბორისტების მიერ მომზადებული კანონპროექტი კანონად იქცევა, ამისთვის გარკვეული პროცედურების გავლაა საჭირო. საკითხი განსახილველად შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე უნდა გავიდეს, შემდეგ კი პარლამენტის სხდომაზე.

ლეიბორისტების მიერ მომზადებული კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას საპარლამენტო უმრავლესობა დაუჭერს მხარს. მას შემდეგ, რაც ამ საკითხის კომიტეტის სხდომაზე განხილვა მოხდება, გაირკვევა, როგორია უმრავლესობის წევრების მოსაზრებები.

მართალია ლეიბორისტების კანონპროექტების განხილვა საგაზაფხულო სესიის პირველსავე სხდომაზე არ მოხდება, მაგრამ სესიის გახსნას ლეიბორისტები კანონპროექტებით „შეიარაღებული“ დახვდებიან.

მათ საკანონმდებლო ორგანოში „ანონიმოფობიტს“

40 ათასი პოლიციელი უმუშევარი დარჩება

შორენა ოქროპირიძე

ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას პოლიციელების პოლიტიკური ნიშნით დევნაში ადანაშაულებს და ამ მხრივ დღემდე გაუმამყარებელ ინფორმაციას აბმაურებს.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელების მტკიცებით, ლეიბორისტული პარტიას აქვს ინფორმაცია, რომ უახლოეს დღეებში 40 000-მდე პოლიციელს სამსახურიდან დაითხოვენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა პრესკონფერენცია გამართა.

— გვაქვს ინფორმაცია, რომ უახლოეს დღეებში იეგეგმება 40 000-მდე პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნა. ამ ადამიანების გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად ფინანსური სახსრების უქონლობა სახელდება, რეალურად კი მათი გათავისუფლების მიზეზი ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ მათი ნეიტრალური დამოკიდებულებაა, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივნის განცხადებით, იმ ფონზე, როცა საპატრულო პოლიციის 40 000-მდე თანამშრომელს სამსახურიდან უშვებენ, სულ უფრო აძლიერებენ „სოდს“ და „კუდს“, რომლებიც ყოველთვის უშუალოდ ხელისუფლებაში ნამყოფი პირების დაკვეთით მოქმედებენ.

ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას მოუწოდებს, აუცილებლად შეცვალოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ პოლიციელების უფლებების დასაცავად ბრძოლას გააგრძელებს.

რა დოკუმენტები მისცა პუტინმა ნოლაიდელს

თეა სარიანიძე

ყოფილ პრემიერ-მინისტრს ან ძალიან მაგარი კომპრომატები აქვს, ანდა შარს ეძებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასე ღიად და ხშირად არ იკლიდა რუსეთის დედაქალაქში. მარტო რომ ეკლო და წითელი მოედანი დაეთვალიერებინა, კიდევ არავინ არაფერს იტყოდა. ეგ კი ადგა და პირდაპირ პუტინს შეუგარდა კაბინეტში. დღეს პუტინის პარტიასთან ოფიციალურ შეთანხმებას გააფორმებს.

სწორედ ამ ხელშეკრულების გასაფორმებლად ჩაფრინდა ექსპრემიერი გუშინ დილით მოსკოვში. მოსკოვამდე მან გერმანია, კერძოდ კი, მიუნხენი მოინახულა, სადაც ტიტულოვანი „ბაიერნის“ სანახავად სულაც არ ჩასულა. როგორც მის პარტიაში ამბობენ, იქ მან მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა.

მნიშვნელოვანი იყო თუ არა ეს შეხვედრები, ვერაფერს მოგახსენებთ. ფაქტი ისაა, რომ ამის გამო მას ვერავინ გამოუდავა. პრინციპში, როგორ უნდა გამოსდავებოდნენ, როცა ნახევარი ხელისუფლება მიუხნენში იმყოფება. პრეზიდენტი კი სულაც შობას შეხვდა მიუხნენში. და რაკი ნოლაიდელიც ოდესღაც ნაინაციონალებდა, რა გასაკვირია, მასაც რომ გაესეირნებინა ამ ქალაქში.

თუმცა, როგორც არანაციონალმა, მიუხნენს ისევ მოსკოვი ამჯობინა, სადაც რამდენიმე დღეს დარჩება. სამშობლოში კი კვირის დამლევს დაბრუნდება, სადაც დიდი წივილ-კივილი ელოდება.

წივილ-კივილის მთავარი ეტაპი დღეს დაიწყება. დღეს ექსპრემიერი „ედინაია როსიასთან“ შეთანხმებას გააფორმებს. პუტინის პარტიის სახელით ხელშეკრულებას ხელს ბორის გრიზლოვი მოაწერს. ნოლაიდელის პარტიის სახელით კი ხელს, რა თქმა უნდა, თავად ნოლაიდელი მოაწერს.

„ედინაია როსია“ და „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ აფორმებენ შეთანხმებას. ამ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით ბევრი კომენტარი გაკეთდა. ამის მიუხედავად, ვერც საქართველოში და ვერც რუსეთში ვერ გაიგეს, თუ რა საჭიროა ამ შეთანხმების გაფორმება.

ამ შეთანხმებით ნოლაიდელის პარტიამ შესაძლოა მართლაც იხეიროს. ხეირნ ნაციონალებიც ნახავენ. სალაპარაკოგამოღეულ ნაციონალებს ნოლაიდელმა სალაპარაკო თემა ნამდვილად გაუჩინა.

ნოლაიდელთან ერთად ისინი თითქმის მთელ ოპოზიციას ლანძღავენ. ბუნებრივია, აუგად არ ახსენებენ მათთან დაახლოებულ ოპოზიციონერებს. არადა, ცოტა ხნის წინ, ბევრი მათგანი აშკარად გამოკვეთილი რუსული ორიენტაციისა იყო. დღეს კი ისეთი სახეები აქვთ მიღებული, თითქოს ჩრდილოეთისკენ არც კი გაუხედავთ.

ნაციონალებისთვის მიუღებელი ოპოზიცია ბოლო დროს რუსეთისკენ ძალიან ცუდად იქაჩება. წინა კვირას რამდენიმე ლიდერი გამოვიდა და განაცხადა, რუსეთთან მოლაპარაკებები უნდა დავიწყოო. იმდენად ხშირად გააჟღერეს თავიანთი რუსული ვნებანი, რომ საქართველოს პრეზიდენტიც კი გადარიეს. მოკრძალებული შეფასებების მოყვარულმა საკაშვილმა ასეთ პოლიტიკოსებს სულ „ჩმორები“ ეძახა.

ყოფილ პრემიერს ოფიციალურად მიღალატედ ამოაცხადა

რა მაგის პასუხია და საინტერესოა, ეხება თუ არა ეს შეფასება კონსტანტინე გამსახურდიას. მოსკოვში ეს უკანასკნელიც იმყოფებოდა, სადაც ქვეყნის ამომგდებ იგორ გიორგაძეს შეხვდა. ქვეყნის ამომგდებად იგორ გიორგაძე სწორედ ნაციონალებმა მონათლეს. არადა, როგორც ნაციონალებისგან წამოსული ხალხი ამბობს, ვარდების რევოლუციის დროს გიორგაძის ნაჩუქარი „ვილისები“ ძალიან მოდაში იყოო. ამ „ვილისებით“ დაგრიალებდნენ ოურმე ნაციონალები რეგიონიდან რეგიონში. ასე იყო თუ ისე, გამსახურდიასთვის შარი არავის მოუდია და არც მომავალში მოსთხოვს მას ამის გამო პასუხს.

აი, ზურაბ ნოლაიდელს კი წინ ძალიან სერიოზული უსიამოვნება ელოდება. ხელისუფლება რომ აკრიტიკებს, ეს მის იმიჯზე დადებითად მოქმედებს. მისი რუსული ვოიაჟებით არც მოსახლეობაა ძალიან კმაყოფილი. უკმაყოფილება მის მიმართ დღეს კიდევ უფრო გაიზრდება.

გუშინ კი ის საქართველოს მოღალატედ გამოაცხადეს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდულმა ფრთამ გუშინ საქართველოს მოღალატეების სია გამოაქვეყნა.

ჩვენს ტანჯულ სამშობლოს ბევრი გმირი და ბევრი მოღალატე ჰყავდა. ედიპემ კი რატომღაც მოღალატეთა სეკვესტრი მოახდინა და მხოლოდ 4 კაცი იპოვა. მოღალატეთა 4 კაციან სიას სათავეში სერგო ორჯონიკიძე და ფილიპე მახარაძე უდგანან. მესამე ადგილზე იმყოფება უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე. მეოთხე ადგილი კი ყოფილმა პრემიერმა დაიკავა.

მართალია, სიაში ოფიციალურად არ შეუტანიათ მათი გვარები, მაგრამ მოღალატის იარლიყი ძიძიგურს, კახა კუკავას და კობა დავითაშვილსაც ეერგოთ. ეს ადამიანები ერთიანი ოპოზიციური კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ჩატარებას ითხოვენ. აი, სწორედ ამიტომ მიიჩნიეს ისინი მოღალატეებად.

ამის შემდეგ, ალბათ, უკვე ყველასთვის ნათელი გახდება, თუ რატომ არ ეთანხმებოდა პრაიმერის იდეას ირაკლი ალასანია. პრაიმერში მონაწილეობა რომ მიეღო, მასაც ხომ მოღალატედ გამოაცხადებდნენ. ისე, ამის მცდელობა იყო. ნაციონალები პირად საუბრებში ყველას არწმუნებდნენ, ეგ ბიჭი იგორ გიორგაძის კარის მეზობელიაო. მეზობლობა რომ არ დადასტურდა, მერე, ნათელ-მირონი არიან ერომანეთისაო თქვეს. მოკლედ, პრაიმერის მოწინააღმდეგე ალასანია მოღალატის იარლიყს გადაურჩა, მაგრამ რაღაცა შარს მაინც მოსდებენ. როგორც გაირკვა, ეს უკანასკნელი მიუხხენში სერგეი ლავროვს შეხვედრია. თუ ასეა, ლავროვს რამდენიმე თვის წინ ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრიც შეხვდა.

გრიგოლ ვაშაძე ალასანიასავით კი არ მოიქცა. დერეფანში გამოჩენილ რუს კოლეგას „ნივიუ“ დაარტყა. ამ სცენის მომსწრე დიმიტრი როგოზინი იყო, რომელმაც ქვეყანა შეყარა, ვაშაძე კარგად ვეღარ ხედავსო.

მოდით, ისევ ნოლაიდელს დავუბრუნდეთ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მას შეიძლება ბევრი უსიამოვნო სიურპრიზი დახვდეს. როგორც ამბობენ, ხელისუფლება მის წინააღმდეგ კომპრომატების გამოქვეყნებას აპირებს. არც იმას გამორიცხავენ, რომ ექსპრემიერი გისოსებს მიღმა გაუშვან.

ეს შესაძლებლობა არაერთხელ აქვს განხილული ნაპრემიერალს. ნოლაიდელი აცხადებს, რომ მისი დაჭერა არც ისე ადვილი იქნება. თავის დროზე იგივეს ამტკიცებდა ირაკლი ოქრუაშვილი. მისი დაპატიმრება ღამის რევოლუციის საბაბი გახდა. ნოლაიდელის შემთხვევაში ასე ნამდვილად არ იქნება. ოქროსან განსხვავებით, ყოფილ პრემიერს ფანები არ ჰყავს. ამდენად, ხელისუფლებას გამოსვლების შიში არ აკავებს.

აქ რაღაც სხვა ამბავია და ეს ამბავი, როგორც ამბობენ, პუტინს უკავშირდება. ერთ-ერთი ვერსიით, პუტინმა მას რაღაც საიდუმლო დოკუმენტები მიაწოდა და სავარაუდოდ, ამის გამო ვერავინ უბედავს ბუზის აფრენას.

ბოროტ ხმებს ჩვენში რა დალევს. ჰოდა, სწორედ ეს ბოროტი ხმები ამტკიცებენ, ნოლაიდელს პუტინმა ისეთი დოკუმენტები გამოატანა, აქეთ დაიჭერს ნახევარ ხელისუფლებასო.

ხელისუფლების წევრების დაპატიმრებას ისედაც აპირებდა. პუტინთან შეხვედრის შემდეგ კი ჩინოსნებს ხელების მომტვრევით ეუქერება. ხელისუფლებაც რატომღაც მორჩილად ითმენს ამ ყველაფერს. აქ ორი ამბავია ან მართლა რაღაც იცის ნოლაიდელმა, ანდა ხელისუფლება ელოდება საჭირო დროს.

იმასაც ამბობენ, რომ ხელისუფლება ნოლაიდელს პირდაპირ არ მიახტება. თავიდან მისი თანაპარტიელების გაშავება მოხდება. შარს მას ლოთი იგივე ლოთი ქობალიას გამო მოსდებენ. მასთან დაკავშირებით კი მართლაც ბევრი რამის თქმა შეიძლება. თუ ასე მოხდა, განმარტებების გაკეთება საკაკშვილსაც მოუწევს. გაარეზონდენტების შემდეგ მან პირველი, ვინც შეიწყალა, ქობალია იყო.

ნაციონალებმა მაშინ ეს ამბავი ღამის ეროვნული დამოუკიდებლობის მიღების ტოლფასად მიიჩნიეს. ამდენად, მათი მხრიდან ქობალიაზე რამის თქმა, უხეიზოლია.

თბილისის მერობა გიორგი ლაღიძესაც მოუნდა

პარტია “მომავალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლაღიძე თბილისის მერის არჩევნებში კენჭს იყრის.

როგორც „მედიანიუსს“ პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან აცნობეს, გიორგი ლაღიძის კანდიდატურის წარდგენა, პარტიამ „მომავალი საქართველო“ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ხანგრძლივ კონსულტაციების შედეგად გადაწყვიტა.

მათი განმარტებით, “მომავალი საქართველოს“ ლიდერს გამარჯვების იმედს აძლევს ის, რომ სუფთა პოლიტიკური წარსული და ხალხის ნდობა აქვს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, თვითონ გიორგი ლაღიძე განცხადებას უახლოეს მომავალში გააკეთებს.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი „ სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი „ ლაღი ასლანაშვილი
რედაქტორის მოადგილე „ შორეა ქარსაგაშვილი

კონსულტანტები
თამარ ნინაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური „ კლარა ბალაკაძე

სარეკლამო სამსახური „ 94–02–55
გაფრცელების სამსახური „ შერან ლეკურაშვილი
დირექტორი „ ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება „ ინგა დვალაშვილი, ნინა კანდელაკი, ეზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

პატრიარქმა მიუნხენში გეგმური მკურნალობის კურსი დაასრულა

კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოში გერმანიიდან 12 თებერვალს დაბრუნდება.

როგროც „ინტერპრეს-ნიუსს“ საპატრიარქოდან აცნობეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე საქართველოში გერმანიის ქალაქ მიუნხენიდან 12 თებერვალს, ჩარტერული რეისით დაბრუნდება. საპატრიარქოში უწმინდესის დაბრუნების ზუსტ დროს ჯერჯერობით ვერ ასახელებენ.

პატრიარქმა მიუნხენის ერთ-ერთ კლინიკაში გეგმიური სამედიცინო-პროფილაქტიკური მკურნალობის კურსი დაასრულა და თავს კარგად გრძნობს. საპატრიარქოს ინფორმაციით, გერმანიაში ვიზიტის დეტალებზე უწმინდესი განცხადებას საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ თავად გააკეთებს. პატრიარქი მარხვის დაწყებამდე, შენდობის დღეს, ტაძარში იქნება.

უწმინდესი საქართველოდან გერმანიაში 28 იანვარს გაემგზავრა.

ინტერფესი

გია თორთლაძის პარტია ვაკის მაჟორიტარად გიორგი გურგულიას წარადგენს

საქართველოს დემოკრატიული პარტია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ვაკის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად გიორგი გურგულიას წარადგენს.

ამის შესახებ დღეს პარტიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გია თორთლაძემ განაცხადა.

მისივე თქმით საქართველოს დემოკრატიული პარტია ადგილობრივ არჩევნებზე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ყველა რაიონში ეყოლება.

როგორც თავად ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გიორგი გურგულიამ განცადა, თუ ის საკრებულოს დეპუტატი გახდება, მისი მთავარი პრიორიტეტი კულტურის სფეროს განვითარება იქნება.

— ეს არის სფერო, რომელიც მე კარგად ვიცნობ, სადაც ბევრი ნაცნობი და მეგობარი მყავს და ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ბევრ სასიკეთო საქმის გაკეთებასაც შევძლებ, — აცხადებს გურგულიამ.

ჩექანური

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ახალი უფროსი ჰყავს

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე, რექტორის ბრძანებით, ნანა მამაგულაშვილი დანიშნა. იგი ამავდროულად რადიო „ფორტუნას“ პიარ-სამსახურის უფროსიცაა.

ნანა მამაგულაშვილის განცხადებით, უნივერსიტეტში მეტი ყურადღება გამახვილდება რეფორმის წარმოჩენაზე, განხორციელებული ცვლილებების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის ოპერატიულად გაცნობაზე. ნანა მამაგულაშვილი ჟურნალისტი, ვახტანგ სანაია შეცვალა, რომელიც თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ორი თვის მანძილზე ხელმძღვანელობდა.

ჩექანური

საპატრიარქოს ოპოზიციას თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეს

ჩარეფფრელა ე

ოპოზიციას მომავალ არჩევნებში რომ დამარცხება გარანტირებული აქვს, ამაში ირინა სარიშვილი ღრმად არის დარწმუნებული. სარიშვილი აცხადებს, რომ აქციები, რომელიც ოპოზიციის გეგმის მიხედვით 9 აპრილიდან დაიწყება, ვერანაირ შედეგს ვერ მოიტანს.

— ქალბატონო ირინა, ოპოზიციის ერთი ნაწილი უკვე ემზადება აქციების დასაწყებად, როგორ ფიქრობთ, რამდენად არის ეს აქციები შედეგზე გათვლილი?

— იმდენად, რამდენადაც ოპოზიციის შემადგენლობა არ შეცვლილა, უბრალოდ, დაიქსაქსა, ანუ გამომეღლავნდა ის, რაც აღრე იგრძნობოდა. ახლა უკვე გაცხადდა, თუ შემადგენლობა არ შეცვლილა, ეჭვი მეკარება, რომ შედეგზე ჰქონდეს ოპოზიციას გათვლილი ეს აქციები. ჩვენ ვნახეთ 9 აპრილიც, 26 მაისიც, ოპოზიციისგან ძალიან ბევრი დაპირება, რომელიც ისევივე ტყუილი აღმოჩნდა, როგორიც ხელისუფლების დაპირება ხალხის მიმართ. ამიტომ, არა მგონია, რომ ეს შედეგზე იყოს გათვლილი და თუ ამან რაიმე სახის შედეგი გამოიღო, ეს იქნება არა ოპოზიციის გეგმის შედეგი, არამედ გარე ფაქტორების ზემოქმედებით, მაგრამ ეს გარეფაქტორების ისეთ რადიკალურ ცვლილებებს ვამჩნევ, რომ რაიმე შედეგზე ვილაპარაკოთ.

— გარე ფაქტორებში რას გულისხმობთ?

— საგარეო გადანაწილება, გარე ფაქტორში შეიძლება ვიგულისხმოთ ისიც, რომ რუსულ-ამერიკულმა გეგმამ მიიღოს გადაწყვეტილება, შეიცვალოს სააკაშვილის ხელისუფლება. ეს არის გარე ფაქტორი, მაგრამ თუ ეს მოხდა რუსულ-ამერიკული გეგმით, ჩვენ რეალურ ცვლილებას ქვეყნის მდგომარეობის თვალსაზრისით ვერ მივიღებთ, უბრალოდ, მივიღებთ სახელების და გვარების ცვლილებას. როგორც ჩანს, ოპოზიციას დრო სწორედ ამიტომ გაყავს, იმიტომ, რომ ისინი ყველა ერთ მოედანზე თამაშობენ, მათ შორის, როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, თავად ნოღაიდელიც, ისინი ყველა ერთი პოლიტიკური წარმომავლობის არიან და აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მათგანი არაფრის რადიკალურ შეცვლას სინამდვილეში არ აპირებს. საქართველოს ტერიტორიაზე თანაბრად გაიხარა როგორც რუსეთმა, ასევე შეერთებულმა შტატებმა და ამის თვალსაჩინო გამოხატულება იყო აგვისტოს ომი, სადაც დიდი ენერგია არ დაუხარჯავთ, ისეთი დადგმული სპექტაკლით გადაგვინაწილეს და რაშიც, სამწუხაროდ, მონაწილეობა მიიღო საქართველოს ხელისუფლებამაც.

— ბოლო პერიოდში აშკარაა ოპოზიციის სახეცვლილება, ანუ ოპოზიცია დასავლეთიდან აშკარად გადაიხარა რუსეთისკენ, ამას რითი ხსნით?

— ეს არის თამაში, მე არ მჯერა არც ერთი მთგანის, ჩვენ უკვე მრავალი წელია ნეიტრალიტეტზე ვლაპარაკობთ. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ კეთდებოდა ნეიტრალიტეტზე განცხადებები, მაშინ პირადად მე იმასაც ვაცხადებდი, რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარება საქართველოში თუ დროულად არ მოხდა, მაშინ მას ნაკლები შედეგი მოყვება, ეს იმ შემთხვევაში, თუ რაიმე შედეგი მოყვა. აგვისტოს ომის შემდეგ ნეიტრალიტეტზე საუბარი იმ ძალებისგან, რომლებიც მანამდე ნეიტრალიტეტის მომხრეებს მოღალატეებად გვაცხადებდნენ, ცოტა გაუგებარია, რადგანაც ნეიტრალიტეტის დადებითმა შედეგმა იკლო საქართველოსთვის, თუმცა მაინც რჩება, მაგრამ შედეგი ბევრად ნაკლები ექნება. ლოგიკურად ისმის კითხვა, მაშინ, როდესაც ამ ნეიტრალიტეტს მეტის მოტანა შეეძლო საქართველოსთვის და აგვისტოს მოვლენების თავიდან აცილება შეეძლო, რატომ მოხიბლა ამ იდეამ ოპოზიციის ერთი ნაწილი მას შემდეგ, როდესაც ამის მიღწევა გართულდა და მიღწევის შემთხვევაში რეალურად იმდენ შედეგს ვერ მივიღებთ, რაც უნდა მიგვეღო. ამიტომ, მე ამას ერთი მედლის ორ მხარედ აღვიქვამ და არა მგონია, რომ ამის გამო ოპოზიციის შიდა ნაწილების თვისობრივ სხვაობაზე შეგვიძლია ლაპარაკი. ოპოზიციის ეს ნაწილები ისევე არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან თვისობრივად, როგორც მთელი ეს რეკლამირებული ოპოზიცია არ განსხვავდება დღევანდელი ხელისუფლებისგან, არც პოლიტიკით, არც შეხედულებებით, არც ცხოვრების წესით. ერთადერთი გამონაკლისი ამ შემთხვევაში ოპოზიციაშია, ეს არის „ეროვნული ფორუმი“, რომელიც ამ ოპოზიციის ფონზე აშკარად ქართული ძალაა და ალბათ, მათთვის უკეთესი იქნებოდა, თავის დროზე ამ აჯაფსანდალში არ გარეულიყვნენ.

— ოპოზიცია თავის ქმედებას რუსეთთან დიალოგის დაწყების აუცილებლობით ხსნის...

— ოპოზიციის ამ ერთ ნაწილს რუსეთთან დიალოგის თემა სჭირდება, რომ წინ წამოწიოს. სანამ აგვისტოს ომი მოხდებოდა, დიალოგის აუცილებლობა, პირველ რიგში, მაშინ უნდა დაგვენახა, რათა აგვეცილებინა ის, რაც ყველაზე დიდი დარტყმა იყო საქართველოსთვის. დღეს, როდესაც ამ დიალოგის აუცილებლობაზე ლაპარაკობენ, ისმის ლოგიკური შეკითხვა, დღევანდელ პირობებში დიალოგი რუსეთთან ისეთი მომგებიანი აღარ იქნება საქართველოსთვის, როგორიც იქნებოდა აგვისტოს ომამდე. ხომ ისმის შეკითხვა, ნაკლებად მომგებიანი ვარიანტი რატომ გახდა მომიხბლავი ოპოზიციისთვის? ისევ და ისევ, თუ ჩვენ ვლაპარაკობთ რუსულ-ამერიკულ გეგმაზე, რამდენადაც ამ ეტაპზე რუსეთი და ამერიკა არ უპირისპირდებიან ერთმანეთს პატარა ქვეყნების ტერიტორიებზე გავლენის სფეროების გადანაწილების საკითხში, ანუ მშვიდად ახერხებენ ამ საკითხების მოგვარებას. ამ ეტაპზე რუსულ-ამერიკული გეგმის გათვალისწინებით რუსეთთან დღეს დიალოგზე საუბარი და იმ საგარეო პოლიტიკის გაგრძელება, რომელსაც აწარმოებს დღევანდელი ხელისუფლება და არ შეეწინააღმდეგება ამ პოლიტიკის, ისევ ამ რუსულ-ამერიკული გეგმის ნაწილია.

— დიალოგის თემით არ კონკრეტდება ოპოზიციის გეგმა, როგორც რუსეთის ხელისუფლებაში აცხადებენ, ოპოზიცია უპირობოდ თანხმდება მათ დიალოგზე და ამ დიალოგის შემადგენელი ნაწილი სულაც არ არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი...

— როდესაც ჩვენ ნეიტრალიტეტზე და დიალოგის აუცილებლობაზე ვსაუბრობდით, პრიორიტეტული თემა სწორედ ქვეყნის ტერიორიული მთლიანობა უნდა ყოფილიყო და დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნება საქართველოსთვის, მაშინ, როდესაც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას სწორედ საქართველოს საგარეო პოლიტიკის გამო ემუქრებოდა საფრთხე, მაშინ აბსოლუტურად გასაგები იყო ჩვენთვის რუსეთთან დიალოგის თემა. დღეისათვის რუსეთის პოზიციები გამყარებულია და სწორედ ამიტომ, როგორც ჩანს, ოპოზიციის არც აქვს რუალურად სათქმელი, ეს მხოლოდ და მხოლოდ არის პიარის ნაწილი. ჯერ ერთი, ოპოზიცია რუსეთს ვერც ვერაფერზე ვერ შეუთანხმდება, ოპოზიცია არ არის უფლებამოსილი, პოლიტიკაში, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, ეს უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, ოპოზიციას მხოლოდ და მხოლოდ შეუძლია აიძულოს ხელისუფლება და გადაადგმევინოს რაღაც ნაბიჯები, ან უბრალოდ, შეცვლილ ხელისუფლება. ეს ნაბიჯები ამ ხელისუფლებას უკვე გადადგმული აქვს ოპოზიციასთან ერთად. საქართველო ორად გაიყო, გაიყო რუსულ-ამერიკული გეგმის მიხედვით, დღეისათვის რუსეთთან დიალოგი ისევ იმ ძალების მხრიდან, რომელმაც ამ გაყოფაში ნებსით თუ უნებლიეთ მიიღო მონაწილეობა, აბსოლუტურად გაუგებარი რამ არის და შესაბამისად, ამ დიალოგის შინაარსიც გაუგებარი რჩება. რა თქმა უნდა, სასაცილოა იმ ძალების მხრიდან, რომლებმაც საქართველოს გაყოფაში მიიღეს მონაწილეობა,ველოდოთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თემის დამკვიდრებას. ჩვენ როდესაც ვამბობდით, რომ საქართველო არ უნდა გახდეს არც ერთი სამხედრო პოლიტიკური ალიანსის წევრი, ეს იქნება რუსული მიმართულებით თუ ნატოს მიმართულებით, სწორედ იმიტომ ვამბობდით, რომ ეს გახდა ძირითადად მიზეზი რუსულ-ამერიკულ გეგმაში საქართველოს ამდაგვარი გადანაწილება, ეს კი ოპოზიციამ მშვენივრად იცის, მაგრამ დღეს რუსეთთან რაზე აპირებს საუბარს, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ოპოზიციას მომავალ არჩევნებში რუსული მხარდაჭერის მოპოვება სჭირდება?

— ეს ოპოზიცია იმავე მოედანზე თამაშობს, სადაც თამაშობს სააკაშვილი. ოპოზიცია დასაყრდენს ეძებს არა რუსეთში, არამედ იმ გეგმაში ეძებს თავის ადგილს, რასაც რუსულ-ამერიკული გეგმა ჰქვია და რაშიც სააკაშვილის ხელისუფლებას საკმაოდ კარგად აქვს თავი დამკვიდრებული. სწორედ ამის გამო ოპოზიცია ელოდება უბრალოდ საგარეო ფაქტორების ცვლილებებს და გაჰყავს დრო. დღეისათვის ნატოს თემაზე საუბარი ხელისუფლებასაც უჭირს, არათუ ოპოზიციას. ამიტომ, პიარის თვალსაზრისით ოპოზიცია უკვე ნელ-ნელა იწყებს საუბარს იმაზე, რომ ნატო პანაცეა არ არის, მაშინ როდესაც ყველა ისინი ჩვენ მუხლჩაუხრელად გვეძახდნენ მოღალატეებს იმის გამო, რომ ჩვენ ვამბობდით, რომ ნატოსკენ სწრაფვა საქართველოს დაღუპავს. ნატოში რომ საქართველოს გაწევრიანებას არავინ აპირებდა, დასავლეთი მყავს მხედველობაში, მე მგონი, ეს დღეს ყველასათვის ნათელია.

— რატომღაც ხელისუფლების რეაქცია არ არის მწვავე ამ პროცესებთან დაკავშირებით, ეს რაზე მიანიშნებს?

— არანაირად არ ექნება მწვავე რეაქცია,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მიუნხენში გრიგოლ ვაშაძეს რამდენიმე შეხვედრა გამართა

5-7 თებერვალს მიუნხენში გაიმართა უსაფრთხოების 46-ე კონფერენცია, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე დაესწრო.

კონფერენციის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრები გამართა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან გიდო ვესტერველლესთან, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან სენატორ ჯონ კერისთან, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრთან პეტრო პოროშენკოსთან, ასევე ავღანეთსა და პაკისტანში აშშ-ის საგანგებო წარმომადგენელთან რიჩარდ ჰოლბრუკთან და პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან.

საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე შეხვდა ლატვიის და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს. ამ შეხვედრებზე განხილული იქნა საქართველოს ურთიერთობები შესაბამის ქვეყნებთან და საქართველოს დეოკუპაციასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრი.

გარდა ორმხრივი შეხვედრებისა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა კომენტარი გააკეთა პანელზე, რომელიც ეძღვნებოდა გლობალური და ევროპული უსაფრთხოების და სადაც ძირითადი გამომსვლელები იყვნენ აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯიმ ჯონსი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ბარონესა ქეთრინ ეშტონი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გიდო ვერსტერველდე და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. გამოსვლის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ არ სრულდება ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, და რომ ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის ოკუპაცია რუსეთის ფედერაციის მიერ საფრთხეს უქმნის მთლიანად ევროპულ უსაფრთხოებას, ხოლო მეთოდები, რომლითაც ეს ოკუპაცია ხორციელდება, იგივეა, რომელთა გამოყენებით თავის დროზე საბჭოთა კავშირმა მოახდინა სხვა მეზობელი სახელმწიფოების ოკუპაცია და დამორჩილება.

ჩექანური

რევოლუცია მხოლოდ დროშების ქნევა არ არის

რევოლუცია არა მხოლოდ დროშების ქნევა და ქუჩაში გამოსვლაა, — ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უმრავლესობასთან შეხვედრაზე გააკეთა.

მისი თქმით, რევოლუცია არის მტკივნეული და რადიკალური რეფორმები, ეროვნული ერთიანობა და კონსენსუსი მთავარი საკითხების გარშემო.

— ის, რომ საქართველო და უკრაინა - ძალიან ახლოელი და ბეგობრული ქვეყნები სხვადასხვა გზით წავიდნენ, არ მინდა ცალკე აღებულ რომელიმე პოლიტიკურ ფიგურას დავაბრალო, რადგან ეს არ იყო ცაკვე აღებული არავის ბრალი. ეს გამოიწვია იმან, რომ პოლიტიკურმა ძალებმა ვერ მოახერხეს კონსენსუსის მოპოვება მთავარ საკითხებზე და მთელი ეს პრძოლა მუდმივად ურთიერთდაპირისპირებაზე, ქიშპობასა და ერთამანეთის ჩაძირვაზე დაიხარჯა, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისი შეფასებით, სწორედ ამის „გამოწერა“ უნდათ საქართველოსთვის ზოგიერთ რადიკალურ ოპონენტებს საქართველოს შიგნით და მათთან დაკავშირებულ ძალებს საქართველოს გარეთ.

— სად უკრაინის საწყისი პოზიცია და სად ჩენი პოზიციები, როცა ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია; სად მათი გეოგრაფია და სად ჩვენი, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ინტერფესი

[illegible]

[illegible] 30-ე [illegible]

[illegible]

[illegible] 30-ე [illegible]

[illegible]

[illegible]

**[

პოლიტიკურ თავშესაფარს არ ვითხოვ

შრენგელიშვილი

პოლიტიკური „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი ეკა ბესელია არასრულწლოვანი შვილისა და ძმისთვის საფრანგეთის ელჩისუფლებისგან პოლიტიკურ თავშესაფარს და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ბათუმის სასამართლომ ეკა ბესელიას ძმისა და შვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. სერგო ბესელია უკვე შვიდი თვეა სასჯელს იხდის, ხოლო არასრულწლოვანი რატი მილორავა ძებნის რეჟიმშია.

— მე, პირადად, კიდევ ერთხელ ვადასტურებ საჯაროდ, რომ პოლიტიკურ თავშესაფარს არ ვითხოვ. მე ვრჩები ჩემს ხალხთან, ჩემს თანამებრძოლებთან ერთად ბრძოლის გასაგრძელებლად. არ არსებობს მეთოდი, ფორმა, რომლითაც მე უარს ვიტყვი ამ ბრძოლის გაგრძელებაზე, — აცხადებს ეკა ბესელია და იქვე მიუთითებს, რომ ის პოზიციას არ შეიცვლის საკაშვილი-მერაბიშვილის დუეტის არაერთგზისი მცდელობის მიუხედავად.

საფრანგეთიდან დაბრუნებულმა პოლიტიკური „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა და რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება.

როგორც „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერმა მიუთითა, საფრანგეთში მას შეხვედრები ჰქონდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ევროპის ქვეყნების დეპარტამენის ხელმძღვანელებთან.

— ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი, საინტერესო და ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა. განხილული იქნა საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება და ის ანტიდემოკრატიული ნაბიჯები, პოლიტიკური რეპრესიები, რომელსაც ხელისუფლება აგრძელებს და რომლის ბოლო პერიოდის მასშტაბებიც, ვფიქრობ, შემაშფოთებელია, — აღნიშნა ეკა ბესელიამ. მისი თქმით, პარტიის ხელმძღვანელობამ ამ შეხვედრების დროს კიდევ ერთხელ დაფიქსირა პარტიის პოზიცია, რომ ჩვენ ამ თემების მიმართი ვიქნებით სოლიდარულები და გავაგრძელებთ საჯარო აქტიურობას.

საფრანგეთში ვიზიტის დროს პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად განხილული იქნა პარტიის შემდგომი სტრატეგია და გეგმები.

— ჩვენი მოძრაობა გააგრძლებს ბრძოლას ძალიან აქტიურად შეურიგებელთა შორის. არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ვიბრძოლებთ ყველა იმ ფორმით, მეთოდით და დასაშვები ხერხით, რომელიც იქნება ადეკვატური არსებული რეჟიმის შესაცვლელად. ამისთვის ჩვენ ვგეგმავთ ფართო კონსულტაციებს ყველა პოლიტიკურ პარტიასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საზოგადოების ფართო ჯგუფებთან, რომლებიც მზად არიან გააგრძელონ 2 წლის წინ დაწყებული ბრძოლა. ეს ბრძოლა ბოლომდეა მისაყვანი, — განაცხადა ეკა ბესელიამ. მისი თქმით, წელს ამ ბრძოლის გზაზე ძალიან სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ ბრძოლამ შედეგი გამოიღოს.

როგორც „ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალურმა მდივანმა მიუთითა, პარტიისთვის მთავარი პრიორიტეტი იქნება იმ მოთხოვნების შესრულებისთვის ბრძოლა, რისთვისაც ორი წელია იბრძვის. ეს არის მიხეილ სააკაშვილის გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. პარალელურად პარტია გააგრძელებს მუშაობას დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნისთვის, პოლიტიზებული სასამართლოს გათავისუფლებისთვის, აგრეთვე პოლიტიკური და უკანონო პატიმრების გათავისუფლებისთვის ბრძოლას. როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ამ საკითხების ირგვლივ ბოლო პერიოდში აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობდა როგორც არასამთავრობო სექტორთან, ისე პოლიტიკურ ძალებთან. ბესელიას თქმით, საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩატარდა იმისათვის, რომ საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა დაწყებული საქმე გააგრძელოს.

რაც შეეხება ადგილობრივ არჩევნებს, პარტიის პოზიცია ამ საკითხში უცვლელია. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების თარიღი განისაზღვრა, პოლიტიკური მოძრობა „ერთიანი საქართველოსთვის“ არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას საკუთარი კანდიდატურის წარდგენით.

— ჩვენ ვართ ერთგულნი იმ მოთხოვნებისა, რომელსაც პარტია აყენებს და რომლისთვისაც იბრძვის. ეს არის სააკაშვილის გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. მეორე, ხელისუფლებამ არანაირი წინაპირობა არ შექმნა ამ დროისთვის, რომ ადგილობრივი არჩევნები ჩატარდეს დემოკრატიულ და თავისუფალ გარემოში. ამ გარემოს შესაქმნელად ჯერ არაფერი გაკეთებულა. ამისთვის ბრძოლაა საჭირო. შესაბამისად, ეს ორი პირობა არის ჩვენი არჩევნებში მონაწილეობის განმსაზღვრელი. ამის გამო უარს ვამბობთ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე, თუმცა ჩვენი პარტია არ გამორიცხავს, თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია შეძლებს ერთი კანდიდატის ირგვლივ კონსოლიდირებას და ეს კანდიდატი იქნება ჩვენთვის მისაღები იმ თვალსაზრისით, რომ არა მარტო მერობისთვის იბრძოლებს, არამედ იბრძოლებს საქართველოში ამ რეჟიმის შესაცვლელად და სააკაშვილის რეჟიმის დასამთავრებლად, ამ შემთხვევაში არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენი პარტიის მხარდაჭერა ასეთ კანდიდატს ჰქონდეს, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

რაც შეეხება საარჩევნო კოდექსს, ოქრუაშვილის პარტიის ხელმძღვანელი მიუთითებს, რომ ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორიცაა საარჩევნო კოდექსი და საარჩევნო სიები, პარტია ყოველთვის თვალს მიადევნებს და ამ კუთხით გარკვეულ სამუშაოებსაც გასწევს.

ეკა ბესელიას თქმით, პარტია არ იყო ჩართული ენ-დი-აის ფორმატში წარმოებულ კონსულტაციებში, მაგრამ პარტიის პოზიცია წარმოდგენილი იყო „ლიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენლის მიერ წარდგენილ დოკუმენტში. თუმცა ბესელიას თქმით, იმ მოთხოვნებიდან, რომელსაც რამდენიმე ოპოზიციური პარტია აწერდა ხელს, დღემდე არც ერთი არ შესრულებულა.

— ჩვენ სწორედ ამიტომ ვთქვით არჩევნებში მონაწილეობაზე უარი, რომ ხელისუფლება კომპრომისისთვის მზად არ არის, — აღნიშნა ბესელიამ და აქცენტი საარჩევნო სიებზე გააკეთა, რომლის გადამონმებაშიც ოქრუაშვილის პარტია იმ 12 სუბიექტს შორისაა, რომლებმაც ბიუჯეტიდან დაფინანსება მიიღეს.

— მიმაჩნია, რომ არ არსებობს არგუმენტი, რომელიც გაამართლებს, რატომ უნდა თქვას პოლიტიკურმა პარტიამ უარი ისეთი მნიშვნელოვანი თემის მონიტორინგზე, როგორიც არის საარჩევნო სიები. ეს არის არამხოლოდ ადგილობრივი არჩევნების პრობლემა, არამედ ზოგადად არჩევნების პრობლემაა. ობიექტური სიებით, ბუნებრივია, დაინტერესებული ვართ. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ შეუძლებელია ამ მცირე დროში იმ რესურსებით ამხელა სამუშაოს შესრულება, მაგრამ რასაც გაერთიანების შემოხვევაში ოპოზიციური რესურსი შეძლებს, უნდა დაიდოს სწორი, მიუკერძოებელი და რეალობის ამსახველი დოკუმენტაცია და დასკვნა, — აღნიშნა ბესელიამ და საარჩევნო სიებთან დაკავშირებით ოპოზიციურ სპეკტრს მანიპულაციებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

ოქრუაშვილის თანაგუნდელის ზემოაღნიშნული განცხადება აშკარად ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენელთა მისამართით იყო გაკეთებული. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ლევან ვეფხვაძემ კომენტარში მიუთითა, რომ ამ ფულით შეიძლება რომელიმე ლიდერმა ძვირად ღირებული ჯიპი იყიდოს და მერე თქვას, ეს ჯიპი ამომრჩეველთა სიების გადასამოწმებლად გადადგილებისთვის მჭირდებოდაო.

ეკა ბესელია თვლის, რომ ეს არ არის ის თემა, რომლითაც პოლიტიკურმა პარტიამ შეიძლება თავისი პიარ-პროპაგანდა ააგოს. ბესელია ურჩევს ყველას, საკუთარი პრინციპულობა საქმეში და შედეგებში გამოავლინოს, ოქრუაშვილის პარტიას კი ამის დეფიციტი არა აქვს.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საკაშვილის ხელისუფლებას არ შეექმნას იმის კომფორტი, რომ ყველგან მარტო იმოქმედოს და თავი თავისუფლად იგრძნოს, წინააღმდეგობების გარეშე. ოქრუაშვილის პარტია გეგმავს პარტიის რესურსის შესაბამისად ხელისუფლებას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს, რათა ვერ გააკეთოს ის, რასაც აქამდე ქვეყანაში აკეთებდა.

რაც შეეხება საარჩევნო სიებისთვის გამოყოფილ თანხებს და მონიტორინგს, როგორც ეკა ბესელიამ მიუთითა, ის მხარს დაუჭერს, შეიქმნას საერთო საკოორდინაციო ჯგუფი მონიტორინგისთვის.

გუშინვე ბესელიამ განცხადება გააკეთა იმ პარტიების მისამართით, რომლებიც საარჩევნო მარათონში ჩაერთვნენ.

— ჩვენ არ ვაპირებთ ისინი იყვნენ ჩვენი სამიზნეები. ისინი ჩვენი კონკურენტები არ არიან, მაგრამ ჩვენ საარჩევნო პროცესს აქტიურად დავაკვირდებით. მთელ ჩვენს რესურსს მივმართავთ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ოპოზიციას არა აქვს დღეს იმის ფუფუნება, ერთმანეთს კონკურენციის რეჟიმში ყოფნის გამო დაუპირისპირდნენ. უნდა დამთავრდეს ეს პოლიტიკური თავდასხმები, კინკლაობა და ა. შ. ეს უნდა იყოს დასაშვები დებატების და აზრთა სხვადასხვაობის ფარგლებში. ჩვენი სამიზნე არის მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმი. არც ერთი სხვა პოლიტიკური ძალა, — აღნიშნა ბესელიამ და მოუწოდა პოლიტიკურ სპექტრს, ერთმანეთის კონკლაობის ნაცვლად ხელისუფლების წინააღმდეგ სერიოზული ნაბიჯები გადადგან.

საკაკაშვილი ოპოზიციას თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რადგანაც ეს პროცესები ხელისუფლებას ხელს არ უშლის, ისევე, როგორც საკენებზე არ იყო ხელისუფლების რეაქცია მწვავე, ქუჩის გამოსვლებზე არ იყო მწვავე რეაქცია გარდა ერთი-ორი შეხლა-შემოხლისა. მწვავე რეაქცია ხელისუფლებას ჰქონდა 7 ნოემბერს ცნობილი აქციის დროს და ეს მომენტი ოპოზიციამ თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენა, ან არ გამოიყენა შეგნებულად. რატომ უნდა ჰქონდეს მწვავე რეაქცია ხელისუფლებას თუ ამ ოპოზიციის ხელისუფლებასთან პრინციპულად სადავო არაფერი არ აქვს. ამ ოპოზიციამ საკენები ქუჩაში დიდი ხნის განმავლობაში დატოვა და როდესაც ჩამოვიდა ბაიდენი, მისი ჩამოსვლის წინ აიღო საკენები, რათა ბაიდენს თავისუფლად გადაადგილების საშუალება მისცემოდა. თან აცხადებდნენ, ეს კაცი რომ ჩამოვა, ჩვენ უნდა ვაჩვენოთ მას, სააკაშვილი როგორი ტირანიაო, პატარა ბავშვიც მიხვდებოდა, რომ ამ შემთხვევაში ჯობდა საკენების დატოვება, ან დაარბევედა სააკაშვილი ამ საკენებს და გამოჩნდებოდა, რომ ტირანია, ან თუ არ დაარბევდა, იქ ბევრი ხალხი მივიდოდა, ფილარმონიის კიბეებზე ბელურებივით ჩამომსხდარი ოპოზიციის ნაცვლად და ბაიდენი დაინახავდა, რომ სააკაშვილს ბევრი ხალხი ეწინააღმდეგება. ძალიან ბევრჯერ მოიქცა ოპოზიცია ისე, რომ ამის შემდეგ სააკაშვილს არანაირი საჭიროება არ ჰქონდა მწვავე რეაქციის. ინაუგურაციის მომენტი გავიხსენოთ თუნდაც, ლამის ათი კილომეტრის დაშორებით გაიმართა საპროტესტო აქცია და ამაზე ღიად საუბრობდნენ, რომ მოლაპარაკება შედგა სააკაშვილსა და გაჩერილაძეს შორის. სააკაშვილს მკვეთრი რეაქცია კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ ამ ოპოზიციამ სააკაშვილს ძეგლი უნდა დაუდგას იმიტომ, რომ ხელისუფლების რეიტინგი თუ ნულს ქვემოთ იყო, გამყარდა და ეს ოპოზიციის დამსახურებაა და არა იმისი, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ უკეთესობისკენ დაიწყო სვლა. მე მათ ადგილას ოპოზიციას თვალისჩინივით მოვუფრთხილდებოდი და მე მეონი, ასეც ხდება.

— *რას ელოდებით ამ არჩევნებისგან?*

— თუ საერთოდ ჩატარდა ეს არჩევნები და არ მოხდა რაიმე საჭიროების გამო შეტაკების პროვოცირება, ამ არჩევნებში, რა თქმა უნდა, გაიმარჯვებს უფლავა. თბილისში ნამდვილად ჰქონდა ოპოზიციას რეალური შანსი და ბრძოლაც აშკარად აზრს შეიძენდა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ოპოზიცია ერთ კანდიდატზე შეთანხმებულიყო, ჩვენ ვხედავთ, კვირაში ერთხელ სოკოებივით მრავლდება კანდიდატთა რიცხვი. ასეთ ვითარებაში, რაღა თქმა უნდა, სააკაშვილის ნებისმიერი კანდიდატურა გაიმარჯვებს. მეორე ადგილზე, დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, სავარაუდოდ, თუ დააყენებს ქრისტიან-დემოკრატებს და თუ დათანხმდა გია ჭანტურია მერრის კანდიდატობაზე, გია ჭანტურია გავა და ამითი ხელისუფლება მიიღებს გარანტიას, რომ არანაირი ეჭვის გამოსვლები პროტესტის გამოსახატავად ოპოზიციის მხრიდან ვეღარ იქნება. იმიტომ, რომ მეორე ადგილზე სხვა არავინ არ გავა და ქრისტიან-დემოკრატების კანდიდატებისთვის სხვა პარტიები ნამდვილად არ გამოვლენ გარეთ.

რაზე ისაუბრეს ალასანიამ და ლავროვმა

ნათელაშვილი

ირაკლი ალასანიამ მიუნხენში უსაფრთხოების კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. უსაფრთხოების 46-ე კონფერენციაზე ალასანია სპეციალური სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული. შეხვედრაზე ევრო-ატლანტიკური ურთიერთობები, ევროპული და გლობალური უსაფრთხოების საკითხები იყო განხილული.

კონფერენციის ფარგლებში ალასანიამ ევროპის ქვეყნების მინისტრებთან გამართა შეხვედრები. ის შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, კარლ ბილდტს შეხვდა. როგორც ცნობილი გახდა, ალასანიასგან შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აფხაზეთზე და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია მიიღო.

შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა საქართველოში არსებული წინასაარჩევნო პროცესი.

ალასანიას შეხვედრა ჰქონდა გერმანიის თავდაცვის მინისტრთან, კარლ-თეოდორ გიუტენბერგთან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან, ფილიპ გორდონთან, სენატორებთან, ჯოზეფ ლიბერმანთან და ჯონ მაკკეინთან.

ალიანსის ლიდერმა ასევე შეხვედრა გამართა ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველთან უსაფრთხოების საკითხებში, ჯეიმს ჯონსსთან. შეხვედრების დეტალები პრესისთვის უცნობია. თუმცა, მიუნხენში გამართული შეხვედრების დეტალების შესახებ ალასანია სპეციალურ პრესკონფერენციაზე ისაუბრებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ირაკლი ალასანიამ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრთან, სერგეი ლავროვთან გამართა.

აღნიშნულ შეხვედრებზე საუბარი შეეხო რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს და ევროკავშირის ხელშეწყობით ხელმოწერილი 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულების აუცილებლობას.

ალასანია აცხადებს, რომ შეხვედრებზე ყველა ქვეყნის წარმომადგენელმა ხაზგასმით განაცხადა, რომ საქართველოში თვითმმართველობის არჩევნები დემოკრატიის გამოცდაა, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა აკვირდება. მისი თქმით, ასევე ძალიან დიდი ინტერესია ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების მიმართ, რადგან მიიჩნევენ, რომ მხოლოდ შიდა პროცესების სტაბილურობა და დემოკრატიული რეფორმების გაგრძელება გახდის საქართველოს უსაფრთხოს და ევროპის განუყოფელ ნაწილად აქცევს.

ალასანია აცხადებს, რომ მთელი ევროპა და ამერიკა საქართველოს შიდა პოლიტიკური პროცესების განვითარებას აკვირდება. მისი თქმით, ადგილობრივი არჩევნების მიმართ ყურადღება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად არის წამოყენებული.

ალიანსის ლიდერი ამბობს, რომ ევროპამ და ამერიკამ 30 მაისის არჩევნებს საქართველოში დემოკრატიის ტესტი უწოდა. რამდენად ჩააბარებს ამ ტესტს საქართველო, ეს სწორედ 30 მაისს გახდება ცნობილი.

— რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონდა. ვისაუბრეთ საქართველოს ევროატლანტიკურ და ევროპული ინტეგრაციის პროცესზე. შეხვედრა მქონდა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ასევე ეს საკითხები დეტალურად განვიხილეთ ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველთან უსაფრთხოების საკითხებში ჯეიმს ჯონსთან. შეხვედრები მქონდა ბალტიის და ევროპის ქვეყნების საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან. ძირითადი თემა უსაფრთხოების საკითხების განხილვა იყო. თუმცა, რა თქმა უნდა, ასევე ვისაუბრეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობამ დიდი ინტერესი გამოხატა, თუ როგორ ჩატარდება საქართველოში მიმდინარე არჩევნები. ეს საკითხი პრაქტიკულად აყვანილია ერთ-ერთი უსაფრთხოების საკითხის რანგში. რადგან თუ საქართველო შედგა დემოკრატიულ ქვეყნად, მისი უსაფრთხოებაც საერთო ევროპულ სახლში გარანტირებული იქნება. რაც მთავარია, ჩვენ ვუდასტურებთ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ მიუხედავად შიდა პოლიტიკური განსხვავებებისა ქვეყნის შიგნით, ჩვენი საერთო სწრაფვა ევროატლანტიკური და ევროპული სტრუქტურებისადმი სამეზობლოში, ჩვენი ურთიერთობების მშვიდობიანად განვითარებაში არის მთელი ქართველი საზოგადოების საერთო ხედვა. — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

„რატომ?!“ ზურაბ ვაზაგაშვილს საქმის შესწავლას „დიდი რვიანის“ წევრებს სთხოვს

გუშინ თბილისში, ჩოგბურთის კორტებთან, ახალგაზრდული მოძრაობა „რატომ?!““ წარმოომდგენელებმა საპროტესტო აქცია გამართეს და საზოგადოებას მიმართეს ტექსტი გააცნეს.

როგორც მოძრაობის ლიდერმა, ჯაბა ჯიშკარიანმა განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება შეგნებულად არ იძიებს ოთხი წლის წინ, ამ ადგილას სამართალდამცავების მიერ სპეცოპერაციის დროს, დაღუპული ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეს.

„ჩვენ დღეს წარმოვადგენთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფალთა წარმომადგენლებისადგის სპეციალურ მიმართვას, სადაც ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის ობიექტურ გამოძიებას მოვითხოვთ. წერილს „დიდი რვიანის“ მონაწილე სახელმწიფოთა მეთთურებს გავუგზავნით. დღეს ჩვენი მიმართვა საქართველოში ამ სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს მივაწვდით.“ - განაცხადა ჯიშკარიანმა.

ცნობისთვის: ზურაბ ვაზაგაშვილი 2006 წლის 2 მაისს, კორტებთან შსს კრიმინალური დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაიღუპა. მასთან ერთად გარდაიცვალა ალექსანდრე ხუბულოვი, ხოლო მძიმედ დაიჭრა ბუბა ბუთურიძე.

ტექსტი

ნაზი არონია კონტროლის პალატის ქუთაისის ოფისის აპარატის უფროსად დაინიშნა

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ნაზი არონია კონტროლის პალატის ქუთაისის ოფისის აპარატის უფროსად დაინიშნა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კონტროლის პალატაში განუცხადეს, არონია მოვალეობის შესრულებას რამდენიმე დღეში შეუდგება. ნაზი არონია წინა მონვეევის პარლამენტის წევრი იყო. შემდგ კი, იგი რუმინეთში საქართველოს ელჩის მოავარი მრჩეველი იყო.

ინტერფესი

რის თქმა სურს ცაგარეიშვილს პრეზიდენტისთვის?

ნანა ბერეკაშვილი

ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი პრეზიდენტის პარლამენტში სტუმრობისას სიტყვით გამოსვლის უფლებას მოითხოვს.

პრეზიდენტის პარლამენტში ვიზიტისას ცალკეული დეპუტატის სიტყვით გამოსვლა რეგლამენტის მიხედვით გათვალისწინებული არ არის. სიტყვით გამოსვლის უფლება მხოლოდ ფრაქციის თავმჯდომარეებს, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერებს აქვთ. რაც შეეხება ფრაქციის გარეშე დეპუტატებს, მათი გამოსვლა გათვალისწინებული არ არის.

პარლამენტში 4 ფრაქციაა, ორი ოპოზიციური და ორი უმრავლესობაში შემავალი. ოთხი ფრაქციის თავმჯდომარის გარდა, პრეზიდენტის სტუმრობისას სიტყვით გამოსვლა ასევე შეუძლია უმრავლესობის ლიდერს ჰეტრე ცისკარიშვილსა და უმცირესობის ლიდერს გიორგი თარგამაძეს.

გიორგი ცაგარეიშვილი პარლამენტის თავმჯდომარეს თხოვნით მიმართავს, რომ გამნაკლისის სახით, სხდომაზე 5 წუთიანი გამოსვლის უფლება მიეცეს.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე გიორგი ცაგარეიშვილმა განაცხადა, რომ ოფიციალური წერილით მიმართავს პარლამენტის თავმჯდომარესა და ბიუროს, რომ მისი თხოვნა გაითვალისწინონ და 5 წუთიან რეჟიმში გამოსვლის საშუალება მისცენ.

— პარლამენტში უახლოეს დღეებში წლიური მოხსენებით უნდა მობრძანდეს ბატონი მიხეილ სააკაშვილი. ეს ვალდებულება მას აქვს კონსტიტუციიდან და რეგლამენტიდან გამომდინარე. დებატებში, რომელიც უნდა გაიმართოს მისი მოხსენების შემდეგ, მონაწილეობის უფლება არა აქვს პარლამენტის წევრს, გარდა ფრაქციის თავმჯდომარეებისა. აღნიშნული დათქმა მისპობს იმის საშუალებას, რომ გამოვიდე სიტყვით და სააკაშვილის თანდასწრებით მოვახსენო საზოგადოებას იმ პრეტენზიების შესახებ, რომელიც არა მარტო მე, არამედ სრულიად საქართველოს დაუგროვდა, — აღნშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერ დეპუტატს გარკვეული შეკითხვები აქვს, რომელსაც პრეზიდენტის სტუმრობისას დასვამს. კერძოდ, ცაგარეიშვილს აინტერესებს, რატომ არ სცემს დეპუტატის შეკითხვებს პასუხს აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები.

5 თვის მანძილზე ცაგარეიშვილს ათობით წერილი აქვს გაგზავნილი მთავრობის წევრების, პრემიერის სახელზე, რომელზეც პასუხი არ მიუღია.

გიორგი ცაგარეიშვილს აინტერესებს, სად წავიდა 6 წლის მანძილზე 400 მილიონი ლარი, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან არის გამოყოფილი საპრეზიდენტო ფონდის დაფინანსებისთვის.

— რა უყო ეს თანხები მიხეილ სააკაშვილმა? რაში დაიხარჯა? ეს არ არის თანხები, რომელიც მას ერგო მემკვიდრეობით ბებიებისა და ბაბუებისგან. ეს არის თანხები, რომელიც მოძიებულია და გადარიცხულია გადამზდელების მიერ ცენტრალურ ბიუჯეტში. მათ შორის მისი საპრეზიდენტო ფონდის დაფინანსებისთვის, — განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა 4 თვის წინ მთავარ პროკურორს სადეპუტატო შეკითხვით მიმართა და სისხლის სამართლის საქმის აღძრა მოითხოვა მათ მიმართ, ვინც გასული წლის მანიფესტაციებისა და მიტინგების დროს დარღვევა ჩაიდინა.

— დაახლოებით 100-მდე ადამიანის სია მაქვს, ეს სია 4 თვის წინ გადაგზავნილია საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე, არც ერთ პიროვნებაზე კონკრეტული პასუხი არ მიმიღია. რა არის ეს, თუ არა ადამიანის უფლებების დარღვევა და შელახვა? სად არის ჩვენი ქებული დემოკრატიის მესამე თუ მეათე ტალღა? ასე ესმის პრეზიდენტს დემოკრატიის ტალღები? — აღნშნა ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატი დარწმუნებულია, რომ

დეპუტატს წერილობითი სიტყვით გამოსვლა მოითხოვს

მის ინიციატივას ალბათ გამოეხმაურება პარლამენტი და მისი ბიურო.

— გეყოთ, ბატონებო, სითამამე, დამითმეთ 5 წუთი თქვენი ძვირფასი დროიდან. 5 წუთი, რომელიც თქვენ ნერვებს მოგიშლით და აგიფორრიაქებთ, მაგრამ ეს ის 5 წუთია, რომელიც მჭირდება იმისათვის, რომ ყველაფერი მოვახსენო პარლამენტის სხდომათა დარბაზში ბატონ სააკაშვილს, — მიმართა ცაგარეიშვილმა უმრავლესობის წევრებს.

გიორგი ცაგარეიშვილმა ასევე ისაუბრა სახელმწიფო ქონების გასხვისებაზე და ასეთი კითხვა დასვა: „თუ მხოლოდ ერთი ცნობილი შემოხვევაა სახელმწიფო ქონების 1 ლარად გასხვისებული და მეტი არაფერი გაუსხვისებია?“ მანვე განმარტა, რომ საზოგადოებას ლეგიტიმური კითხვები აქვს, რომელზეც პასუხს ვერ იღებს.

ცაგარეიშვილი ვარაუდობს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე და ბიურო პოლიტიკურ კონიუნქტურაზე მაღლა დადგება და პარლამენტის წევრს უფლება ექნება, 5 წუთიანი სიტყვით გამოვიდეს.

— ძალიან გთხოვთ, ბატონებო და ქალბატონებო, ნუ ამოეფარებით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს და კონსტიტუციას, რომელსაც თქვენ ყოველი ფეხის ნაბიჯზე, დილიდან ღამემდე არღვევთ დღესაც და არღვევდით მუდმივად. მომეცით საშუალება, გამოვთქვა ჩემი საწუხარი, იმიტომ, რომ დღეს ვერც ერთი პოლიტიკური ჯგუფი და ეწ. ოპოზიციური ფრაქცია ჩემს კანონიერ ინტერესებს ვერ აკმაყოფილებს და ვერც მომავალში დააკმაყოფილებს, — აღნშნა ცაგარეიშვილმა.

დეპუტატის თქმით, პრეზიდენტი თებერვლის პირველ სასესიო კვირის პირველ სამუშაო დღეს, როგორც წესი, უნდა წარდგეს პარლამენტის წინაშე შესაბამისი ანგარიშით.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა დრაკონული ჩანაწერი უწოდა იმას, რომ სიტყვით გამოსვლის უფლება მხოლოდ ფრაქციის თავმჯდომარეებს აქვთ და არა ცალკეულ დეპუტატებს. ცაგარეიშვილის თქმით, პარლამენტის წევრს არ ეძლევა არანაირი უფლება, გამოვიდეს, პრეზიდენტს მიმართოს და გამოიყენოს საპარლამენტო ტრიბუნა.

წინა პარლამენტის დროს პრეზიდენტი ყოველწლიური მოხსენების შემდეგ პარლამენტის სხდომათა დარბაზს ტოვებდა. ფრაქციის თავმჯდომარეებს პარლამენტში სიტყვით გამოსვლა ისე უწევდათ, რომ პრეზიდენტი დარბაზში აღარ იყო. ამას ოპოზიციური ფრაქციების ლიდერები ხშირად აპროტესტებდნენ.

ამ პარლამენტში პრეზიდენტი ყოველწლიური მოხსენებით წარდგა და ფრაქციის თავმჯდომარეების გამოსვლაც მოისმინა. გარდა ამისა, პრეზიდენტი პარლამენტში რიგგარეშეც მივიდა და ახალ საკონსტიტუციო ინიციატივებზე ისაუბრა.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის დრო დაზუსტდება, პარლამენტის ბიურო შეიკრიბება და იმსჯელებს, როგორი ფორმატით წარიმართება მუშაობა. ტრადიციულად, პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ ცხადდება შესვენება, ამის შემდეგ კი იწყება ფრაქციის თავმჯდომარეების გამოსვლა.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი განმარტავს, თუ როგორი წესით მუშაობს პარლამენტი პრეზიდენტის სტუმრობისას.

— პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენებისას რეგლამენტი არ განსაზღვრავს პროცედურას, პრეცედურაზე გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის ბიურო. მას შემდეგ, რაც დადგინდება პრეზიდენტის მოსვლის თარიღი, ბიურო იმსჯელებს და გადაწყვეტილებას მიიღებს, — აღნიშნა გოგორიშვილმა.

ამდენად, ბიუროს გადასაწყვეტია, მიეცემა თუ არა ცალკეულ დეპუტატს სიტყვით გამოსვლის უფლება. თუ წინა წლების გამოცდილებას გადავხედავთ, ფრაქციის გარეშე დეპუტატები ყოველთვის ითხოვდნენ პრეზიდენტის სტუმრობისას სიტყვით გამოსვლის უფლებას, მაგრამ თითქმის ყოველთვის უარყოფით პასუხს იღებდნენ.

პარლამენტის ბიურომ შესაძლოა ახლაც იგივე გადაწყვეტილება მიიღოს და ცალკეულ დეპუტატებს სიტყვით გამოსვლის უფლება არ მისცეს. თუმცა, ეს ყველაფერი მას შემდეგ გაირკვევა, რაც ამ საკითხზე პარლამენტის ბიურო გაიმართება.

პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების დროს, სავარაუდოდ, ძირითადი აქცენტები ეკონომიკურ საკითხებზე და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე გაკეთდება.

ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ პრეზიდენტი ასევე შეეხება უკრაინაში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს და რუსულ-ქართულ ურთიერთობებს. ტრადიცია ალბათ არც ახლა დაირღვევა და მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე ახალი ინიციატივით გამოვა.

ბოლო პერიოდში პრეზიდენტი პარლამენტში სტუმრობისას რამდენიმე საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივითაც გამოვიდა, რომელთა შორის არის: პარლამენტის სხდომების ქუთაისში გადატანა, დახეული მანდატების აღდგენის საკითხი და სხვა.

უმრავლესობის წევრები ამბობენ, რომ პრეზიდენტი ყოველწლიური მოხსენების დროს პარლამენტში რამდენიმე ახალი ინიციატივით გამოვა. ამ ინიციატივების დაკონკრეტებისგან ამ ეტაპზე მმართველი ფრაქციის წევრები თავს იკავებენ.

ხელისუფლება გაყალბებას ოპოზიციის ხელით აკანონებს

ნანა ბერეკაშვილი

„ეროვნული ფორუმი“ დანარჩენ ოპოზიციას მოუწოდებს, არ მიიღონ მონაწილეობა საარჩევნო სიების გადამოწმებაში. ირაკლი მელაშვილის განცხადებით, ადგილობრივი არჩევნები უკვე გაყალბა ხელისუფლებამ და ამ თამაშში ოპოზიციის ჩართვა გაყალბების „გაბრავება“ იქნება.

ხელისუფლებამ ოპოზიციას თანამშრომლობა შესთავაზა ამომრჩეველთა სიების კარდაკარ მეთოდით გადამოწმებაში. ამისთვის ბიუჯეტიდან მილიონნახევარი იქნა გამოყოფილი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე დადო ამომრჩეველთა რაოდენობის ამსახველი ციფრი. 3 მილიონ 700 ათასი ამომრჩეველი უკვე დაიფიქსირა ცესკომ უცხოეთში მცხოვრები და დევნილი ქართველების მონაცემების გარეშე.

3 მილიონ 700 ათასი ამომრჩეველის დაფიქსირება თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიისთვის მიუღებელია, რადგან ისინი აცხადებენ, რომ მსგავსი ციფრი შეუძლებელია რეალობასთან ახლოს იყოს.

— ნათელია, რომ საარჩევნო სიებში დღეს არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისთვის ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული მოდელი არაეფექტურია. სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან ეს არის მორიგი პრობაგანდისტული აქცია, რომლის მიზანია არა არსებული საარჩევნო სიების გაუმჯობესება, არამედ მათში არსებული უზუსტობების ოპოზიციის ხელით დაკანონება. „ეროვნული ფორუმი“ არ მონაწილეობს აღნიშნულ პროცესში და მიმართავს ოპოზიციურ პარტიებს, ან გადადგან იგივე ნაბიჯი, ან, თუკი აღნიშნულ საკითხზე სურთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, შესთავაზონ მათ ქმედითი მექანიზმი ამომრჩეველთა ზუსტი სიის დასადგენად. — ნათქვამია ფორუმის განცხადებაში.

პრესკონფერენციაზე ირაკლი მელაშვილმა მოქალაქეების ბინებში ჩაწერილ უცხო მოქალაქეებზე ისაუბრა, რომელთა ერთადერთი ფუნქციაც სწორედ არჩევნებში რამდენიმე ხმის მიცემაა. მისი განცხადებით ერთადერთი გამოსავალი ბინების მეპატრონეების განცხადებაა მსგავსი შემთხვევების გამოსავლენად. თუმცა, ასეთი განცხადებები ჯერ არ გაკეთებულა.

— ჩვენ ამ საკითხზე გვქონდა კონსულტაციები ბოლო თვეების განმავლობაში როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თუ როგორ შეიძლებოდა საარჩევნო სიების გადამოწმება და იმ ადამიანებისგან დასუფთავება, რომლებიც რამდენიმე ადგილზე აძღვევენ ხმას. კარდაკარ მეთოდით გაყალბებების შემოწმება, რომელიც საარჩევნო სიებში არსებობს, შეუძლებელია. მთავარი, რაც ხდება ბოლო სამ არჩევნებზე, ყალბი პირადობის მოწმობების გაცემაა. ადამიანები ამა თუ იმ მოქალაქის ბინაში არიან ჩაწერილები. ეს ადამიანები რამდენიმე ადგილას აძღვევენ ხმას. ასეთი ყალბი პირადობის მოწმობები საკმაოდ დიდი რაოდენობით არის დაფიქსირებული ბოლო არჩევნებზე თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა სხვა ქალაქებში. ამ მეთოდით, რომელიც ხელისუფლებამ ოპოზიციას შესთავაზა, გაორებული სიების გასწორება, ვიმეორებ, შეუძლებელია. ერთადერთი შანსი არსებობს, თავად ბინის მეპატრონემ უნდა განაცხადოს, რომ მასთან არის ჩაწერილი ის ადამიანი, რომელიც იქ არ ცხოვრობს. თუ ბინის მეპატრონეს ამის სურვილი ექნებოდა, მაშინ აქამდე გაკეთდებოდა ასეთი განცხადებები. — ამბობს მელაშვილი.

„ეროვნული ფორუმის“ წევრი აცხადებს, რომ ხელისუფლებას წინასწარ ჰქონდა გათვლილი თუ რა შედეგს მიიღებდა აქედან.

15 მარტამდე არის ვადა განსაზღვრული კარდაკარ პრინციპით საარჩევნო სიების გადამოწმებისა.

— ხელისუფლებას ძალიან კარგად ჰქონდა გათვლილი, როდესაც ასეთ თანამშრომლობას სთავაზობდა ოპოზიციას. 15 მარტს ხელისუფლება სერიოზულ პროპაგანდისტულ შედეგს ელოდება. ამ პროცესში ხელისუფლების მთავარი მიზანი, ამას ხაზგასმით ვამბობ, არის ის, რომ საარჩევნო სიებში არსებული გაყალბებების დაკანონება ოპოზიციის მეშვეობით მოხდეს. ოპოზიცია ვერ მოასწრებს 15 მარტისთვის სერიოზულ სხვაობებს წარმოდგენილ სიებსა და რეალურ სიებს შორის, ის ბრალდებები, რომელიც ისმოდა ბოლო არჩევნების დროს ოპოზიციის მხრიდან, რომ სიები გაბერილია, რომ სიებით ხდება მანიპულირება, 15 მარტს ხელისუფლება იტყვის, რომ ეს ყველაფერი ტყუილი იყო. ამ პროცესში ხელისუფლების დამმარე, ნებსით თუ უნებლიეთ ოპოზიცია აღმოჩნდება. ცესკოს მონაცემებით, 3 მილიონ 700 ათასი ამომრჩეველია დღეს საქართველოში. მაშინ, როდესაც ქვეყანაში 4 მილიონი ადამიანი არ ცხოვრობს. ასეთი შეფარდება მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის ამომრჩეველსა და არამომრჩეველს შორის. ეტყობა ამ ქვეყანაში ბავშვები საერთოდ აღარ იბადებიან ან პირდაპირ საარჩევნო ასაკში იბადებიან. — განაცხადა ირაკლი მელაშვილმა.

ფორუმი ოპოზიციას მოუწოდებს, რომ თუ ამ პროცესში, ოპოზიციის 12 პარტია მაინც მიიღებს მონაწილეობას, სიის გადამოწმების რეალური მექანიზმები შეიძლება შესათავაზოს ხელისუფლებას.

— ნებისმიერი მცდელობა ახალი საარჩევნო სიების შედგენისა ხელისუფლების მხრიდან ბლოკირებული იქნება იმ მოტივით, რომ არსებული საარჩევნო სიები ზუსტი არის. რისი დამადასტურებელი იქნება ის, რომ 12 ოპოზიციურმა პარტიამ საარჩევნო სიები გადაამოწმა. მე ვაფიქსირებ, რომ 3 მილიონ 700 ათასი ადამიანის გადამოწმება ერთი თვის განმავლობაში ნიშნავს, რომ დღეში 100 ათასი მოქალაქე უნდა გადამოწმდეს, რისი რეზურსიც არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ აქვს. ჩვენ მივუწოდებთ ოპოზიციას, რომ ან უარი თქვან ამ პროცესში მონაწილეობაზე ან თუ ძალიან სურთ, რომ ხელისუფლებასთან ითანამშრომლონ ამ საკითხზე, მაშინ შესთავაზონ რეალური მექანიზმი სიების გადამოწმების. რაც შეეხება რეალურ მექანიზმს, ამ მექანიზმის ნაწილი ჩვენ ოპოზიციას მივაწოდეთ, რომელიც წარდგენილი უნდა ყოფილიყო ენდიაის ფორმატით მომუშავე კომისიაში საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, მაგრამ იქ ვერ მოხერხდა მისი გატანა. — აღნიშნავს მელაშვილი.

ფორუმი უახლოეს დღეებში გამართავს აღნიშნული მექანიზმის პრეზენტაციას, რომლის განხორციელებაც, მათი თქმით, უფრო იაფი დაუჯდება ბიუჯეტს.

— ალბათ, პირველი შეხვედრა გაიმართება „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბთან“. ჩვენ ყველა ნოვაციას წარვადგენთ, რომელიც უნდა შევიდეს საარჩევნო კოდექსში იმისთვის, რომ არჩევნები აღარ გაყალბდეს საქართველოში. ეს მექანიზმი ბევრ ქვეყანაში არის აპრობირებული, მათ შორის იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიის მიმართულებით პრობლემებია. მისი განხორციელება ტექნიკურად სირთულეს არ წარმოადგენს. — განაცხადა მელაშვილმა.

აღნიშნული მეთოდის დეტალებზე მელაშვილი აცხადებს, რომ რამდენიმე დღეში დეტალურად ისაუბრებს.

აფხაზეთი სომხებს დარჩათ?!

ჟურნალისტი

აფხაზეთის სახალხო დამცველის მურმან ჩხოტუას თქმით, აფხაზეთში სიტუაცია ძალიან დამძიმებულია. განსაკუთრებით დაძაბული მდგომარეობაა გალის რაიონში, სადაც ძირითადად ქართველები ცხოვრობენ.

მურმან ჩხოტუა:

— აფხაზეთში ძალიან მძიმე სიტუაციაა. განსაკუთრებით კი გალის რაიონში. რუსმა ოკუპანტებმა თითქმის ყველა გადასასვლელი გადაკეტეს, გაამკაცრეს რეჟიმი, მოსწავლეებს აღარ ატარებენ. მათ რუსულად თარგმნილ პირადობის მოწმობებს სთხოვენ. ასევე მშობლებისგანაც რუსულად თარგმნილ დოკუმენტებს მოითხოვენ. ხალხის გასამწარებლად, ქართული მოსახლეობის საწინააღმდეგოდ რა მოიგონონ, აღარ იციან. რუსი ოკუპანტები ყველაფერს აკეთებენ, რომ როგორმე გაამწარონ მოსახლეობა. 29 იანვარს სოფელ ჭუბურხინჯში მოხდა აფეთქება, იქ დაიღუპა გალის მილიციის თანამშრომელი, მშვიდობიან მოსახლეობაშიც იყო მსხვერპლი. დაიღუპნენ ძმები ჯამბულ და ჯინერ წულაიები. არიან დაჭრილებიც — მათი მეზობლები, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. აფეთქების წინა დღეს ჭუბურხინჯში დაიყაჩაღეს თაკარე ნერანძიეს ოჯახი. მოსახლეობამ გამოიძახა მილიცია. მილიცია რომ მივიდა, აფეთქება მაშინ მოხდა. შედეგად აფხაზური მილიციის ერთი თანამშრომელი გარდაიცვალა, ხოლო ორი — დაიჭრა. აფხაზებმა, რა თქმა უნდა, ქართველები დაგვადანაშაულეს, თითქოს აფეთქება ქართველებმა მოაწყვეს. ასეთი განცხადებებით თავი ხომ უნდა გაიმართლონ. სისულელეა, აფეთქებას თვითონ აფხაზები უწყობენ ერთმანეთს, ყველაფერს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ აკეთებენ.

— რატომ, კლანებია? კლანური დაჯგუფებებია?

— რა თქმა უნდა, კლანებია და გავლენის ზონებს ვეღარ იყოფენ. 31 იანვარს საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის დაკავეს გალის რაიონის სოფელ საბერიოს მკვიდრი ოთარ ბაძაღუა, ჯაბა შონია, მაყვალა გოგოხია და წალენჯიხის რაიონის კიდევ ორი მშვიდობიანი მოქალაქე. ყველანი წაიყვანეს გალის მილიციაში, დააჯარიმეს და შემდეგ გამოუშვეს. მათ გამოუწერეს ჯარიმები და გააფრთხილეს, რომ პირველ შემთხვევაში იქნება გაფრთხილება, მეორე შემთხვევაში — ჯარიმა, მესამე შემთხვევაში — ორმაგი ჯარიმა. შემდეგ კიდევ თუ დაიკავეს, კიდევ მოიგონებენ მკაცრ ზომებს ამ ხალხის გასამწარებლად.

— უკანონო გადაკვეთას რას ეძახიან? რუსულად თარგმნილი პირადობის მოწმობებითაც არ უშვებენ თუ დაკავებულებს საბუთები საერთოდ არ აქვთ?

— საბუთები აქვთ, მაგრამ აფხაზები მიიჩნევენ, რომ გალის რაიონის ქართული მოსახლეობა საქართველოს მოქალაქეებია. მათ არ აქვთ აფხაზური პასპორტები და არ მიუღიათ აფხაზეთის მოქალაქეობა. ამიტომ ისინი ამას დარღვევად თვლიან და ამბობენ საზღვარი არაკანონიერად გადმოლახესო.

— იქიდან აქეთ უშვებენ?

— უშვებენ ნაცნობობით, ფულით... ადამიანები გადმოდიან აქეთ, მიდიან იქითაც, მაგრამ ყველაფერი ხდება ნაცნობობით. თუმცა, რუსი რომ დაიჭერს, აჯარიმებს.

— აფხაზი?

— თუ აფხაზი გაბრაზებულია, ისიც დაიჭერს და დაჯარიმებს, ფულს წაართმევს. სოფელ ხურჩაში დაიჭირეს ხალხი. 22 იანვარს სოფელში რუსი ოკუპანტების გარკვეული ჯგუფი გადმოვიდა. იქ იყო გალის რაიონის სოფელ ნაბაკეევის მკვიდრი ეზვაია, რომელიც უცდიდა გალის რაიონიდან თავისიანების გადმოსვლას, მანქანის წართმევა უნდოდათ, მაგრამ ვეღარ მოახერხეს. ქართველი სამართალდამცავები რომ მივიდნენ, რუსი ოკუპანტები ისევ უკან გაიქცნენ. ყველგან ასეთი სიტუაციაა. უფრო მეტად ყველანაირი დანაშაული გალში ხდება.

— აფხაზებსა და სომხებს შორის დაძაბული სიტუაცია ჩაცხრა?

— იგივე ვითარებაა, რაც იყო. სომხების რაოდენობამ აფხაზი მოსახლეობის რაოდენობას თითქმის გაუსწრო. ეს სიტუაცია აფხაზებს აფიქრებთ. დაახლოებით 40 ათასამდე აფხაზი გასულია აფხაზეთიდან. იქ დარჩა 50 ათასამდე აფხაზი, მაგრამ სომხები უფრო მეტი არიან. 2003 წლის აღწერით, აფხაზეთში 45 ათასი სომეხი იყო. მას შემდეგ კიდევ დაემატა, ანუ მათი რაოდენობა ახლა 45 ათასსზე მეტია.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ესპანეთი-საქართველოს „მრავალმხრივი პარტნიორობის" შეხვედრა გაიმართება

სასტუმრო „რედისონში" ესპანეთი-საქართველოს "მრავალმხრივი პარტნიორობის" შეხვედრა გაიმართება.

როგორც „პირველს" ესპანეთის საელჩოდან აცნობეს, შეხვედრას, პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური გახსნის.

ამასთან, შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს გარემოს დაცვის, ენერგეტიკის, ეკონომიკური განვითარების და ფინანსთა მინისტრები.

10 თებერვალს კი სასტუმრო „რედისონში" „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის„ წევრი კომპანიები ესპანელ ბიზნესმენთა დელეგაციას შეხვდებიან. შეხვედრა მთლიანად ქართულ-ესპანურ ბიზნესს და ბიზნეს-პარტნიორობის განვითარებას მიეძღვნება, რომელზეც როგორც ქართული, ასევე ესპანური მხვნეი ბიზნეს-კომპანიები იქნებიან წარმოდგენილნი.

ცნობისთვის, ესპანელი ბიზნნესმენები საქართველოს დღეს ეწვივნენ და 11 თებერვლამდე დარჩებიან.

პრესა

ე.წ. ლორის გრიპით 69 წლის მამაკაცი დაიღუპა

ვირუსს კიდევ ერთი ადამიანი ემსხვერპლა. გარდაცვლილი 69 წლის მამაკაცია.

როგორც „მედიანიუსს" დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის უფროსმა პაატა იმნაძემ განუცხადა, მამაკაცი გუშინ ლუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში გარდაიცვალა, გუშინ კი, ლაბორატორიული შემოწმების შემდეგ, დადასტურდა, რომ მას ნამდვილად ეიჩ1ენ1 ვირუსი ჰქონდა.

მისივე ცნობით, პაციენტს ტუბერკულიოზი ჰქონდა და მკურნალობამ სწორედ ამიტომ ვერ გამოიღო შედეგი.

დღემდე საქართველოში ეიჩ1ენ1 ვირუსი 100 000 მეტმა ადამიანმა გადაიტანა, აქედან, 29 ადამიანი გარდაიცვალა.

მედიანიუსი

საქალაქო სასამართლომ ნინო ბურჯანაძის სარჩელი არ დააკმაყოფილა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნინო ბურჯანაძის სარჩელი, წყნეთის აგარაკთან დაკავშირებით, არ დააკმაყოფილა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან აცნობეს, კოლეგიას სარჩელით მიმართა ნინო ბურჯანაძემ და მოპასუხეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს 2009 წლის 26 ოქტომბრის №3793 ბრძანებულების ბათილად ცნობა მოსთხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით, სასამართლომ ნინო ბურჯანაძის სარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა.

გადაწყვეტილების თანახმად, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ საგადასახადო ორგანომ გადასახადის გადაამდელის დაყადაღებული ქონება სახელმწიფო საკუთრებაში დაიბრუნა საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 სექტემბრის №158 დადგენილების მოთხოვნათა სრული დაცვით.

მათივე ინფორმაციით, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში.

ინტერპრესნიუსი

ლტოლვილთა სამინისტრო ბაღათურიას ბრალდებებს უარყოფს

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო გამოეხმაურა პარლამენტარ ჯონდი ბაღათურიას ბრალდებას, რომლითაც ის სამინისტროს დევნილთათვის გამოყოფილი თანხების გაფლანგვაში ადანაშაულებს და ანტიკრიზისული საბჭოს მონვევას ითხოვს.

როგორც „მედიანიუსს" ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსმა ვალერი კოპალეიშვილმა განუცხადა, სამინისტრო ანტიკრიზისული საბჭისთვის მზადაა: ეს არის მორიგი უსაფუძვლო ხმაური, ყურადღების მიქცევის და პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით. სახელმწიფო არავის ტოვებს საცხოვრებლის, კოტეჯის ან კომპენსაციის გარეშე. სამინისტრო მზად არის, ნებისმიერ დროს წარდგეს ანტიკრიზისული საბჭოს წინაშე და ანგარიში წარადგინოს.

მედიანიუსი

შსს 40 ათასი პოლიციელის სამსახურიდან გათავისუფლებას უარყოფს

შინაგან საქმეთა სამინისტრო ლეიბორისტების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს უახლოეს მომავალში 40 ათასი პოლიციელის გათავისუფლება იგეგმება, არ ადასტურებს.

როგორც „მედიანიუსს" შსს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა განუცხადა, სამინისტროში შემცირებები საერთოდ არ იგეგმება და ლეიბორისტები რას იტყვიან, ნაკლებად აინტერესებთ.

შეგახსენებთ, რომ 40 ათასი პოლიციელის შესაძლო გათავისუფლებასთან დაკავშირებით ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ სატბერაშვილმა დღეს განაცხადა. მისივე თქმით, შსს შემცირებებს უსახსრობით ხსნის.

მედიანიუსი

კობა დავითაშვილი მცირე მეწარმეთა ინტერესების დაცვას განაგრძობს

„ხალხის პარტიის" ლიდერი კობა დავითაშვილი მცირე მეწარმეთათვის ფიქსირებული გადასახედის შემოღებისთვის ბოლომდე იბძოლებს.

ამის შესახებ დავითაშვილმა პარლამენტის შენობის წინ, მცირე მეწარმეების საპროტესტო აქციაზე განაცხადა.

— ხელისუფლებამ მცირე მეწარმეების, როგორც ფენის მოსპობა განიზრახა. ჯარიმების ის ოდენობა, რომელიც კანონშია ჩადებული, ასევე, სასამართლოს სანქციის გარეშე დაყადაღების ინსტიტუტი, მიმართულია მცირე მეწარმეობის მოსპობისკენ, — განაცხადა დავითაშვილმა.

მისივე თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ მაღაზიების ქსელები, ფასების მაღალ დონეზე მონოპოლიურად შენარჩუნებაში კი მცირე მეწარმეები ხელს უშლიან.

— ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ ფიქსირებული გადასახადის შემოსაღებად და ყველა იმ ჯარიმის გასაუქმებლად, რომელიც ამ ხალხს აკოტრებს, — აღნიშნა „ხალხის პარტიის" ლიდერმა.

200-მდე მცირე მეწარმე ფიქსირებული გადასახადის შემოღების მოთხოვნით გუშინპარლამენტის შენობის წინ შეიკრიბა და საპროტესტო აქცია გამართა.

ინტერპრესნიუსი

პარლამენტი სტატისტიკის სამსახურის საბჭოს წევრებს დაამტკიცებს

პრეზიდენტმა პარლამენტს დასამტკიცებლად რეფორმირებული სტატისტიკის სამსახურის საბჭოს წევრობის კანდიდატები წარუდგინა.

კერძოდ, სტატისტიკის სამსახურის საბჭოს წევრობის კანდიდატებად პრეზიდენტის მხრიდან დასახელებული არიან: ზაზა ჭელიძე, ვაჟა ნადარეიშვილი, ნოდარ კაპანაძე, გია ჯანდიერი, ამირან ბაბუნაშვილი, მერაბ ხიმშიშვილი, ვახტანგ მეგრელიშვილი და ქეთევან მარშავა. აღნიშნული რვა კანდიდატიდან პარლამენტმა მხოლოდ ხუთი უნდა დაამტკიცოს.

კანონმდებლობის თანახმად, სტატისტიკის სამსახურის საბჭო 7 წევრისა და თავმჯდომარისგან შედგება. საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად "საქსტატის" აღმასრულებელი დირექტორია, რომელსაც თანამდებობაზე პრეზიდენტი ნიშნავს და ათავისუფლებს. მას ამ პოსტზე ყოფნა მხოლოდ 4 წლის ვადით შეუძლია.

რაც შეეხება უშუალოდ საბჭოს შემადგენლობას, საბჭოში წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნული ბანკის, ეკონომიკის სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს თითო-თითო წარმომადგენელი. დანარჩენი 5 წევრი კი, რომელსაც პარლამენტი ირჩევს, საჯარო მოსამსახურე არ უნდა იყოს.

შეგახსენებთ, რომ გახორციელებული რეფორმის შედეგად, სტატისტიკის სამსახური ეკონომიკის სამინისტროს მმართველობიდან გამოვიდა და იგი დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ყალიბდება.

პრესა

საქართველოში ძვირფასეულობა მალულად შემოპქონდა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა სბაბაო წესების დარღვევის, სბაბაო კონტროლისაგან მალულად განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოტანის ფაქტზე დააკავეს სომხეთის მოქალაქე გრეტა სუკიასიანი, რომელსაც სომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოს სბაბაო-გამშვებ პუნქტ "სადახლოზე" დაახლოებით 40 000 ლარის ღირებულების ძვირფასეულობა და სიუველირო ნაკეთობები მალულად გადმოჰქონდა.

მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით, რაც ითვლისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან შვიდ წლამდე ვადით

მედიანიუსი

ქვევრში დაყენებული კახური ღვინო იაპონიაში იყიდება

ნაფარეულის „ძველი მარანის" ქვევრებში, ტრადიციულად დაყენებული ღვინოები იაპონიის ბაზარზე იყიდება.

როგორც რადიო „ჰერეთს" ნაფარეული — ძველი მარანის დირექტორმა გელა გამტკიცულაშვილმა განუცხადა, ძველ მარანში ღვინო ძირითადად ტრადიციული წესით, ქვევრებში მზადდება და შემდეგ მინისა და პოლიეთილენის ბოთლებში ისხმება. სწორედ ქვევრში დაყენებული ღვინით 2009 წელს იაპონელი ბიზნესმენი დაინტერესდა, რომელმაც კახური ღვინო „ტევანი" იაპონიის ბაზარზე გაიტანა.

— იაპონიის მხარემ თანამშრომლობა შემოგვთავაზა. ამ ეტაპზე 500 ბოთლი ღვინოა გატანილი. იაპონიის მხარე ადგილობრივი ტელევიზიის და პრესის საშუალებით ქართულ ღვინოს პოპულიზაციასაც უწევს. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ქვევრში დაყენებული ღვინო უნიკალურია. გაზაფხულიდან ჩვენი ღვინო ექსპორტზე ლატვიაში გავა, ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმ ბიზნესმენებთან, რომლებსაც ჩვენი ღვინის გატანა ამერიკის ბაზარზე უნდათ, — განუცხადა რადიო „ჰერეთს" გელა გამტკიცულაშვილმა.

„ძველი მარანი" წელინადში 100 ტონამდე ღვინოს აწარმოებს. პროდუქციის ძირითადი ნაწილი სუპერმარკეტების ქსელში იყიდება.

მედიანიუსი

აფხაზეთის საპარლამენტო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვიზიტით იტალიაში იმყოფება

სოხუმის რეჟიმის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაქსიმ ღვინჯია ვიზიტით იტალიაში იმყოფება. როგორც საინფორმაციო საგენტო „აპსნი პრესი" იუწყება, ღვინჯია იტალიაში ქვეყნის პარლამენტის სენატორების მიწვევით იმყოფება.

ღვინჯიას განცხადებით, შეხვედრებმა ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა.

— იტალიაში ინტერესით აკვირდებიან კავკასიაში არსებულ ვითარებას. 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ქმედებებმა იტალიელების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. აფხაზეთს, ისევე როგორც კოსოვოს, აღიარების უფლება აქვს. აფხაზი ხალხის დამოუკიდებლობის უფლებას საერთაშორისო თანამეგობრობამ იგნორირება არ უნდა გაუწიოს, — განაცხადა მაქსიმ ღვინჯიამ. მისივე აზრით, აფხაზეთსა და იტალიას ისტორიული და კულტურული კავშირები აკავშირებთ. ღვინჯიას ასევე მიაჩნია, რომ დემოკრატიზაციისკენ მიმართული აფხაზეთის ლონისძიებები საერთაშორისო თანამეგობრობამ სათანადოდ უნდა დააფასოს.

— ცოტა ხნის წინ ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ აფხაზეთმა დემოკრატიზაციის მნიშვნელოვან დონეს მიაღწია. აფხაზეთი ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებისთვის ევროკავშირის ქვეყნებთან მუშაობას გააგრძელებს, — განაცხადა ღვინჯიამ.

ინტერპრესნიუსი

თამარ გვერდწითელმა მთავარი საოპერო ოცნება აისრულა

ვგეშინოდეთ საკუთარი ურვილების შესრულებისა □ ლეგენდარული ლ4

გრიგოლ ელიზბარაშვილი

ჩუსეთში მოღვაწე ქართველ მომღერალ თამარ გვერდწითელთან ინტერვიუს უყრია ინელი მეღია აქვეყნებს. მასალას მკითხველი შემოკლებით გთავაზობთ.

— მას დედოფალს და მოკრძალებულ „დივას“ უწოდებენ, საქართველოს სიამაყეს და ყველაზე ელეგანტურ მომღერალს პოსტსაბჭოთა სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ თამარ გვერდწითელმა წარმოუდგენელ პოპულარობას მიაღწია, ხოლო მისი ტალანტის თაყვანისმცემლების მოძებნა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება, საქართველოს და რუსეთის სახალხო არტისტმა როგორც აღმოჩნდა, დღემდე ვერ მოახერხა ზოგიერთი თავისი შემოქმედებითი ამბიციის რეალიზება.

გვერდწითელს დიდი ხანია სურს საკუთარი თავი საოპერო მომღერლის როლში გამოსცადოს პროექტში, რომელიც ადამიანს სულის სიღრმემდე შეძრავდა და მან ეს შეძლო. უკრაინის სახალხო არტისტის, დნეპროპეტროვსკელი რეჟისორის იური ჩაიკას და საერთაშორისო თეატრალური პროექტის „ჩემი კარმენის“ წყალობით. თამარ გვერდწითელის ოცნება აღსრულდა.

სპექტაკლი „ჩემი კარმენი“ — ეს მართლაც რაღაც ახალი თეატრალურ და საოპერო ხელოვნებაში. სპექტაკლის პროდიუსერის კონსტანტინ პიწჩუკის თქმით, პროექტი უნიკალურია და ერთადერთია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. პირველ რიგში, ლეგენდარული თამარ გვერდწითელის გარდა სპექტაკლში საოპერო ხელოვნების ნამდვილი ვარსკვლავებიც მიიღებენ მონაწილეობას. დონ ხოსეს პარტიას მილანის საოპერო თეატრ ლა-სკალას სოლისტი ჯოვანი რიბიკეზუ შეასრულებს, ტორეადორის პარტიას — საერთაშორისო ვოკალური კონკურსების ლაურეატი, ხარკოველი ალექსეი დუგინოვი.

მეორეს მხრივ, მაყურებლები სცენაზე საოპერო ვოკალის, საესტრადო შესრულების და საბალეტო ქორეოგრაფიის არაჩვეულებრივ სინთეზს იხილავენ. გარდა ამისა, მაყურებელს ელის აქამდე არავის მიერ გამოცდილი ვიდეოდეკორაციები, რომელსაც თან ახლავს ფილმებიდან ფრაგმენტები და ყველაფერი, რაც სცენაზე ხდება.

იმისთვის, რომ ჟორჟ ბიზეს ოპერაში ლეგენდარული კარმენის პარტია ეთამაშა და ემღერა, თამარ გვერდწითელმა ციმბირში 8 კონცერტი გადადო, ხოლო სპექტაკლში მისმა პარტნიორმა ჯოვანი რიბიკეზუმ — 4 კონცერტი ევროპაში. სხვათა შორის, იმისთვის, რომ ჯოვანის გაცნობოდა, თამარ გვერდწითელი სპეციალურად მილანში გადაფრინდა.

გახმაურებული სპექტაკლის „ჩემი კარმენის“ პრემიერა 23 იანვარს დონეცკში ჩატარდა. დნეპროპეტროვსკელებმა პრემიერა 25 იანვარს იხილეს. ქალაქში, რომელიც თამარ გვერდწითელის თქმით, დიდ სცენაზე მისი მოღვაწეობის დასაწყისი გახდა; თამარ მიხაილოვნამ პრემიერამდე პრესკონფერენციაზ ჩაატარა და ზედმეტი ვარსკვლავურობის გარეშე ჟურნალისტების კითხვებზე პასუხები გასცა.

— *თამარა, გვითხარით თუ შეიძლება რატომ გადაწყვიტეთ სპექტაკლის ჩვენება დნეპროპეტროვსკშიც?*

— დნეპროპეტროვსკი ჩემს ცხოვრებაში შემთხვევით არ გამოჩენილა და წარმოშობილა. ამას თავისი ახსნა აქვს — 1981 წელს თქვენს სახელგანთქმულ ქალაქში ჩემი სცენური ცხოვრება დაიწყო. მაშინ მე საბჭოთა სიმღერის ახალგაზრდა შემსრულებლების საკავშირო კონკურსში ვიღებდი მონაწილეობას. სწორედ იმ დღიდან მოყოლებული დნეპროპეტროვსკში დიდ სცენაზე ჩემი მოღვაწეობა დაიწყო.

— *გჯერათ თუ არა სპექტაკლ „ჩემი კარმენის“ წარმატების?*

— ვფიქრობ, რომ ისეთ ადამიანს, როგორიც იური ჩაიკაა, რომელსაც ნებისმიერ დროს გუნდის ჩამოყალიბება შეუძლია, მათ შორის ამგვარ რთულ დროშიც კი, მას საკუთარი იდეების განხორციელება შეუძლია; მადლობელი ვარ იური ჩაიკასი, რომ ჩვენ წინასწარი მოლაპარაკების და შეთანხმების გარეშე, ერთმანეთის ოცნებები განვახორციელეთ. მე 14 წლის ასაკიდან მოყოლებული პროსპერ მერიმეს კარმენის თამაშზე ვოცნებობდი. ვფიქრობ, რომ ასეთ შესანიშნავ პარტნიორებთან — მომღერლებთან და მამაკაცებთან — ჯოვანი რიბიკეზუსთან და ალექსეი დიგუნოვთან ყველაფერს შევძლებ.

— *რით გიზიდავდათ კარმენის სახე და ამ გმირის რომელ ხასიათს აიგივებთ საკუთართან?*

— კარმენის თამაშზე 17 წლამდე ყველა გოგონა ოცნებობს. მე ეს ოცნება 14 წლიდან არ მტოვებდა. ნებისმიერ ასაკში და გადამწყვეტ მომენტებში ჩემი ცხოვრებისა ვხვდებოდი, რომ მე შევძლებდი ამ უდიდესი სიმღერის შესრულებას. იცით, როგორც ამბობენ — გეშინოდეს საკუთარი სურვილების, ისინი შეიძლება მართლაც აღსრულდეს. ალბათ, არც ერთ ჩვენგანს არც დაგვესიზმრებოდა, რომ 2010 წელს დნეპროპეტროვსკში ჩემი ოცნება აღსრულდებოდა. ეს ჩემთვის განსაკუთრებულად ფასეულია, მით უმეტეს, რომ ეს ნორჩ მუსიკალურ ოცნებებთან არის დაკავშირებული.

— *რა იყო ყველაზე რთული რეპეტიციების და სპექტაკლისთვის მომზადების დროს? კერძოდ, როგორ მიდიოდა ურთიერთობა თქვენს პარტნიორთან მილანის ლა-სკალას სოლისტ ჯოვანი რიბიკეზუსთან?*

— სირთულეები არ ყოფილა. ჩემი მხრიდან იტალიურის და ჯოვანის მხრიდან რუსული არცთუ კარგად ცოდნა ურთიერთობებში ჩვენთვის დაბრკოლება არ გამხდარა. ჩვენ ჯოვანისთან ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ვურთიერთობთ. გარდა ამისა, ჩვენ ორივენი მუსიკოსები ვრთ, ხოლო მუსიკა — ეს ინტერნაციონალური ენაა და საერთოდ, როდესაც ჯოვანისთან ვურთიერთობ, მექმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ უკვე 100 წელი ერთმანეთს ვიცნობთ უკვე.

— *თქვენ პირველად ასრულებთ საოპერო პარტიას?*

— არა, საოპერო პარტიას „შლიაგერში“ უკვე ვასრულებდი. იქ ჩემი პარტნიორი იყო უკრაინის სახალხო არტისტი, საოპერო მომღერალი ვლადიმირ გრიშკო. სხვათა შორის, გრიშკო ჩვენზე ნაწყენია იმის გამო, რომ ამ სპექტაკლში მონაწილეობას არ ღებულობს. ვლადიმირ გრიშკო — საოპერი პარტნიორია და ჩემი კარგი მეგობარია, მაგრამ აშკამად ის გარკვეული ხარისხით სახელმწიფო მოღვაწეა და უზარმაზარი, კოლოსალური საქმეებით არის დაკავებული უკრაინის კულტურის და მთელი უკრაინელი ხალხის საკეთილდღეოდ. ამიტომ ჩვენ ის აღარ შევაწუხეთ.

— *განსხვავდება თუ არა ეს „კარმენი“ იმისგან, რომელიც „შლიაგერში“ იყო?*

— დიახ; ალბათ, ცოტათი განსხვავებულია. ამჟამად ყველაფერი სხვა არის. ჩვენ ალექსეისთან და ჯოვანისთან ერთად ეს გვსურდა კიდევაც. გვსურდა, რომ ყველაფერი განსხვავებული ყოფილიყო. უკვე დამუშავებული შტამპებით შემოქმედება ძალიან ადვილია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ საკუთარი თავი და სულები შევაშფოთეთ და ეს ცოტათი სხვა ისტორია უნდა ყოფილიყო.

— *რა გაჩუქეს უკრაინელმა მეგობრებმა დაბადების დღეზე, რომელიც თქვენ 18 იანვარს აღნიშნეთ?*

— შეხვედრა აეროპორტში. მოვიდნენ ყველაზე ახლოელი მეგობრები და ყვავილებით ამავსეს. დაბადების დღეს ღამის 2 საათამდე აღვნიშნავდით.

— *სხვათა შორის, რომელია თქვენთვის საყვარელი ყვავილები?*

— ძალიან მიყვარს იასამნები და რა თქმა უნდა, ვარდები. ვარდი — ეს ხომ საერთოდ ყვავილების დედოფალია. ყვავილები განსაკუთრებული თემაა, ისინი თავიანთ გამოხატულებებში შეუუდარებელნი არიან. განსაკუთრებით შეუდარებელნი არიან ის ყვავილები, რომლებიც სცენაზე გამოაქვთ. მათ ისეთი ადამიანური სიყვარულით მჩუქნიან... და ეს არტისტისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯილდოა. განსაკუთრებით, როდესაც მათ უცნობი ადამიანები ჩუქნიან.

— *თქვენს ცხოვრებაში მიმდინარე ბოლო შემოქმედებითი მოვლენების გათვალისწინებით არ გიფიქრიათ საესტრადო შესრულებაზე უარის თქმა და საკუთარი თავის ოპერისთვის მიძღვნა?*

— ორივე ძალიან მიყვარს — ისინი ჩემი შვილობილები არიან და არ მაქვს უფლება, რომ შემოქმედების ამ სახეებს განსხვავებულად მივუდგე. მუსიკა ჩემ წინაშე თავის ჰორიზონტებს იმდენად აფართოებს და ხსნის, რომ ერთი მეორეს გამო არ იტანჯება და პირიქით — ურთიერშეღწევა მიმდინარეობს. და მე მოცემული ოპერის სცენურ მოქმედებაში მთელ ჩემს გამოცდილებას ვდებ.

— *ბოლო წლის მანძილზე თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ხმაურიანი რომელი მოვლენები მოხდა?*

— 2009 წელს მოსკოვის საერთაშორისო მუსიკის სასლში 2 დიდი კონცერტი ჩატარდა. მე გამოვედი პროგრამით „და ღმერთმა შექმნა ადამიანი“. გარდა ამისა, ჩატარდა საშობაო კონცერტები, რომლებიც „ზამთრის ვალსად“ იწოდებოდა. ჩვენი მცდელობებით და ღვთის დახმარებით ვიმედოვნებ, რომ მაინც მოსკოვიც ნახავს ამ შესანიშნავ ინტერნაციონალურ სპექტაკლს „ჩემი კარმენი“. საერთოდ, ამ სპექტაკლით გასტროლები ჯერჯერობით უკრაინის 8 ქალაქში არის დაგეგმილი. მაგრამ სურვილია, რომ ამ სპექტაკლით გამოვიდეთ არა მარტო რუსეთში, არამედ როგორც ახლო, ისე შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში.

— *კიდევ რომელი პარტიის შესრულებას ისურვებდით?*

— იური ჩაიკასთან ერთად გეგმაში კიდევ ერთ პროექტზე მუშაობა მაქვს. 6 თებერვალს ჩვენ დიდ თეატრში ვიკრიბებით და მასზე მუშაობას ვიწყებთ, მაშინ, როცა ამ პროექტზე მუშაობა ჯერ დასრულებულიც არ გვაქვს. გარდა ამისა, ჩვენ უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ მესამე პროექტზეც, რომელსაც უკრაინულ მიწაზე ვიწყებთ. ეს არის როკ-ოპერა „იროდი“, რომლის პროდიუსერებიც გახდებიან ექსპრემიერ-მინისტრი ვიტოლდ ფოკინი და ლეონიდ კუჩმა. ეს არის სპექტაკლი ბიბლიურ თემაზე. ვთვლი, რომ ეს ადამიანური ფასეულობები და ჭეშმარიტებები საკუთარ აქტუალობას არასოდეს დაკარგავენ და საერთოდ, ყველაზე მთავარი ჯანმრთელობა და მხნეობაა, რათა ყველა ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობა არსებობდეს.

აფხაზეთი სომხებს დარჩათ?!

დასაწყისი მე-6 გვერდზე

— *იქ ყველა ეროვნების მოქალაქის რაოდენობა მცირდება და სომხების რაოდენობა როგორ იზრდება, სხვა ადგილებიდან ჩადიან აფხაზეთში საცხოვრებლად?*

— დიახ, აფხაზეთში სომხების რაოდენობა მატულობს — აკეთებენ ყალბ საბუთებს, ხდება ყალბი ჩაწერა. ფული ყველაფერს აკეთებს. ყველა წესიერი აფხაზი ამ კუთხიდან გასულია. ვისაც ცოტა ჭკუა ჰქონდა, ყველა გავიდა და აფხაზეთის ფარგლებს გარეთ იმყოფება. არიან ნამდვილი აფხაზები, რომლებიც ვერ შეეგუნენ იქ არსებულ რეჟიმს და დატოვეს იქაურობა. ისინი მიდიან რუსეთში, აქეთ, ჩვენთანაც გადმოდიან.

— *აფხაზი აქეთ რომ გადმოვიდეს, ზუგდიდში ან ქუთაისში რაიმე იყიდოს და ისევ უკან წავიდეს, აღარ შეუშვებენ?*

— ასეც ხდება. აგვისტოს ომამდე ძალიან ბევრი აფხაზი გადმოდიოდა, მიდიოდნენ ლილოს ბაზრობაზე, ყიდულობდნენ საქონელს და მიჰქონდათ აფხაზეთში. საერთოდ, უფრო მეტად, ყველაფერს ზუგდიდში ყიდულობდნენ და მიჰქონდათ. ახლა პრობლემები აქვთ, მაგრამ მაინც ხერხდება მიმოსვლა.

— *ანუ მათთვის ჩვენსკენ მიმოსვლა უფრო მოსახერხებელია. სოჭში გასვლა უჭირთ?*

— ამ მხრივ სიტუაცია მაინც რთულია, რადგან რუსებს როცა მოუნდებათ, საზღვარს მაშინ ჩაკეტავენ. თუ ისეთი რაღაც ითქვა დღევანდელი სეპარატისტი ხელმძღვანელების მხრიდან, რაც არ მოეწონათ, საზღვარს ჩაკეტავენ.

— *ანუ აფხაზებს იზოლაციაში აქცევენ?*

— დიახ, მაშინვე იზოლაციაში აქცევენ, რაც მანამ გრძელდება, სანამ აფხაზები ისეთ განცხადებას არ გააკეთებენ, რაც რუსებს აწყობთ. აფხაზი ხალი განადგურდება, თუ ისინი ქართველებთან აღარ იქნებიან. რუსეთი მათ მთლიანად გაანადგურებს. ჟირინოვსკის სიტყვები მართლდება. ჟირინოვსკიმ პირდაპირ თქვა, აფხაზეთი არის ლამაზი კუთხე. მთებია, ზღვაა... ჩავალ, ჩავიყვან მილიონნახევარ რუსს და იქ ვიცხოვრებო. როცა შეეკითხნენ, კი მაგრამ, აფხაზ ხალხს რა ვუყოთო, უპასუხა, ისინი ცოტანი არიან, ამოწყდებიან. მაგრამ სანამ ამოწყდებიან, მონებად მეყოლებიანო. ეს ხდება დღეს.

— *რუსების ჩამოსახლების პროცესი კვლავ მიმდინარეობს?*

— რუსები ჩამოდიან. ისინი განსაკუთრებით გაგრის რაიონით არიან დაინტერესებული, ნაწილობრივ გუდაუთის რაიონით და ბიჭვინთით. აი, რა აინტერესებთ რუსებს. გაგრაში ერთი გოჯი მიწა არ არის დარჩენილი, ყველა რუსებმა დაისაკუთრეს. ოლიმპიადასთან დაკავშირებით საშენი მასალები კვლავ გააქვთ. ამისთვის სპეციალურად სატვირთო მანქანებისთვის მეოთხე ხიდის აშენებას გეგმავენ.

— *შიგნით ოპოზიციურ წინააღმდეგობაზე და სეპარატისტებისგან განსხვავებულ აზრზე რაიმე ინფორმაცია გაქვთ?*

— ოპოზიცია სახალხოდ აფხაზეთის საწინააღმდეგოდ არაფერს იტყვის. შეიძლება გუშინ რაღაცას ფიქრობენ, მაგრამ ამას საქართველოს სასარგებლოდ, სახალხოდ მაინც აღარ იტყვიან, რადგან ეშინიათ. როგორც კი ამ თემაზე ისაუბრებენ, მეორე დღესვე მოკლავენ. ასეთი შემთხვევები არაერთი იყო აფხაზეთში.

— *ისე, აფხაზურ მოსახლეობაში სეპარატისტებისაგან განსხვავებულად ფიქრობენ?*

— ისინი მაინც ახერხებენ აქეთ გადმოსვლას, მათთან შეხვედრები მაქვს და ვიცი, რომ ხალხი ფიქრობს, ქართველობა აფხაზეთში როდის დაბრუნდებაო. აფხაზ ხალხს ძველი დრო ენატრება. მათ ქართველებთან ურთიერთობა, მეგობრობა, მეზობლობა, ნათესაობა ენატრებათ.

— *გასულ წლებში ზოგიერთი პოლიტიკოსი აცხადებდა, ჯერ აფხაზები უნდა დაეიბრუნოთ, ხოლო შემდეგ ტერიტორია, თორემ, ქართველების დაბრუნების შემთხვევაში წინააღმდეგობა იქნებაო. თქვენ როგორ ფიქრობთ, ახლანდელი სიტუციიდან გამომდინარე, როგორ იქნება?*

— წინააღმდეგობა იქნება იმ ხალხის მხრიდან, ვისაც ქართველების სისხლში აქვს ხელები გასვრილი და გაჟღენთილია სეპარატისტული განწყობით. მოსახლეობისგან, ვინც სუფთაა, წინააღმდეგობა გამორიცხულია. ისინი, პირიქით, ნატრობენ ჩვენთან შეხვედრას, ძველი ცხოვრებისა და ურთიერთობების აღდგენას, მაგრამ, ჯერჯერობით, ყველაფერი რუსეთის სასარგებლოდ კეთდება. ხელშეკრულებებს ხელი ეწერება რუსეთის სასარგებლოდ. მაგალითად, ისეთ ხელშეკრულებებზეა ხელი მოწერილი, თუ რუსმა სამხედრომ აფხაზეთში რაიმე დაარღვია, კანონსაწინააღმდეგო ჩადინა, მისი დაჭერა, დაკითხვა, გასამართლება აკრძალულია.

— *აბა, რანაირი „დამოუკიდებელი სახელმწიფოა“ თუ მის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულზე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და პირის გასამართლება არ შეუძლია?*

— დამოუკიდებელია ქაღალდზე რუსეთის გამოცხადებით, მაგრამ რუსეთი თანდათან-თანდათან ისე ათქვეფს თავის სასარგებლოდ ამ ხალხს, რომ აფხაზების კვლიც აღარ დარჩება აფხაზეთში.

ქართველი მეზღვაურები სამშობლოში 15 თებერვლამდე დაბრუნებიან

ოფიციალური ინფორმაციით, ინდონეზიაში, რომ ფილიპინებში დაკავებული ქართველები სამშობლოში 15 თებერვლამდე დაბრუნდებიან.

ამის შესახებ გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა და აღნიშნა, რომ დღეს დაკავებული ქართველების გათავისუფლებისთვის საჭირო ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად ფილიპინებში საგარეო უწყების ორი თანამშრომელი, მათ შორის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ტაბატაძე გაემგზავრება.

— დაკავებული ქართველების სამშობლოში დაბრუნების ზუსტი თარიღის განსაზღვრა მიჭირს, რადგან მათთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება 10-11 თებერვალს იქნება მიღებული. ვიმედოვნებთ, რომ ქართველები არაუგვიანეს 15 თებერვლისა, სამშობლოში მშვიდობით დაუბრუნებენ, — განაცხადა კალანდაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 13 მოქალაქე ამ დრომდე ფილიპინების საემიგრაციო ბანაკში რჩება და მორიგი სასამართლო პროცესის მოლოდინშია, რომელიც ამჟერად მათ არალეგალურ მიგრაციას ეხება. რაც შეეხება იარაღის კონტრაბანდული გზით გადატანის ბრალდებას, ეს ბრალდება რამდენიმე ქართველებს გასულ კვირას მოუხსნეს. მეზღვაურები ფილიპინების წყლებში გასული წლის აგვისტოში დაკავავეს.

ბრეკი

რუსეთმა მიზანს მიაღწია

საფრანგეთი მზადაა, რუსეთს ვერტმფრენმზიდი „მისტრალი“ მიჰყიდოს.

ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებს საერთაშორისო განვითარების ფრანგული თავდაცვის საგენტოს „და-ჯი-ეი“-ის ხელმძღვანელმა ჟაკ დე ლუჟეემა განაცხადა.

— ფრანგულმა მხარემ თანხმობა განაცხადა რუსეთს სამხედრო გემი “მისტრალი“ მიჰყიდოს. ასევე განიხილება მოსკოვის ინიციატივა მსგავსი გემის კიდევ დამატებით სამი ერთეულის შეძენის თაობაზე, — განაცხადა ლუჟეემმა.

ბრეკი

იაპონური კინოს ფესტივალი გაიხსნა

ეკრანებიდან

კინოთეატრ „რუსთაველის" დიდ დარბაზში იაპონური კინოს ფესტივალი გაიხსნა, რომელიც დედაქალაქში თბილისის მერიის მხარდაჭერით იმართება. ფესტივალთან ერთად, იაპონური კულტურის კვირეულიც დაიწყება.

ფესტივალი იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მასაიორში კამოპარამ გახსნა. კინოთეატრ „რუსთაველში" თბილისის მერიის წარმომადგენლებიც მივიდნენ. ფესტივალის გახსნით თბილისში პირველი იაპონური კვირეული დაიწყო.

იაპონური ფილმების ჩვენება კინოთეატრ „რუსთაველში" 8 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით, დღეში სამჯერ კინოთეატრის მცირე დარბაზში გაიმართება. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, სეანსებზე დასწრება თავისუფალია.

ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იქნება ოთხი ფილმი: სახელგანთქმული რეჟისორის აკირა კუროსავას „ცუბაკი სანჯურო". ეს არის შაჰ-თეთრი ფილმი სამურაიების ცხოვრებაზე XIX საუკუნის იაპონიაში.

რეჟისორ დაისუკე ტენგანის „აიკი". ფილმი ახალგაზრდა მამაკაცის შესახებაა, რომელმაც დასძლია ცხოვრებისეული სირთულეები უძველესი იაპონური საბრძოლო ხელოვნების, აიკიდოს, მეშვეობით.

რეჟისორ იოიჩი ჰიგაშის (1996 წელს ბერლინის 46-ე კინოფესტივალის ვერცხლის დათვის მფლობელი ფილმისთვის „ოცნებების სოფელი") „პაპაჩემი". ფილმის მთავარი გმირი, კენზო, 13 წლის პატიმრობის შემდეგ ციხიდან გამოდის, მაგრამ მისი შვილიშვილი, ტომაკო, ძნელად ეგუება პაპამისს, სამაგიეროდ მის დაბრუნებას მოუთმენლად ელის იაკუძას კლანის ბოსი.

ცნობილი მულტიპლიკატორის, ოსამუ ტეძუკას ორი მულტფილმი — „ასტრო ბოი", რომელიც სათავგადასავლო მულტფილმია ზებუნებრივი ძალის მქონე რობოტ ბიჭუნაზე და „ტყის ლეგენდა" — ჩაიკოვსკის მუსიკით შთაგონებული ზღაპარი, რომელშიც ყველაფერია, მოლაპარაკე ცხოველით დაწყებული, კეთილი ფერიებით დამთავრებული. ფილმები იაპონურ ენაზე რუსული სუბტიტრებით იქნება წარმოდგენილი. კინოთეატრ „რუსთაველში" ფილმების ჩვენება 14 თებერვლამდე გაგრძელდება.

იაპონური კინოს კვირეულის დასრულების შემდეგ, 15 თებერვალს, შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრში გაიმართება იაპონელი ჯაზ-პიანისტის, ჰირომი უეპარას, კონცერტი, რომელიც თბილისის მერიის მხარდაჭერით, „თაგის არტისსა" და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ არის ორგანიზებული. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 20-დან 100 ლარამდეა.

ბობ მარლი თბილისშიც გაიხსენეს

ეკრანებიდან

ცნობილი მუსიკოსის ბობ მარლის 65 წლის იუბილე თბილისშიც აღნიშნეს. კლუბ 33ა-ში საგანგებო კონცერტი გაიმართა, რომელზეც რეგის ლეგენდა კიდევ ერთხელ გაიხსენეს.



ბობ მარლის ნამდვილი სახელი რობერტ ნესტა მარლია. იგი წარმოშობით კინგსტონიდან იყო, მუსიკოსი რეგის სტილში უკრავდა, სიმღერების თავად წერდა და ასრულებდა კიდეც. ეროკალური მონაცემების პარალელურად, ბობ მარლი გიტარასა და პერკუსიაზეც უკრავდა. იამაიკელი მუსიკოს-გიტარისტი, კომპოზიტორი, მუსიკალური მიმდინარეობის რეგის ერთ-ერთი დამაარსებელი და მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ხშირად მღეროდა ისეთ სიმღერებს, რომლებიც სოციალურ და პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ბობ მარლი, მარტინ ლუთერ კინგთან და ნელსონ მანდელასთან ერთად ითვლება ცნობილ მებრძოლად შავკანიანების დაჩაგვრის წინააღმდეგ. ბობ მარლი 1981 წლის 11 მაისს ამერიკაში შტატ ფლორიდაში გარდაიცვალა, მან 11 საკუთარი და ერთიც ნაშვილები შვილი დატოვა, მაგრამ არასანდო წყაროების მიხედვით, მისი შვილების რაოდენობა 22-დან 46-მდე მერყეობს.

ბობ მარლის ხსოვნის საღამო საქართველოში პირველად ჩატარდა, რომელსაც ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, ტრადიციული სახე მიეცემა.

მიხეილ თუმანიშვილის ხელწერა დღესაც აქტუალურია

ეკრანებიდან

6 თებერვალი ქართული კულტურისთვის მნიშვნელოვანი დღეა. ამ დღეს ქართული ხელოვნების სამი მნიშვნელოვანი რეჟისორი — მიხეილ თუმანიშვილი, სიკო დოლიძე და მიხეილ ჭიაურელი — დაიბადნენ.

კინომსახიობთა თეატრის დამაარსებელს, მიხეილ თუმანიშვილს, 89 წელი შეუსრულდებოდა, კინორეჟისორებს — სიკო დოლიძეს — 107 წელი, ხოლო მიხეილ ჭიაურელს — 116. სამივე ხელოვანმა ქართულ კინოსა და თეატრში წარუშლელი კვალი დატოვა. მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო ისეთი ცნობილი ფილმები, როგორებიცაა „გიორგი სააკაძე", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „არსენა", „გენერალი და ზიზილები", „ოთარაანთ ქვრივი", „ფიცი" და სხვ. სიკო დოლიძემ შექმნა სურათები „კაცია ადამიანი", „კუკარაჩა", „დღე უკანასკნელი, დღე პირველი", „ჭრიჭინა", „დარიკო", „ფატმა", „შეხვედრა წარსულთან"...

მიხეილ თუმანიშვილმა კინომსახიობთა თეატრი დააარსა, თავდაპირველად — როგორც ერთგვარი ლაბორატორია, რომელსაც მისი გარდაცვალების შემდეგ რეჟისორის სახელი ეწოდა. იგი ჯერ რუსთაველის თეატრში მუშაობდა რეჟისორად, შემდეგ იყო საქართველოს ტელევიზიის სადადგმო რედაქციის მთავარი რეჟისორი, კინოსტუდია „ქართული ფილმის" თეატრალური სახელოსნოს მთავარი რეჟისორი. მოგვიანებით თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი გახდა. მისი დადგმები გამოირჩეოდა მკაფიო თეატრალური ფორმით, ემოციურობით, ლაკონიზმით, დახვეწილი გემოვნებით, მაღალი პროფესიული კულტურით. რუსთაველის თეატრში მან დადგა სპექტაკლები: „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!", „ესპანელი მღვდელი", „ამბავი სიყვარულისა", „ჭინჭრაქა", „ანტიგონე" და სხვები. თუმანიშვილმა თავისი შემოქმედებითი გამოცდილება გაზოგადად წიგნში „სანამ რეპეტიცია დაიწყება", კინომსახიობთა თეატრში კი დადგა სპექტაკლები „ზაფხულის ღამის სიზმარი", „დონ უუანი", „ჩვენი პატარა ქალაქი", „ბაკულას ღორები", რომლებიც რეჟისორის გარდაცვალების შემდეგაც იდგმებოდა თეატრში. მის მიერ დადგმული „ბაკულას ღორები" დღესაც კინომსახიობთა თეატრის რეპერტუარშია. რეჟისორმა ქეთი დოლიძემ პედაგოგისადმი მადლიერების ნიშნად მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, „საჩუქარი", დააარსა.

მიხეილ თუმანიშვილის აღზრდილი მსახიობები მის დაბადების დღეზე დიდუბის პანთეონში პედაგოგის საფლავთან შეიკრიბნენ, თეატრში კი, ტრადიციულად, მის მიერ დადგმული სპექტაკლი, „ბაკულას ღორები", ითამაშეს.

ნინელი ჭანკვეტაძე, მსახიობი:

— ჩვენ არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიხეილ თუმანიშვილმა ქართულ თეატრში თავისი ხელწერა დატოვა, რომელიც ათეულობით წლებია არ კარგავს აქტუალობას. ამას ისიც ადასტურებს, რომ სპექტაკლ „ბაკულას ღორებს" 30 წელზე მეტია ვთამაშობთ და მაყურებელი დღემდე ჰყავს. ჩვენ მის საფლავთან კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ, რომ მისთვის მადლობა და პატივისცემა ასეთი ფორმით გამოგვეხატა.

ნუგზარ ბაგრატიონი, რეჟისორი:

— ბატონმა მიხეილმა ხელოვნებთა მთელი თაობა გამოზარდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი გარდაცვალებიდან 14 წელი გავიდა, ჩვენ მას აზრს დღესაც ვეკითხებით, სულ ვცდილობთ, წარმოვიდგინოთ, როგორ მოიქცეოდა თავად იგი მსგავს სიტუაციაში. ამდენი წლის მერეც მადლობას ვეუბნები მას, რომ ჩემს პროფესიულ კარიერაში ასეთი წარუშლელი კვალი დატოვა.

მანანა ანთაძე, მიხეილ თუმანიშვილის ფონდის ხელმძღვანელი:

— ისეთი ხელოვანი, როგორიც მიხეილ თუმანიშვილი იყო, საუკუნეში ერთხელ იბადება. ჩვენ გვაქვს მისი სახელობის ფონდი, რომელიც, რა თქმა უნდა, ქართულ თეატრს ემსახურება. ჩვენ ვეძებთ საინტერესო პიესებს თეატრისთვის, რათა მაყურებელს ახალი და ორიგინალური სპექტაკლები შევთავაზოთ. ბედნიერი ვარ, რომ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფონდს ვხელმძღვანელობ და იმ საქმეს ვაკეთებ, რომელიც ბატონ მიშას ასე ძალიან უყვარდა.

ირანელი და ქართველი ბავშვები გაერთიანდნენ

ეკრანებიდან

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების ეროვნულ გალერეაში თბილისის მერიამ და ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩომ საქართველოში ირანელი და ქართველი ბავშვების ერთობლივი გამოფენა გახსნა. ექსპოზიციაზე ფერეიდნელი ქართველი მოზარდების ნამუშევრებიც გამოიფინა.

გამოფენის საზეიმოდ გახსნის პატივი ირანის ელჩს მოჯთაბა დამირჩის ერგო. ელჩთან ერთად ნამუშევრების დასათვალიერებლად კულტურის ატაშე ეჰსან ხაზაიც მივიდა. ღონისძიების ორგანიზატორებმა გამოფენის გახსნაზე საქართველოს კულტურის, განათლებისა და საგარეო საქმეთა მინისტრებიც მიიწვიეს.

გამოფენაში 50-მა ბავშვმა მიღო მონაწილეობა, ექსპოზიციაზე კი 200-მდე ნამუშევარი გამოიფინა. გამოფენის მიზანი ირანელი და ქართველი ბავშვების დაახლოებაა.

მარინა აბუსაძე, გამოფენის ორგანიზატორი:

— ქართველი ბავშვები ირანში საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ. ირანის ელჩს საქართველოში ძალიან მოეწონა ელენე ახვლედიანის სახელობის სურათების ეროვნული გალერეის დარბაზი და გადაწყდა, ირანელი და ქართველი ბავშვების ნამუშევრები ერთობლივად სწორედ ჩვენთან გამოფენილიყო. ამ გამოფენის მიზანი ამ ორი ქვეყნის ბავშვების დამეგობრებაა. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ექსპოზიციაზე ფერეიდნელი ქართველების ნამუშევრებიც არის წარმოდგენილი.

მოჯთაბა დამირჩი, ირანის ელჩი საქართველოში:

— ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი გამოფენების მოწყობა ჩვენი ორი ქვეყნის მომავალი თაობებისთვის. მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობს ირანული და ქართული კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას. იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში მსგავსი ღონისძიებები ხშირად მოეწყობა.

კონსერვატორიაში კამერული საღამოებია

ეკრანებიდან

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კამერული მუსიკის საღამოები გაიმართება.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით კონსერვატორიის დიდ დარბაზში კამერული ორკესტრი „კრემერატა ბალტიკა" კლასიკური მუსიკის საღამოს მოაწყობს, რომელზეც გია ყანჩელის, ჰაიდნის, შერკშნიტესა და მოცარტის ნაწარმოებები შესრულდება. ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელია გიდონ კრემერი, რომელიც კონცერტებში მონაწილეობასაც მიიღებს. გიდონ კრემერი მევიოლინეა და ქართველ პიანისტს ხატია ბუნიათაშვილთან ერთად 9 თებერვალს კონსერვატორიის დიდ დარბაზში დაუკრავს. 10 თებერვალს კი კამერული მუსიკის საღამოზე მათ ჩელისტი გიედრე დირვანაუსკაიტე შეუერთდება. მუსიკოსები მსმენელს კისინის, შუმანისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს შეუსრულებენ.

ერევანში ქართულ-სომხური სტრატეგიული შეხვედრა გაიმართება

9 თებერვალს ერევანში ქართულ-სომხური „სტრატეგიული შეხვედრა" გაიმართება, რომლის ორგანიზატორი „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდია". ფონდის დირექტორის გეორგ ტერ-გაბრიელიანის განცხადებით, „სტრატეგიულ შეხვედრაზე" საქართველოსა და სომხეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელები შემდგომი თანამშრომლობის გეგმებს დასახავენ. შეხვედრის შედეგები საფუძვლად დაედება

„ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის" მიერ ფართომასშტაბიანი ქართულ-სომხური პროგრამის შემუშავებას, რომლის განხორციელებას ხელს შეუწყობს აშშ-ს საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო.

— ორი მომქმე ხალხი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. თუ ისინი ძალისხმევას გააერთიანებენ, დემოკრატიას უფრო ადვილად ააშენებენ და რეგიონალურ კონფლიქტებსაც მოაგვარებენ, — აცხადებს ტერ-გაბრიელიანი.

მედიანეტი

ჩეხეთის მთავრობამ თუშეთის რეაბილიტაციისათვის 400 ათასი დოლარი გამოყო

ჩეხეთის მთავრობამ თუშეთის რეაბილიტაციისათვის 400 ათასი დოლარი გამოჰყო. მემორანდუმს საქართველოსა და ჩეხეთის მთავრობას შორის ხელი გუშინ მოეწერა, რომელსაც უმრავლესობის ლიდერი, ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი პეტრე ცისკარიშვილიც დაესწრო. თუშეთის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის ზაფხულიდან დაიწყება.

ბრალი

განცხადებები

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-ის" სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციის და ცელულიტის მოცილების ყველაზე ეფექტური ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. საჭირო კურსის ჩატარების შედეგად გარანტირებული გექნებთ ლიპოსაქციის ეფექტი. ტელ: 895-47-17-39.

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიის მკურნალობა, დამოკიდებულების მოხსნა, ორგანიზმის განმეფდა ტოქსინებისაგან, ნერვული სისტემის მოწესრიგება, იმუნიტეტის გაძლიერება მცენარეული პროდუქციით, შედეგი გარანტირებულია 100%-ით. ტელ: 893-44-58-65; 57-66-90 (საღამოს). ექიმი-სპეციალისტი ქ-ნი დეა.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სახის დაავადებას, უშვილობას, სქესობრივ სისუსტეს, კონსულტაცია უფასოა. ტელ: 99-95-33; 893-60-60-44.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● უმაღლესი ხარისხით, მოსკოვის პროსპექტის ბოლოში. ტელ: 70-68-73; 855-492934 მერი.

● სილამაზის სალონ „შარმში" უკრაინიდან ჩამოსული სტილისტი შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას მაღალ დონეზე: ქალისა და მამაკაცის თმის შეჭრა-დავარცხნა, დახვევა, საქორწილო ვარცხნილობები, ფასი 400 ლარი. მანიკიურ-პედიკიურის შესწავლა — 300 ლარი. მის: მეტრო „მარჯანიშვილი", ალმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.

● ალკოჰოლისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, შიში, უძილობა, მკურნალობა გარანტიით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის! იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა და ტკივილი შარდისას. მკურნალობა 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი ზრდა თვეში 3-5 სმ მიმატებით 25 წლამდე, იმუნიტეტის გაძლიერებით, ასევე გახდომა თვეში 7-20 კგ მიღებული შედეგის შენარჩუნებით. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299 ექიმი ინგა.

SMS-განცხადებები - 3090

იყიდება

◆ სასწრაფოდ იყიდება ერთოთახიანი ბინა, 16-სართულიანი სახლის 1 სართულზე, საშუალო რემონტით, ბუნებრივი აირით, სველი წერტილით. ფასი 20.000 აშშ დოლარი. ტელ: 899-606-640.

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608

ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

თად ვიზრუნოთ ტაძარზე.

აზრები, ციფრები, სტატისტიკა

ახლა, როდესაც ყველაფერი გარკვეულია და ვიცით, ვისთან ითამაშებს საქართველოს ნაკრები ევრო-2012-ის შესარჩევ ეტაპზე, ალბათ, უპრიანი იქნება თუ მეტოქე გუნდებს, მათთან ჩატარებული მატჩების სტატისტიკასა და მათი წარმომადგენლების აზრებს გავეცნობით.

ხორვატიის ნაკრები სადღეისოდ ყველაზე ძლიერ გუნდად მოჩანს. მათ 3-ჯერ მსოფლიოს, ხოლო 3-ჯერ ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე აქვთ ნათამაშევი. 1998 წელს კი მუნდიალზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მართალია, ისინი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ, მაგრამ ეს თავიანთ თავს უნდა დაბრალონ. ხორვატებმა ფარა-პლეის წესები დაიცვეს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე და ინგლისის ნაკრები სტუმრად მაშინ დაამარცხეს, როდესაც თავად არაფერში სჭირდებოდათ. ახლა ბრიტანელებმა სამაგიერო გადაუხადეს და მათ ნაცვლად პლეი-ოფში უკრაინის ნაკრები გაეძვრინეს, რომლებიც კიდევ ერთ ჩვენ თანაჯგუფულ საბერძნეთთან დამარცხდა პლეი-ოფში.

ხორვატიის ნაკრებთან ჩვენებს არასდროს უთამაშიათ და ეს შესარჩევი ციკლი მათ პირველ მატჩებს უმასპინძლებს. ხორვატთა დამორიგებელი ლსლავენ ბილიჩი კი საქართველოს ნაკრებს სერიოზულ მეტოქედ არ აღიქვამს და სჯერა, რომ პირველ-მეორე ადგილებს ისინი და ბერძნები დაიკავებენ.

ხორვატული პრესის აზრით კი ქართველთაგან ცნობილი მხოლოდ კახა კალაძეა, მაგრამ აღნიშნავენ, რომ გუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელები ჰყავთ. გამოყოფენ ასევე ვლადიმერ დვალიშვილს და მწვრთნელ ქეცბაიას მის „ნორთოსისში“ მიღწეულ წარმატებას განსაკუთრებით უსვამენ ხაზს.

საბერძნეთის ნაკრები მეორე მსოფლიოს ჩემპიონატზე წელს მიიღებს მონაწილეობას, ევროპის ჩემპიონატზე კი 3-ჯერ აქვს ნათამაშევი და 2004 წელს ოქროს მედლებიც აიღო.

საქართველოს ნაკრებს ბერძნებთან 5-ჯერ აქვს ნათამაშევი და ყოველთვის დამარცხებული გამოვიდა. ბურთების შეფარდებაც, რა თქმა უნდა, ელადელთა მხარეს არის — 11:3.

ოტო რეჰაგელი (საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი):

— თეორიულად ყველაზე ძლიერი გუნდი ჯგუფში ხორვატები არიან, მაგრამ არც სხვების დაფუასებლობა არ შეიძლება. ბეერ გუნდთან ნათამაშევი გვაქვს და კარგად ვიცნობთ. საერთოდ, კარგი ჯგუფია — შევეცდებით პირველ ადგილზე გავიდეთ, უარეს შემთხვევაში კი ევროპის საგზური მეორე ადგილით მოვიპოვოთ. ამჟამად მსოფლიოს ჩემპიონატზე ვართ კონცენტრირებული, დანარჩენზე შემდეგ ვიფიქრებთ.

ისრაელის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე მხოლოდ ერთხელ აქვს ნათამაშევი — შორეულ 1970 წელს. მეტჯერ ამ გუნდს დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია. თუმცა, ბოლო წლებში „ეკრკეტი კაკალი“ გუნდის სახელწოდებით არის ცნობილი და ყოფილა შემოხვევები, ფავორიტები გაუმწარებია.

ისრაელის ნაკრებს ჩვენები 4-ჯერ შეხვედრიან. უპირატესობა აღთქმული მიწის ფეხბურთელების მხარეს არის. ებრაელებმა 2 მატჩი მოგვიგეს, ერთხელ ფრედ ვეთამაშეთ, ერთხელაც მოვიგეთ. ბურთების შეფარდებაც მეტოქის სასარგებლოდ არის — 6:4.

ლატვიის ნაკრებმა ყველა დიდ წარმატებას 2004 წელს მიაღწია, როდესაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა. ბალტიისპირეთელებთან 5-ჯერ გვაქვს ნათამაშევი და ყველა მაჩვენებელი თანაბარია — 2 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება, ბურთების შეფარდება 8:8.

ალექსანდრ სტარკოვსკი (ლატვიის ნაკრების მწვრთნელი):

— ჩვენ გარდა ჯგუფში ყველა გუნდი სამხრეთულია. მალტელების გარდა ნათამაშევი ყველასთან გვაქვს. ამიტომ გასახსენებელი ბევრი გვექნება. ახლა არაფერზე არ ვფიქრობთ, წინ მოსამზადებელი ეტაპია.

მალტის ნაკრები აშკარა აუტსაიდერია, თუმცა, გასულ წელს საქართველოს ნაკრებმა მათთან მარცხი იწვნია. ეს გუნდი არც წარმატებებით გამოირჩევა და ერთადერთია ჯგუფში, რომელთანაც ურთიერთშეხვედრებში დადებით ბალანსი გვაქვს — 3 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება, ბურთების შეფარდება 7:4.

პრეზიდენტმა ერთი გუნდი ააცილა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

პასპორტს დატოვებენ. მათი ოპტიმიზმი იქამდეც კი მივიდა, რომ პირველობას ვერა, რადგან ხორვატიის ნაკრებს მაინც ფავორიტად მიიჩნევს, მაგრამ მეორე ადგილიდან შეუძლიათ უკრაინა-პოლონეთის საგზური მოიპოვონ. თუმცა, ყველაფერი კალენდარზე იქნება დამოკიდებული.

კალენდარი კი 9 მარტამდე მზად უნდა იყოს. გუნდებმა უკვე მიაღწიეს შეთანხმებას, რომ 7 მარტს ერთმანეთს საბერძნეთში შეხვდებიან და თავიანთ შედგენილ კალენდრებს წარადგენენ. მოლაპარაკებები 2 დღეს გაგრძელდება და თუ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მაშინ კალენდარს უეფა შეადგენს. ფედერაციის ხელმძღვანელებს არც ის დუშალავთ, რომ მათთვის კარგი ვარიანტი იქნება, თუ შესარჩევ ეტაპს ლატვიასთან ან ისრაელთან საშინაო მატჩით დაიწყებენ.

საერთოდ, კალენდრების შედგენის დროს რამდენიმე გუნდი ალაანსს კრავს, რათა თავიანთი პროგრამა გავიდეს, მაგრამ არვეალის თქმით, ამჟამად მსგავსი რამ გამორიცხულია, რადგან ალიანსს ძირითადად გრანდებთან კრავენ, ასეთი კი ჯგუფში არ არის, ამიტომ მათი ვარაუდით, მეტი შანსია შეთანხმებას ვერ მიაღწიონ და კალენდარი უეფამ შეადგინოს.

ფაქტია, გრანდების ვერმოხვედრით ფედერაცია სოლიდურ შემოსავალს დაკარგავს, რადგან ასეთ გუნდებთან მატჩების ტრანსლირება იაფი ჯდება. თავის მხრივ სიჭინავამ იხუმრა კიდეც, ტრანსლირების შედეგად ციკლში 1,6 მილიონი ევრო შემოგვივიდოდა, ხოლო ფინალურ ეტაპზე გასვლით — 5 მილიონიო, ამიტომ გავალთ და ფინანსებს ისე ვიშოვითო. გადაწყდა აგრეთვე, რომ ფედერაცია თანამშრომლობას არ გააგრძელებს „ინფორტგთან“, რომელიც იღებდა უფლებას საქართველოს ნაკრების მატჩების ტრანსლირება ეწარმოებინა.

ჯერ ჯგუფრობით უცნობია, რა ფორმის მაისურებით შეიმოსება საქართველოს ნაკრები მომავალ შესარჩევ ეტაპზე. ახლანდელ სპონსორ „იაკო“-სთან კონტრაქტი 31 ივნისს იწურება. უეფამ სფფ-ს თავად შესთავაზა „ადიდასი“, რომელიც ევროპის ჩემპიონატის გენერალური სპონსორი იქნება, მაგრამ მათი ფასები არ მოეწონათ სფფ-ს ხელმძღვანელებს და ძვირ სიამოვნებათ მონალეს. ამიტომ, არ არის გამორიცხული, ურთიერთობა ისევ „იაკო“-სთან გაგრძელდეს, მაგრამ 16 თებერვას აპირებენ შვეიცარიაში „ჰუმელისა“ და „პუმას“ ფირმის წარმომადგენლებს შეხვდნენ და დეტალებზე ისაუბრონ. სიჭინავამ კიდევ ერთხელ იხუმრა და განაცხადა, რომ „ადიდასის“ ეს შემოთავაზება ძვირი გვიჯდებოდა, მაგრამ ფინალურ ეტაპზე რომ გავალთ, უფრო ჩვენთვის სარფიან კონტრაქტს შემოგთავაზებენო. ამასთან, დაამატა, რომ ჯერ ფეხბურთელებმა იმდენი გაკაკვეთონ, რომ ძვირადღირებული ბრენდები ჩაიცვან სათამაშოდ და მერე თქვან უარი „იაკოზეო“.

რაც შეეხება მოსამზადებელ პერიოდს და ამხანაგურ მატჩებს, ჯერ ჯერობით ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ 3 მარტს თბილისში ესტონელებს ვუმასპინძლებთ. რამდენიმე გუნდთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მათ შორის ირლანდიასთან და ბელარუსთან. აგრეთვე შეთავაზებულია წინადადება მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციასთან, რომელიც 11 აგვისტოს დაარსების 20 და მოლდოვაში ფეხბურთის დაარსების 100 წლისთავს აღნიშნავს. ფედერაცია მათგან პასუხს ელის.

ერთიც, ნილსყრამდე სიჭინავამ, არველაძემ და ქეცბაიამ თავიანთთვის სასურველი ვარიანტები ჩამოწერეს: პრეზიდენტმა ჩვენს ჯგუფში მხოლოდ ლატვიის ნაკრები ვერ გამოიცნო და მათ ნაცვლად სლოვენიელები ჩაწერა, არველაძემ ვერავინ ვერ გამოიცნო, ხოლო მთავარმა მწვრთნელმა მხოლოდ მალტის ნაკრები მოახვედრა მიზანში.

ფაბრეგასის ნოსტალგია — უარი „არსენალს“

ლონდონის „არსენალმა“ გუნდის კაპიტან სესკ ფაბრეგასს ახალი, 5-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ ესპანელმა ფეხბურთელმა უარი განაცხადა და აპირებს „ბარსელონაში“ გადავიდეს.

შეგახსენებთ, რომ ფარეგასს მოქმედი კონტრაქტი აქვს „არსენალთან“, რომელიც კიდევ 3-წლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს. ახალი კონტრაქტით კი, კიდევ 5 წელი უნდა ეთამაშა, რომლის განმავლობაში 34 მილიონ ევროს მიიღებდა, თუმცა, ფაბრეგასს სისხლმა უყიელა და ესპანეთში დაბრუნება აქვს გადაწყვეტილი.

გავრცელებული ხმებით, ფაბრეგასი კატალონიელებს უკვე ზაფხულში შეუერთდება, რომლის სანაცვლოდ „არსენალი“ 50 მილიონ ევროს მიიღებს.

სამშობლოში დაბრუნებას თავად ფეხბურთელი ღიად აცხადებს.

— არასდროს დამიმალავს, რომ ერთხელაც იქნებოდა „ბარსელონაში“ დავბრუნდებოდი. მას შემდეგ, რაც ბაბუამ ჯერ კიდევ 9 თვის ასაკში მიმიყვანა სტადიონზე, ჩემი ცხოვრების ფერები ლურჯი და ბორნეულისფერი გახდა. რამდენიმე მიზეზის გამო, წასვლა მომიწია, მაგრამ არავინ იცის, ცხოვრებაში რა მოხდება. ალბათ, ისის ახსნა არ დამჭირდება, რომ ჩემთვის საუკეთესო ქალაქი მსოფლიოში ბარსელონაა. ლონდონში რაც არ მომწონს — კლიმატია, თორემ თავად ქალაქი შესანიშნავია. როდესაც დიდ ფეხბურთს თავს დავანებებ, ბარსელონაში ვიცხოვრებ, — განაცხადა ფეხბურთელმა.

ფეხბურთზე საუბრისას, „არსენალის“ კაპიტანმა აღნიშნა, რომ 22 წლის ასაკში თავს შესანიშნავ ინდივიდუალურ ფორმაში გრძნობს და ახლა მოლიანად „არსენალზეა“ კონცენტრირებული. უნდა პრემიერლიგაში და ჩემპიონთა ლიგაში თამაშით კარგად მოემზადოს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, სადაც ესპანეთის ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევვა შეძლოს.

ფეხბურთელმა ისიც აღნიშნა, რომ „ბარსელონაში“ მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები დიდად არ ანაღვლებს, თუმცა, გამოყოდა, რომ კანდიდატთაგან არავინ დაკავშირებია.

როგორც ცნობილია, ფაბრეგასის შეძენა მეორე ესპანურ გრანდს, მადრიდის „რეალსაც“ სურს. ფეხბურთელი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, კასტილიუ კლუბშიც აღმოჩნდეს, იმის მიუხედავად, რომ კასტილიაში მის სახელს შემოკლებით იტყვიან.

— ჩვენ უფრო ღია წარმოთქმები გვაქვს, კასტილიელებს კი — დახურული, მაგრამ ამას უკვე შევეჩვიე, — აღნიშნა სესკმა.

ფაბრეგასმა ასევე აღნიშნა, რომ გასულ კვირაში მაჩნესტერში მეგობრები, „ბარსელონას“ ფეხბურთელები ხერარდ პიკე და ანდრეს ინიესტა ინახულა, თუმცა, ისიც დასძინა, რომ კონტრაქტის თაობაზე არაფერი უსაუბრიათ, რადგან დიდი ხნის უნახავ მეგობრებთან სხვა სალაპარაკოც ბევრი ჰქონდა.

პაიკიძემ და მელიამ მოსკოვი აიღეს

რუსეთის დედაქალაქში გამართული მოსკოვის ღია პირველობა ქართველ მოჭადრაკე გოგონათა სრული ტრიუმფით დასრულდა. ბოლო ტურში ტურნირზე 27-ედ განთესილმა ნანი პაიკიძემ მე-4 რეიტინგის მქონე ვალენტინა გუნინა დაამარცხა, ხოლო მე-6 რეიტინგის მფლობელმა სალომე მელიამ — ჩინელი ჩჯაო სიუ. ამ გამარჯვებებით მელიამ და პაიკიძემ 7,5-7,5 ქულა დაგროვეს და პირველ-მეორე ადგილები გაიაკვეს. დამატებითი მაჩვენებლით პირველობა უფრო ახალგაზრდა პაიკიძეს ერგო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პაიკიძემ ტურნირზე ერთადერთი მარცხი განიცადა და ისიც მელიასთან.

პაიკიძე 16 წლის არის. რამდენჯერმე მოპოვებული აქვს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ტიტული ასაკობრივ ჩემპიონატებში. ამჟამად ქართველი მოჭადრაკე მოსკოვში ცხოვრობს და ვარჯიშობს, თუმცა, ტურნირებზე საქართველოს სახელით გამოდის. ერთიც, ტურნირის საპრიზო ფონდი 500.000 რუბლი იყო, აქედან გამარჯვებულ პაიკიძეს 150.000 რუბლი ერგო.

წიკლაურმა და ცირკაძემ კომპლექტი შეავსეს

გუშინდელ ნომერში დაკით ასუმბანის პარიზულ ოქროს მედალზე გიამბეთ და ისიც გითხარით, რომ დარჩენილი მოჭიდავეებიდან მედლებს აუცილებლად აიღებენ ლევან წიკლური (81კგ) და ირაკლი ცირეკიძე (100კგ). ასეც მოხდა, თუმცა, ვერც ერთი მათგანი ოქროს ვერ შეხვდა.

წიკლაურმა მედლისკენ სვლა რუსი არსენ შმახოვის დამარცხებით დაიწყო, რომელსაც ვაზარი და იუკო აართვა, შემდეგ კი სუფთა გამარჯვებები ბრაზილიელ ფელიას სა და კორეელი ნამ სონგი დაამარცხა, ნახევარფინალში ამერიკელი ტრევის სტევენსი იუკოს ხარჯზე დაამარცხა, ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლა კი ასევე ბრაზილიელ ლეანდრო გილეიროსთან დამატებით დროში წააგო გაფრთხილების ხარჯზე. საბოლოოდ, წიკლაურს ვერცხლის მედალი ერგო.

ასუმბანის ოქროს და წიკლაურის ვერცხლს, ცირეკიძემ ბრინჯაო მიაყოლა და მედლების სრული კომპლექტი შეავსო.

ცირეკიძემ ჯერ მასპინძელ ფრედერიკ შტიგელმანი დაამარცხა, რომელიც ძალიან პასიურობდა და მსაჯებმა გაფრთხილელები არ დაამადლეს, შემდეგ კი პეკინის ოლიმპიადაზე ერთხელ უკვე გამწარებულ რუს ივან პერშინს შეხვდა და ამჯერადაც იპონით მოუგო, მეოთხედფინალში ჭიდაობა კიდევ ერთ ფრანგ ძიუდოისტთან კირილ მარსეთან ისევ გაფრთხილების ხარჯზე მიაღწია გამარჯვებას, ხოლო ფინალში გადასასვლელი ბრძოლა ბელგიელ ელკოფან დერ ხერსტთან იპონით წააგო და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს მესამე ადგილი ერგო.

ფეხბურთი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიერიგა

ბირმინგემი-ვულვზი	2:1
ჩელსი-არსენალი	2:0

იტალია. სერია ა

ატალანტა-ბარი	1:0
ბოლონია-მილანი	0:0
ჯენოა-კიევი	1:0
ინტერი-ჯალიარი	3:0
ლაციო-კატანია	0:1
სიენა-სამპდორია	1:2
უდინეზე-ნაპოლი	3:1
ფიორენტინა-რომა	0:1

ესპანეთი. ჩემპიონ დივიზიონი

ალმერია-ხიხონი	3:1
ბილბაო-ხერესი	3:2
მალაგა-დეპორტივო	0:0
მალიორკა-ვალენსია	1:0
ოსასუნა-ტენერიფე	1:0
სარაგოსა-სევილია	2:1
რასინგი-ატლეტიკო	1:1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბეტისი-ერკულესი	1:1
კადისი-ლევანტე	2:4
კასტელონ-ულესკა	0:0
ლას პალმასი-ულესკა	0:0
რაიო-კართაგენა	2:3
უნიონი-ალბასეტე	2:1
სელტა-სალამანკა	0:0

გერმანია. ბუნდესლიგა

მაინც-გლადბახი	1:0
დორტმუნდი-აინტრახტი	2:3

გერმანია. II ბუნდესლიგა

კაიზერი-პადერბორნი	3:0
ფორტუნა-დუისბურგი	2:0
ფრანკფურტი-აახენი	1:1

საფრანგეთი. I ლიგა

სენტ ეტიენი-მონაკო	3:0
ტულუზა-ლიონი	0:0
მარსელი-ვალანსიენი	5:1

ჰოლანდია. ა ლიგა

ოლპენენსე-ნაციონალი	1:0
მარიტიმუ-ლეირია	1:0
რიუ ავე-ვეიმეუში	2:0
გიმარაეში-ფერეირა	1:2
პორტუ-ნავალი	3:0

ჰოლანდია. ეჰედივიზიონი

ვალვაიკი-ნაიმეგენი	0:1
ვენლო-ვიტესი	2:0
ფეინოორდი-ალკმაარი	1:2
აიაქსი-ტვენტე	3:0

ბელგია. ჩემპიონგა

ვარეგემი-ბრიუგე	1:1
გენკი-სტანდარდი	1:0
კორტრაიკი-შარლეროა	2:1

შვეიცარია. სუპერლიგა

არაუ-ბელინცონა	6:3
ბაზელი-იანგ ბოიზი	4:0
ლუცერნი-გრასჰოპერსი	4:2

შოტლანდია. თასი

დამფერმლაინი-სელტიკი	2:4

საბერძნეთი. სუპერლიგა

ატრომიტოსი-პანიონიოსი	1:0
ერგოტელისი-ასტერასი	4:3
ირაკლისი-პაოკ	1:1
ოლიმპიაკოსი-ლევადიაკოსი	5:1
ლარისა-პანათინაიკოსი	0:3

თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-ბურსა	0:0
კაშიმფაშა-ანთალია	2:2
სივასი-დენიზლი	2:0
ტრაბზონი-მანისა	3:0
ფენერბახჩე-დიარბაქირი	1:1

სერბეთი. ჩემპიონ. ლიკუსტა

ჩაკარიტა-ბანფილდი	2:1
ესტუდიანტესი-სან ლორენცო	2:0
რივერ პლეიტი-როსარიო	0:0
რასინგი-არსენალი	2:4

კალათბურთი

ნბა. ხეგეტარეული ჩემპიონატი

ტორონტო-საკრამენტო	115:104
ბოსტონი-ორლანდო	89:96

რაგბი

ექვსი ერის თასი

შოტლანდია-საფრანგეთი	9:18

ჩოგბურთი

ატპ. ზაგრები. ჰარი ფინალი

ჩილიჩი-ბერერი	6:4;6;7;6:3

ატპ. ოეანსებეზრი. ჰარი ფინალი

ლოპესი-რობერტი	7:5;6:1

ვტა. ჰარიზი. ხალიჩა

როდინა-კორზენიაკი	6:2;6:2
სტრიკოვა-პუჩეკი	6:3;6:2
ოლარუ-ჩანგაშვილი	2;6;7;6;6:1
შარეფი-ბირნეროვა	6:3;7:6
ვორაკოვა-ფირშტეინი	6:3;3:6;6:3
მანასიევა-ბეიგელციმერი	6:3;6:2

ჭოკები

ნბე. ხეგეტარეული ჩემპიონატი

ვაშინგტონი-პიტსბურგი	5:4(ოტ)
მონრეალი-ბოსტონი	0:3

აფხაზურმა კლუბმა რუსეთში თამაში მოისურვა

აფხაზეთის ჩემპიონატში მოთამაშე საფეხბურთო კლუბმა სოხუმის „ნართამ“, სურვილი გამოთქვა რუსეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის სამხრეთ ზონაში მიიღოს მონაწილეობა.

„ნართა“ ამჟამად აფხაზეთის პირველობაზე უძლიერეს გუნდად ითვლება და ჩემპიონატს უპრობლემოდ იგებს და ალბათ, ამიტომ გადაწყვიტა ძალები მაღალ დონეზე „მოსინჯოს“. გუნდის დიდ ნაწილს აფხაზები შეადგენენ და იმედი აქვთ, რომ თუ რუსეთის ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას, მათ რიგებს რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშე და კრასნოდარის მხარეში მცხოვრები აფხაზები გააძლიერებენ.

„ნართა“ ამ გადაწყვეტილებით, სპორტული ინტეგრაციის გზას დადგა, ხოლო რამდენად მართებულია მათი ქმედება, ამას ფიფას წესდება წყვეტს.

ფიფაში მიღებული კანონმდებლობით ერთი ქვეყნის გუნდს უფლება არ აქვს, მონაწილეობა მიიღოს სხვა ქვეყნის ჩემპიონატში. ეს თავად რუსეთის ფეხბურთის კავშირმაც კარგად იცის და ამის უფლებას არ აძლევს. სხორადაც იქცევა, „ნართა“ რუსეთის ფეხბურთის კავშირმა თავის ჩემპიონატში რომ დაუშვას, ფიფადან დისკვალიფიკაცია არ ასცდება. ასე რომ, აფხაზთა მცდელობას ხაკეთე არ უნერია.

მიაშხა ძერელიერელიანს

დღის კალენდარი

9 თებერვლისთვის

ნლის მე-40 დღე, ახალ ნლამდე დარჩა 325 დღე.

საეკლესიო კალენდარი

იოანე ოქროპირის წმინდათა ნაწილთა აღმოყვანება აფხაზეთის კომანიდან კონსტანტინოპოლს (438); კეთილმორწმუნისა დედოფლისა მარკიანასი (VI); ელიასი, იერუსალიმელი პატრიარქისა; ღირსისა პეტრე მეგვიპტელისა (დაახლ. 400); მოწამისა დიმიტრისა კონსტანტინეპოლ-ში (1784X 1785); დიმიტრიანესი, ტამასოს (ვეიპროსი) ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა.

მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი - ეს უდიდესი მამა მსოფლიო ეკლესიისა და მღვდელმთავარი ქალაქ კომანში გარდაიცვალა, როცა გადასახლების ადგილას მიემგზავრებოდა. მისი პატიოსანი ნაწილების გადასვენება კომანიდან კონსტანტინეპოლში აღესრულა 438 წელს, 30 წლის შემდეგ მღვდელმთავრის გარდაცვალებიდან, ვედოქსიას ძის იმპერატორ თეოდოსი მეორის დროს. მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი მხურვალე სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით სარგებლობდა ხალხში და მწუხარება მისი უდროო სიკვდილის გამო დიდხანს ცოცხლობდა ქრისტიანთა გულებში. IX საუკუნეში მღვდელმთავარ იოანე ოქროპირის წმიდა ნაწილების კონსტანტინეპოლში გადასვენების დღესასწაულისათვის საეკლესიო საგალობელიც შეიქმნა.

დაიბადნენ:

1441 - ალიშერ ნავოი, უზბეკი პოეტი, მოაზროვნე, სახელმწიფო მოღვაწე. გარდაიცვალა 1501 წელს.

1672 - პეტრე I, რუსეთის იმპერატორი.

1700 - დანიელ ბერნული, შვეიცარიელი მათემატიკოსი.

1773 - უილიამ ჰარისონი, აშშ-ს მე-9 პრეზიდენტი.

1844 - ანატოლი კონი, რუსი ადვოკატი, მოსამართლე, პედაგოგი, მწერალი. გარდაიცვალა 1927 წელს.

1846 - ვილჰელმ მეიბახი, გერმანელი ინჟინერი, მან შექმნა „მერსედესის“ პირველი პროექტი.

გახდაიცვალნენ:

1881 - ფიოდორ დოსტოევსკი, დიდი რუსი მწერალი.

1960 - ალექსანდრ ბენუა, რუსი მხატვარი, ხელოვნების ისტორიკოსი.

1977 - სერგეი ილუშინი, რუსი ავიაკონსტრუქტორი.

მოვლენები:

1710 წელი - პეტრე I-მა ბრძანებულება გამოსცა რუსეთში სამოქალაქო ანბანის შემოღების შესახებ.

1818 წელი - პირველად გამოვიდა კარამზინის “რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ რვატომეული.

1825 წელი - ჯონ ადამსი აშშ-ს მე-6 პრეზიდენტად აირჩიეს.

1867 წელი - ნებრასკა აშშ-ს 37-ე შტატი გახდა.

1893 წელი - მილანში გაიმართა ჯუზეპე ვერდის ოპერის “ფალსტაფის“ პრემიერა.

1893 წელი - პირველად მსოფლიოში „მულენ რუჟის“ სცენაზე პარიზელმა სტუდენტებმა სტრიპტიზი მოანყეს.

1963 წელი - საბჭოთა კავშირში თვრამეტწლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს ლვოვის არქიეპისკოპოსი.

1969 წელი - აშშ-ში საცდელი ფრენა განახორციელა სამგზავრო ავიალაინერმა „ბოინგ-747“-მა.

ღირსახსოვარი დღეები:

ლიბანი - სან მარონის ფესტივალი.

მკითხველი

სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა თანამოქალაქეებს ბოდიში მოუხადა

სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა ჯეიკობ ზუმამ ხალხის წინაშე ქორწინების გარეშე ბავშვის შეძენის გამო ბოდიში მოიხადა.

— ბოდიშს ვიხდი იმის გამო, რომ ტკივილი მივაყენე ჩემს ოჯახს, ჩემს პარტიას და ყველა სამხრეთაფრიკელს, — განაცხადა მან.

სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი ზულუსების ტრადიციულ რელიგიას აღიარებს და პოლიგამიის მომხრეა.

67 წლის ჯეიკობ ზუმამ, რომელსაც ამჟამად 3 ცოლი ჰყავს და 19 შვილი, ცოტა ხნის წინ აღიარა, რომ გასული წლის ივნისში ქორწინების გარეშე შვილი შეეძინა.

ბავშვის დედაა 39 წლის სონონა ჰოზა, ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სამხრეთ აფრიკაში გამართვის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელის ქალიშვილი.

ამ ცნობამ სამხრეთ აფრიკის საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. პარლამენტის ერთ-ერთმა გავლენიანმა წევრმა ისიც კი განაცხადა, რომ პრეზიდენტმა სექსუალური დამოკიდებულების მკურნალობის კურსი უნდა გაიაროს, როგორც ამას გოლფის ცნობილი მოთამაშე ტაიგერ ვუდი აკეთებს.

სამხრეთაფრიკელი დემოკრატების ლიდერის, ჯენტ მეშოოს თქმით, უკანონო ბავშვის შეძენა ადასტურებს, რომ პრეზიდენტი სქესობრივი კავშირის დროს თავს არ იზღვევს, რაც ქვეყანაში, სადაც შიდსის პრობლემა ძალიან მწვავედ დგას, უსაფრთხო სექსის პროპაგანდის მხრივ სამხრეთ აფრიკის მთავრობის საქმიანობას ძირს უთხრის.

სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა გარდა ამისა, უარყო ოპოზიციის კრიტიკა, თითქოს იგი შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის ცუდ მაგალითს იძლევა.

სამხრეთ აფრიკაში შიდსი ეროვნული მასშტაბის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. ინფიცირებულთა რიცხვი ხუთ მილიონს აღწევს და ამ მაჩვენებლით ეს ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

ეს შემთხვევა სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის სასიყვარულო თავგადასავლებთან დაკავშირებული პირველი სკანდალი არ არის. 2006 წელს ზუმას ბოდიშის მოხდა მოუხდა იმის გამო, რომ შიდსით ავადმყოფ ქალთან დაუცველი სქესობრივი კავშირი ჰქონდა.

ამ საქმესთან დაკავშირებით მას გაუპატიურების ბრალდებებიც კი წაუყენეს, თუმცა, უდანაშაულოდ ცნეს. საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ზუმამ იცოდა, ქალი ინფიცირებული რომ იყო, მაგრამ თავი არ დაიზღვია.

მერილინ მონროს უცნობი ფოტოები აუქციონზე გაიტანეს

ამერიკელი მსახიობის, მერილინ მონროს უცნობი ფოტოები, რომლებიც კერძო კოლექციაში 50 წელზე მეტი დროის განმავლობაში ინახებოდა, აუქციონზე გასაყიდად გაიტანეს.

შავ-თეთრ ფოტოებზე, რომლებიც ნიუ იორკში, ფოტოგრაფ ლენ შტეკლერის სახლში მსახიობის გარდაცვალებამდე 9 თვით ადრე არის გადაღებული, მერილინ მონროს გაბრწყინებული სახეა აღბეჭდილი.

მონრო ნიუ იორკს თავის მეგობართან, პოეტთან და პროზაიკოსთან, კარლ სენდბერგთან შესახვედრად მოულოდნელად ეწვია.

— ეს პირდაპირ ზღაპრული შეხვედრა იყო, თავისი დროის ორი აღიარებული კერპი და მეც ჩემი ფოტოკამერით, — განაცხადა შტეკლერმა რეიტერის კორესპონდენტთან.

მერილინ მონროს მის ბინაში სტუმრობა ფოტოგრაფისათვის სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა, რადგან სენდბერგმა მხოლოდ ის უთხრა, რომ ვიღაცას ელოდებოდა სტუმრად.

— ცოტა ხნის შემდეგ კარი გავაღე, ჩემ წინ მერილინ მონრო იდგა, გაცილებით უფრო კარგად გამოიყურებოდა, ვიდრე ეკრანებზე ჩანდა, — იხსენებს ფოტოგრაფი.

როგორც ფოტოგრაფმა განაცხადა, ფოტოსურათების გაყიდვა მას შემდეგ გადაწყვეტა, რაც ძველი ფოტოების თვალიერებისას ნეგატივები იპოვა. სხვა-ერთ სახელწოდებით „ვიზიტი“ გაერთიანებული ფოტოების საწყისი ფასი დაახლოებით 4 ათას დოლარს აღწევს. ლეგენდარული ამერიკელი მსახიობი მერილინ მონრო 1962 წლის აგვისტოში, 36 წლის ასაკში, საძილე საშუალებების ჭარბი დოზის მიღების შედეგად გარდაიცვალა.

„ემფაიამ“ ყველაზე ცუდი ფილმები დაასახელა

ამერიკულმა ჟურნალმა „ემფაიამ“, რომელიც ტრადიციულად, კინემატოგრაფის თემას აშუქებს, მკითხველებს შორის მორიგი გამოკითხვის შედეგად ყველა დროის 50 ყველაზე ცუდი ფილმის რეიტინგი შეადგინა.

აღიარებულ ლიდერად იქცა მხატვრული ფილმი „ბეტმენი და რობინი“, რომელშიც მთავარ როლს მსახიობი ჯორჯ კლუნი ასრულებს.

— ამ ფილმში ყველაფერი, დაწყებული ნეონის დიზაინითა და უსაშველოდ გაბერილი სცენარით და ბეტმენის კოსტიუმზე გამოსახული ანატომიური დეტალებით იქცა კლასიკურ მაგალითად იმისა, თუ როგორ არის საჭირო საშინელი ფილმის გადაღებაა, — გესლიანად აღნიშნავენ კინოკრიტიკოსები.

„ბეტმენმა და რობინმა“ მეორე ადგილზე გასული ფილმთან, „ბრძოლის ველი, დედამიწა“ შედარებით თითქმის სამჯერ მეტი ხმა მოაგროვა. საიენტოლოგიის გურუს, ფანტასტი მწერლის, რონ ჰაბარდის ნაწარმოების მიხედვით გადაღებულმა ფილმმა, რომელშიც მთავარ როლს ჯონ ტრავოლტა ასრულებს, მხოლოდ მეორე ადგილის აღება შეძლო.

მესამე ადგილზეა კომედიური ფილმი „სექს გურუ“, რომელშიც მთავარ როლებს ჯესიკა ალბა და მომღერალი ჯასთინ თიმბერლეიქი ასრულებენ.

— ეს კომედია იმდენად საზიზღარია, რომ ცდილობ გაიხსენო, იყო თუ არა მისი ავტორის, მაიკ მაიერსის ფილმებს შორის რომელიმე სასაცილო. რასისტული და წელს ქვემოთ ორიენტირებული ხუმრობები ტუალეტური იუმორით არის შეზავებული, — აღნიშნავს „ემფაია“.

კინემატოგრაფის ისტორიაში ათი ყველაზე აუტანელი ფილმის სია ასე გამოიყურება: „ბეტმენი და რობინი“, „ბრძოლის ველი დედამიწა“, „სექს გურუ“ „ამოვწიოთ ტიტანიკი“, „ძალიან ეპიკური ფილმი“, „სამოთხის კარიბჭე“, „კარტოფილის ბიჭების სექსუალური ცხოვრება“, „მოვლენა“, „მთიელი 2, გაცოცხლება“, „ოთახი“.

ნატოს სამხედრო მოსამსახურეებმა გემი მეკობრეებისაგან გაათავისუფლეს

ნატოს სპეციალურმა ქვეგანყოფილებამ, დანიელი სამხედრო მოსამსახურეებისაგან შემდგარმა მეკობრეობის წინააღმდეგ მოქმედმა რაზმმა გაათავისუფლა სატვირთო გემი, რომელიც სომალის ნაპირებთან მეკობრეებს ჰყავდათ გატაცებული.

ნატოს წარმომადგენლების განცხადებით, სამხედროებმა იერიში მას შემდეგ დაიწყეს, რაც გემის კაპიტანმა მათ აცნობა, რომ ეკიპაჟის ყველა წევრი უსაფრთხო ადგილას იმყოფებოდა.

ამასთან, დამნაშავეებმა სატვირთო გემი მასზე სამხედროების ასვლამდე დატოვეს. მიუხედავად ამისა, რუსულმა გემმა „ნეუსტრაშიმმ“ დაიკავა მეკობრეთა ნავი, რომელიც პირველი ჯგუფის დასახმარებლად მიიჩქაროდა.

სამხედროებმა უბედურების სიგნალი სატვირთო ხომალდ „არიელისაგან“ მიიღეს, რომელიც ანტიგუას დროშით დაცურავდა. ეკიპაჟმა 5 თებერვალს, დილით გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნეს, რომ გემზე ექვსი შეიარაღებული მეკობრე ავიდა.

მას შემდეგ, რაც გემის კაპიტანმა რადიოთი გადასცა, რომ ეკიპაჟმა გემის ერთ-ერთ სათავსოს შეაფარა თავი, დანიის სამხედრო გემ „აბსალონიდან“ ამ ინფორმაციის დასადასტურებლად ვერტმფრენი აფრინდა.

სამხედროები „არიელთან“ გასაბერი ნავებით მიცურდნენ, გემზე ავიდნენ და ეკიპაჟი გაათავისუფლეს.

დანიელი სამხედროების თქმით, გაუგებარია, თუ როდის დატოვეს მეკობრეებმა გემი, ვერტმფრენის დანახვისას თუ ნატოს სამხედროების მოახლოებისას.

ევროკავშირის სამხედრო საჰაერო ძალების წარმომადგენელმა ჯონ ჰარბორმა ნატოს ძალებს წარმატებული ოპერაციისათვის მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, პირველად მოხდა, რომ სამხედროები გემის გასათავისუფლებლად მისი აღმოჩენისთანავე გაგზარდნენ.

ჰარბორის თქმით, ჩვეულებრივ, სამხედროები გემებზე იერიშისაგან თავს იკავებენ, რადგან შიშობენ, რომ შედეგად ეკიპაჟის წევრები შეიძლება დაზარალდნენ.

როგორც წესი, სამხედრო ხომალდები ოპერაციებში მოლოდ მეკობრეებთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ ერთვებიან ხოლმე, ან სახიფათო რაიონისაკენ მიმავალ გემებს მეკობრეებისაგან იცავენ.

სომალის სანაპირო და მიმდებარე წყლები, მიუხედავად იმისა, რომ აქ მუდმივად პატრულირებენ ევროკავშირის, ნატოს, ინდოეთისა და რუსეთის ხომალდები, ნაოსნობისათვის მსოფლიოში ყველაზე სახიფათო ადგილად ითვლება.

სომალიში, ომით გაჩანაგებულ ამ აფრიკულ ქვეყანაში 1991 წლის შემდეგ ნორმალური მოქმედი მთავრობა არ არსებობს და მეკობრეები სანაპირო ზოლში პრაქტიკულად დაუსჯელად მოქმედებენ.

მოაზზადა ვანდა თფერმ

ჯოსვოოდი ბ



ზვეულად: 1. ნეიტრონების აღმომჩენი ინგლისელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ძვირფასი ქვა, ლურჯი იაგუნდი; 3. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 4. ჭაობის მწერიჭამია მცენარე; 5. ფინელი ბარონი, მარშალი, ეროვნული გმირი; 10. ძალისმნობის იარაღი; 11. ცნობილი ამერიკელი პიანისტი მამაკაცი; 12. ვისიმე რწმუნების დამადასტურებელი დოკუმენტი; 13. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 16. აცტეკების ლეგენდარული ბელადი; 17. იაპონიის ეროვნული ჰიმნი; 19. სოფოკლეს ტრაგედია; 21. ქვეწარმავლის შხამი; 23. კუთხე საქართველოში.

თარაზულად: 6. რაიმეს თანდათანობით გაუარესება, დაქვეითება; 7. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 8. საფრანგეთის ნაკრებისა და „ბაიერნის“ ფეხბურთელი; 9. მკვლელობათა საქმის გამომძიებელი აშშ-ში; 14. პოპულარობის მაჩვენებელი; 15. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 20. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 22. ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 24. შემაგრებული ესპანური ღვინო; 25. ალექსანდრე მაკედონელის ცხენის სახელი; 26. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი.

შეადგინა ბოგდანა ფეფელაშვილმა

ნინა ნომეხმი გამოქვეყნებული ჯოსვოოდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. სიმინდი; 6. ვაგზალი; 8. ტონა; 9. ასასი; 10. ევრიკა; 11. ლემა; 13. ვატიკანი; 14. მერხი; 16. მარსი; 18. კამეა; 20. სპინტეტი; 21. ტერმიტი.

ზვეულად: 1. კიევრი; 2. ედიქტი; 3. აზბესტი; 4. დიონისე; 5. სანთელი; 7. კანბერა; 11. ლორდი; 12. კიოსკი; 13. ვატმანი; 14. მატროსი; 15. რაკეტა; 17. აიაზმა; 19. ხენა.

სპანგორდის პასუხები:

1. ნარდი; 2. ლი; 3. კლანდა; 4. არვე; 5. „იდიოტი“; 6. პრელატი; 7. ლიანა; 8. რო; 9. არილი; 10. მენისკი; 11. კანი; 12. სიმფონია; 13. სალარო; 14. მარადია; 15. ფური; 16. ლივ; 17. მანონ; 18. ჯირკვი; 19. სირ; 20. უტა; 21. ჯერომი; 22. პატრი; 23. ნო; 24. პრადო; 25. ოქრო; 26. ალენ; 27. ლაქტოზა; 28. ბროლია; 29. ზრო; 30. ტაპირი; 31. ქვა; 32. კალანდია.

სურათებზე: სვეტლანა ნემოლიაევა; ანდრეს ინიესტა.

ეუთომ უკრაინის პრეზიდენტის არჩევნები დემოკრატიის გამარჯვებად მიიჩნია

ეუთოს უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის განცხადებით, უკრაინის პრეზიდენტის არჩევნები გამჭვირვალე, პროფესიონალი და პატიოსანი იყო.

საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებაში არჩევნები მოხსენიებული იყო, როგორც „დემოკრატიის შთამბეჭდავი გამოვლინება".

ეუთოს წარმომადგენლების თქმით, უკრაინის არჩევნები ყველასათვის გამარჯვებად იქცა.

წინასწარი მონაცემების თანახმად, გამარჯვება არჩევნებში ვიქტორ იანუკოვიჩმა მოიპოვა, რომელმაც ხმების 48.5% მოაგროვა. იულია ტიმოშენკოს მხარი 46%-მა დაუჭირა.

სავარაუდოდ, არჩევნებში „რეგიონების პარტიის" კანდიდატი იმარჯვებს, რომელმაც ხუთი წლის წინ გამარჯვება ვიქტორ იუშჩენკოს დაუთმო. მაშინ იუშჩენკოს ტიმოშენკო უჭერდა მხარს.

არჩევნებში ამომრჩევლების აქტივობამ 69% შეადგინა. ამომრჩევლების 4.4%-მა ხმა არც ერთ კანდიდატს მისცა.

აბსოლუტური მნიშვნელობით რეგიონების პარტიის ლიდერმა მეტოქეს 600 ათასი ხმით გაუსწრო.

არჩევნების ოფიციალური შედეგი 17 თებერვლისათვის გახდება ცნობილი.

არჩევნების დროს სერიოზული დარღვევების ცნობები არ გავრცელებულა. ოფიციალური განცხადებით ეუთოს წარმომადგენლები ორშაბათს, საღამოს უნდა გამოსულიყვნენ.

კვირას, საღამოს ეგზით პოლების შედეგი გახდა ცნობილი, რომლებმაც გამარჯვება ასევე იანუკოვიჩს მიაკუთვნეს. იულია ტიმოშენკომ ეგზით პოლების შედეგის კომენტარის სახით განაცხადა, რომ ეს მხოლოდ „სოციოლოგიაა" და მიანიშნა, რომ საბოლოო შედეგს დაელოდებოდა.

თავის მხრივ, იანუკოვიჩმა პირველი შედეგების შეტყობის შემდეგ განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრი ტიმოშენკო გადადგომისათვის უნდა მოემზადოს.

უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებშა იანუკოვიჩს დაუჭირეს მხარი. ამასთან, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში მას ამომრჩევლების 90%-მა დაუჭირა მხარი.

გარდა ამისა, იანუკოვიჩმა წარმატებას ყირიმშიც მიაღწია, სადაც მან ხმების 80% მოაგროვა. ოდესაში მისი შედეგი იყო 74%, ხარკოვის ოლქში — 71%, ზაპოროჟიეში — 71%.

იულია ტიმოშენკომ, თავის მხრივ, დამაჯერებელი გამარჯვება დასავლეთ რეგიონებში მოიპოვა.

ლვოვის ოლქში მოქმედ პრემიერ-მინისტრს ამომრჩევლების 85%-მა დაუჭირა მხარი, ივანოვო ფრანკოვსკში და ტერნოპოლის ოლქებში — 88%-მა.

კიევში მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა 65%-ზე მეტი მოაგროვა. იანუკოვიჩს უკრაინის დედაქალაქში ამომრჩევლების 25%-ზე მეტმა მისცა ხმა, კიეველების 8%-ს არც ერთი კანდიდატისათვის არ მიუცია ხმა.

საზღვარგარეთ მყოფ უკრაინელებს შორის უმეტესობამ (თითქმის 60%) ასევე ტიმოშენკოს დაუჭირეს მხარი.

არჩევნების გამჭვირვალობისა და დემოკრატიულობის შესახებ ეუთოს განცხადების მიუხედავად ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

ევროსაბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი ექსპერტის, ენდრიუ უილსონის თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატების შედეგებს შორის სხვაობა სამი საპროცენტო პუნქტით ნაკლები აღმოჩნდა, შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს და საკარაუდოდ, ტიმოშენკო შეიძლება ასეთი ცდუნების წინაშე აღმოჩნდეს.

ტიმოშენკოს შტაბს ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადება არ გაუვრცელებია.

იმავდროულად, იანუკოვიჩის შტაბი იმედოვნებს, რომ ტიმოშენკო და მისი მომხრეები დამარცხებას აღიარებენ და არჩევნების შედეგებს არ გაასაჩივრებენ.

იანუკოვიჩის თქმით, იულია ტიმოშენკოს არაერთხელ უთქვამს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი უპირატესობა მხოლოდ 10 ხმას შეადგენს, იგი მაინც გამარჯვებას ნიშნავს.

უზენაესი რადას თავმჯდომარე ვლადიმირ ლიტვინმა განაცხადა, რომ უკრაინის ქალაქების ქუჩებში მასობრივი აქციები მოსალოდნელი არ არის.

პრესკონფერენციის დროს მან განაცხადა, რომ მესამე ტური მოსალოდნელი არ არის და 2004 წლის სიტუაცია არ განმეორდება.

დღეს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა რეგისტრაცია იწყება

9 თებერვლიდან 2010 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა რეგისტრაცია იწყება.

როგორც „პირველს" გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა განუცხადა, აბიტურიენტთა რეგისტრაცია 22 მარტამდე გასტანს.

— დღეს ყველა სკოლასა და რესურს-ცენტრში საინფორმაციო ცნობარები დარიგდება, რომელშიც სარეგისტრაციო ანკეტის შესავსებად საჭირო ყველა ინფორმაციაა გამოქვეყნებული. სკოლის მოსწავლეები რეგისტრაციას სკოლებშივე გაივლიან, მათ კი ვისაც სკოლა უკვე დამთავრებული აქვს, რესურს-ცენტრებს უნდა მიაკითხონ. წელს აბიტურიენტები ოთხ სავალდებულო გამოცდას ჩაბარებენ. სამი გამოცდა, ჩვეულებისამებრ, ქართულ ენაში, ზოგად უნარებსა და უცხო ენაში ჩატარდება, მეოთხე სავალდებულო გამოცდას კი კონკრეტული სასწავლებელი თავად აირჩევს, — განაცხადა მიმინოშვილმა.

ცნობისთვის, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის 2009 წელს 29 ათასამდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა.

პრველი

იანვარში 77400 სანოტარო მოქმედება შესრულდა

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2010 წლის იანვრის თვეში საქართველოს ტერიტორიაზე 77400 სანოტარო მოქმედება შესრულდა. აქედან თბილისის ნოტარიუსების მიერ - 38229 სანოტარო მოქმედება, აღმოსავლეთ საქართველოს ნოტარიუსების მიერ - 17199 სანოტარო მოქმედება, დასავლეთ საქართველოს ნოტარიუსების მიერ - 10143 სანოტარო მოქმედება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნოტარიუსების მიერ - 5044 სანოტარო მოქმედება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნოტარიუსების მიერ - 6785 სანოტარო მოქმედება, — აცნობეს „ედიანინუსს" ნოტარიუსთა პალატიდან.

მოქალაქეები სანოტარო ბიუროებს, უმეტესად, დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორის დასამოწმებლად, ხელმოწერის ნამდვილობის დასადასტურებლად და სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ განცხადების დასამოწმებლად მიმართავენ.

2009 წლის 23 მარტიდან საქართველოში მოქმედი ყველა ნოტარიუსი გადავიდა ელექტრონულ საქმისწარმოებაზე, რამაც მნიშვნელოვნად დაარჩარდა და გაამარტივდა მოქალაქეთა მომსახურება.

დაინტერესებულ პირს სანოტარო პალატის ვებგვერდზე, სახლიდან გაუსვლელად, შეუძლია გადაამოწმის, რეგისტრირებულია თუა არა მისი სანოტარო აქტი.

ჩქარული

პენტაგონის შეფმა ირანის მიმართ სანქციების გამკაცრებისაკენ მოუწოდა

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიოსმა, ირანის ხელისუფლების მიერ ურანის გამდიდრების ხარისხის გაზრდის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მსოფლიო საზოგადოებრიობას ირანის მიმართ სანქციების გამკაცრებისაკენ მოუწოდა.

ბილ გეიოსი ამ განცხადებით ირანის პრეზიდენტის, მაჰმუდ აჰმადინეჯადის მიერ ურანის გამდიდრების ხარისხის 5-დან 20%-მდე გაზრდის განკარგულებიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამოვიდა.

ამ ურანის გამოყენებას ირანი კვლევით რეაქტორში აპირებს.

გეიოსის თქმით, საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ირანს არაერთხელ მისცა შესაძლებლობა ურანის გამდიდრებასთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოეთქვა, მაგრამ შედეგმა დიდი იმედგაცრუება გამოიწვია.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა აქტიურად ცდილობდა ირანთან კონტაქტის დამყარებას და პრეზიდენტ ობამას მსგავსად ირანთან ურთიერთობის გაუმჯობესება არავის უცდია.

ურანის გამდიდრების ხარისხის გაზრდის გადაწყვეტილება აჰმადინეჯადმა 7 თებერვალს მიიღო. მანამდე ერთი დღით ადრე დასავლეთმა თეირანთან მცირედ გამდიდრებული ურანის საზღვარგარეთ გადასამუშავებლად გატანის შეთანხმების ახლო მომავალში მიღწევის შესაძლებლობასთან დაკავშირებით დაეჭვება გამოთქვა.

ეს ურანი გადამუშავების შემდეგ ირანში რეაქტორებისათვის გათვალისწინებული ბირთვული საწვავის სახით უნდა დაებრუნებინათ.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის, მანუჩეჰრ მოთაქის განცხადების პასუხად, რომელმაც აღნიშნა, რომ შესაბამისი შეთანხმებების მიღწევა არცთუ შორეულ მომავალში არის მოსალოდნელი, დაეჭვება გამოხატა.

ექსპერტების ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ ირანის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელი ამ განცხადებით სანქციების შემოღების გადავადებას ცდილობდა.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მიზნებისათვის გამოსადეგი ურანის გამდიდრების ხარისხი 95%-ს უნდა აღწევდეს, აჰმადინეჯადის განცხადებამ ირანის ბირთვულ გეგმებთან დაკავშირებით დასავლეთის დამოკიდებულება კიდევ უფრო ორჭოფული უნდა გახადოს.

მიუხედავად საკითხთან დაკავშირებით გამართული კონფერენციის დროს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ შეთანხმების მიღება არცთუ შორეულ მომავალში არის შესაძლებელი.

ირანი ამტკიცებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ატარებს.

ამასთან, აბომურ ელექტროსადგურებში გამოსაყენებლად 3%-მდე გამდიდრებული ურანიც საკმარისია.

სატელევიზიო გამოსვლის დროს აჰმადინეჯადმა განაცხადა: „მე უკვე ვთქვი, მოდით, დასავლეთს ორი სამი თვე ვაცადოთ და თუ არ დაგვეთანხმებიან, მოქმედებას დავიწყებთ. დაიწყეთ გამდიდრება 20%-მდე".

ამასთან მან დაუმატა, რომ თანამშრომლობისათვის გზა კვლავ გახსნილია.

ჯერ კიდევ 2009 წლის ოქტომერში ირანს, გაეროს ატომური ენერგიის სააგენტოსა და ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანთან მოლაპარაკების მონაწილე ექვს სახელმწიფოსთან (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ირანს მცირედ გამდიდრებული ურანი რუსეთსა და საფრანგეთში უნდა გაეგზავნა კვლევითი რეაქტორისათვის საწვავად გადასამუშავებლად.

მას შემდეგ თეირანს ამ მიმართულებით რაიმე ნაბიჯები არ გადაუდგამს და მხოლოდ დასავლეთისათვის მიუღებელი განცხადებებით გამოდიოდა.

რუსეთმა, რომელიც ტრადიციულად მოლაპარაკებების გაგრძელების განცხადებით გამოდიოდა, განაცხადა, რომ ირანის შეურიგებელმა პოზიციამ ყველასათვის არასასურველი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს.

ბრიტანელმა სამხედროებმა ავღანელ თალიბებს დანებებისაკენ მოუწოდეს

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ ავღანეთის პროვინციაში მოქმედ თალიბებს იარაღის დაყრის და დანებების მოწოდებით მიმართა და უარის შემთხვევაში კოალიციის ჭარბ ძალებთან გარდაუვალი დამარცხებით დაემუქრა.

ამ მოწოდებით ბრიტანელები ავღანეთში, გილმენდის პროვინციაში თალიბების პოზიციებზე ფართო მასშტაბის ოპერაციისათვის მზადების პერიოდში გამოვიდნენ.

ნატოს წარმომადგენლების თქმით, ოპოზიციის მიზანს გილმენდის პროვინციაში თალიბების „წელში გატეხვა" წარმოადგენს.

ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, გენერალ მაიორ გორდონ მესენჯერის თქმით, ნატოს ჯარების ხელმძღვანელობამ ავღანეთში ამ იერიშის მზადების შესახებ წინასწარ განაცხადა და ამით თალიბებს გაცნობიერებული არჩევანი შესთავაზა, ან დანებდნენ, ან მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინააღმდეგ გამარჯვების ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე იბრძოლონ.

მესენჯერის თქმით, გილმენდის პროვინციაში კოალიციის ჯარებს ბრიტანელი გენერალ-მაიორი ნიკ კარტერი ხელმძღვანელობს. ნატოს ხელმძღვანელების განცხადებით, წინასწარ გაფრთხილება, რა თქმა უნდა, მოულოდნელობის ეფექტს აკარწყლებს, მაგრამ ნატოს ხელმძღვანელობა ინარჩუნებს ისეთ უპირატესობას, როგორიცაა ირიშის ზუსტი დროისა და ადგილის არჩევა.

ბრიტანეთის მხრიდან ოპერაციაში 4 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ მთავარი როლი მაინც ამერიკის ჯარებს ეკისრება. გილმენდის პროვინციაში მყოფი ამერიკელი ჯარისკაცების რიცხვი არ გაუზრდიათ.

მოაზზდა ვერალ ოფერმს

TV პროგრამა

სამშაბათი 9 თებერვალი

07.00 ჩვენი დილა **11.00** საბოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **12.30** სერ. **"აბელიას სახე"** **13.30** დოკ. ფილმი "არქიტექტურა" **14.00** მეხსიერება **15.00** სერ. **"პირისპირ"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუუ **18.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"აბელიას სახე"** **22.00** დილაობა **23.00** სერ.**"კაბილი ფსიჰიკრაკი"** **01.30** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით:
ა) მხ. ფილმი **"აბერიკელი მეგობარი"** (**15**) (ს. სიგალი)
ბ) მხ. ფილმი **"სიბიძის ხანაში"** (**18**) (ს. ნეილი)

19.00 ან. სერ. **19.25** ნანინა **19.40** პლანეტა ბასტი-ბუუ **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. **"პირისპირ"** **22.00** სერ. **"აბელიას სახე"** **23.00** სერ. **"ხუთეტმანი მოიგურჩეული"** **23.50** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით:
ა) მხ. ფ. **"დერეის მანეანა"** (U)
ბ) მხ. ფილმი **"უკანასკნელი ბრიტანკაუტი"**

07.30 დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შერისძიების ცეცხლში"** **11.00** კომედი შოუ **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **02.00** კურიერი **12.20** სერ. **"ბზა დიდებისაკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფროსილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"ბელის ქანილი"** **16.50** სერ. **"დენ ხუანი და ლანდაზანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ისევ შეიფვარი"** **19.50** სერ. **"ანხელის სამოუფლო"** **21.50** ეროვნული ლატარია **22.00** ალბანი **23.00** სერ. **"ეფმენ პაუსი"** **00.00** პატრული **00.20** მხ. ფილმი **"რიკი"**

08.00 ან. ფილმი "კონანი" **09.00** სერ. **"აოლიციელთა ამბავი"** **10.00** სერ. **"ჩემი შეფვარებული"** **11.00** სერ. **"ბუუბეები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.45** მხ. ფილმი **14.00** გადაცემა "მეიმე სამფშაო" **15.00** სერ. **"ბარნუფი"** **16.20** მხ. ფილმი **18.00** სერ. **"ბუუბეები"** **19.00** სერ. **"ჩანგო ეფერიდ"** **20.00** ზღაპარიყო **20.15** ეტალონი **21.25** ვიტმორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ. **"ჩემი შეფვარებული"** **23.30** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ოიგანი თავაში"** **11.25** სერ.**"დაბარსული კაცარა"** **12.00** სერ. **"ფარული ვნება"** **13.00** სერ. **"ბარადიული გრანდიოზა"** **14.40** ღამის შოუ **16.00** სერ. **"ბეკალა და სიყვარული"** **17.30** სერ. **"ყველაფერი ელენასთვის"** **18.25** სერ.**"დუთარსული კაცარა"** **18.50** სერ. **"ბარადიული ბრძნობა"** **21.00** სერ.**"შერისძიების ნინაში"** **21.50** "ლოტო" **22.00** სიმართლის დრო **23.00** სერ. **"დაკარგულები"** **00.00** სერ. **"24-6"** **01.00** მხ. ფილმი **"ანასნდრას ოინები"** (**15**) (ი. მაკგრეგორი) **02.55** ქრონიკა

08.30, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30** "დრო" **09.00** სერ. **"ბეგობარები"** **09.30** სერ. **"სკოლის ბეგობარები"** **10.30**, **19.30** სერ. **"ჯონსონის საბარაფო"** **11.45**, **21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **13.30**, **23.00** სერ. **"სალომეა"** **14.50** პეროსონა **15.50** სერ.**"იდეალი სტუმარი"** **18.00** სერ. **"ბეგობარები"** **19.00** ნოვოსტი **00.00** მხ. ფ. **"ნოინინგ პილი"**

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** ახალი ალთქმის განმარტებანი **10.25** მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი" **11.00** საბ. არქივიდან **11.30** ერთსულოვანი ოჯახი **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდეზნის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.05** საგალობელი **12.05**, **15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"ფიმიტრი მეორე"** 1-ლი ს. **15.10** პატრიარქის ქადაგება **13.30** კონცერტი **15.10** დოკ. ფილმი "გეპატიჟუშაო ბარტ ვიულეი" **15.35** მხ. ფილმი **"ჩარირაბა"** **17.30** დედა ეკლესია **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.00** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ფიმიტრი მეორე"** მე-2ს. **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მღვდელმთავარნი ქრისტესანი **22.00**, **00.05** სიახლენი **22.20** მეზაერები ნუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფორზაერის" ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

საქართველოს ეროვნული ბანკი
2009 წლის 9 თებერვლის დღის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დაადგინა:

აშშ
დოლარი
— 1,7325

ევრო
—2,4335

ინგლისური
გირვანქა სტერ-
ლინგი — 2,7536

რუსული
რუბელი
— 0,0533

ქართული ფლორის საოცრება
„სალხინო"
უეგბარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

"სალხინის" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

პრეზიდენტმა ერთი გუნდი ააცილა
ფედერაციის წევრისა და ოპოზიციის ოფიციალურად დანიშნა

ჯვიხას ჩატახებულმა 2012 ნლის ევროპის ჩემპიონატის შესახრევი ეტაპის ნიღისყხამ დიდი ეფიოტაეი გამოიწვია ქართველ ბეღშემატეიეებში. ბეეხი მათგანი დახმუნებულია, ომმ ამ ჯგუფიდან (ხოოვატია, საბეიძნეთი, ისხაელი, ღატვია, საქართველო, მალტა) გასვლა დიდი ბიძოღების შემდეგ, შესაძღებელია. ბეეხის აზოით, მათთალია ჯგუფში გიანდები ეი მოხვდნენ, მაგამ ჩვენი ნაეჯები მაინც უმანსოდ ეხის.

გულშემატკივრებს თავისი აზრი აქვთ, ისევე როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას, რომლებიც ოპტიმისტურად არიან განწყობილი და იმედი აქვთ, რომ კარგ ჯგუფში მოხვდნენ, რამაც გულშემატკივრებს და საქართველოს ნაკრების დიდი ხნის აუხდენელი ოცნების შანსს აძლევს. სფფ-ს პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე წილისყრას ესწრებოდნენ, საქართველოში დაბრუნებულებმა კი პრესკონფერენცია გამართეს და ჟურნალისტებთან ისაუბრეს.

მათი აზრით, ჯგუფი საკმაოდ თანაბარია და მალტის ნაკრების გარდა ყველას შეუძლია ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად იბრძოლოს. სიჭინავამ ისიც კი დასძინა, რომ თუ წინა შესარჩევ ეტაპზე უარეს შედეგს აჩვენებენ ნაკრების მწვრთნელ თემურ ქეცბაიასთან ერთად საქართველოს

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ზვიდი წლის გოგონას კარნავალის დედოფლად დასახელებას სკანდალი მოჰყვა

რიო დე ჟანეიროში ტრადიციული ბრაზილიური კარნავალის დედოფლად 7 წლის ბავშვის დასახელებამ სკანდალი გამოიწვია.

ბავშვთა უფლებების დაცვის ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ პატარა ბავშვი, მათი თქმით, 80-წუთიან სექსუალურ შოუში მიიღებს მონაწილეობას.

მიუხედავად ამისა, ბავშვის მამა ამტკიცებს, რომ ფესტივალში შვილის მონაწილეობაში შემაშფოთებელს ვერაფერს ხედავს და მისი აზრით, ბავშვი დაკისრებულ მოვალეობას თავს გაართმევს.

ფესტივალში გოგონას მონაწილეობის საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. ჯულია ფესტივალის დედოფლად სამბას სკოლის, ვირადურო სამბას

სახელით უნდა იქცეს. როგორც წესი, ამ როლს ზრდასრული ქალები ასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალში მისი მონაწილეობა ნახევრადშიველი ქალების მონაწილეობისაგან განსხვავებული იქნება, ამ გარემოებამ ბავშვთა უფლებების დაცვის აქტივისტების შეშფოთება გამოიწვია.

ბრაზილიაში ბავშვთა და მოზარდთა დაცვის საბჭოს წარმომადგენლების აზრით, ფესტივალში ბავშვების მონაწილეობა ბრაზილიის საზოგადოებაში ბავშვების სექსუალურ ობიექტებად აღქმის ტენდენციას მხოლოდ გააძლიერებს. როგორც საბჭოს წარმომადგენელმა კარლოს ნიკოდემოსმა განაცხადა, ისინი ფესტივალში ბავშვების მონაწილეობის წინააღმდეგი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ია კიწმარიშვილმა საუკეთესოები შეარჩია

ეკონომიკა

სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრმა" და მისმა ხელმძღვანელმა ია კიწმარიშვილმა „მისტერ მსოფლიოსთვის" შესარჩევი ქართველი მამაკაცებიდან საუკეთესო 16 უკვე შეარჩია, რომელთაგანაც გამარჯვებულად ერთ-ერთი კონკურსანტი 14 თებერვალს „სითი ქლაბში" დასახელდება და პირველად „მისტერ მსოფლიოზე" საქართველოს წარადგენს.

კონკურსში მონაწილეობის უფლება 17-დან 26 წლამდე ვაჟებს შეეძლოთ. წინაშესარჩევი კასტინგი „ბამბა რუმში" გაიმართა და კომპეტენტურმა ჟიურიმ მსურველთა შორის 15 კონკურსანტის ნაცვლად 16 ვაჟი შეარჩია, რომლებიც ჟიურის წინაშე სამი ეტაპისგან შემდგარი კონკურსით წარდგნენ. კონკურსის მესამე ეტაპზე ვაჟები საცურაო კოსტიუმებში გამოვიდნენ.

ჟიურის ვაჟებში უპირატესობა სპორტულ აღნაგობას, პროპორციულობას, ელეგანტურობასა და მომხიბვლელობას მიანიჭა. სხვა სტანდარტები მამაკაცებისთვის არ არსებობს, მათთვის გოგონების მსგავსად აუცილებელი პარამეტრები დანესებული არ არის.

შიდაშესარჩევ კონკურსში გამოვლენილი ვაჟები მოსამზადებელ ეტაპს ვაკის საცურაო აუზზე გაივლიან, სადაც იცურავენენ და სხეულს გაიუმჯობესებენ. „კიკალა სტუდიო" მათ ფოტოსესიას მოუწყობს, დაუმზადებს პორტფოლიოებს და კონკურსანტთა ფოტოები სპეციალურ ვებგვერდზე განთავსდება. დასკვნითი კონკურსისთვის ვაჟები ქორეოგრაფიაშიც მოემზადებიან, რათა ფინალური შერჩევა უფრო სანახაობრივი გამოვიდეს.

14 თებერვალს საუკეთესო ქართველი ვაჟი „სითი ქლაბში" გამოვლინდება, სადაც კონკურსანტები ავთანდილის კოსტიუმებში იქნებიან ჩაცმული. მოდის სახლი „ავთანდილი" ამ კოლექციას საგანგებოდ კონკურსისთვის ქმნის. ავთანდილის სამოსის გარდა, კონკურსანტები ჟიურის წინაშე ჯინსებით და თავისუფალი სამოსითაც წარდგებიან. ჟიური 16 კონკურსანტიდან შეარჩევს ტოპ ხუთეულს, რომლებიც გააფორმებენ კონტრაქტებს საერთაშორისო სამოდელო სააგენტოებთან, ხოლო გამარჯვებული 10 მარტს კორეაში გაემგზავრება, სადაც 27 მარტს საერთაშორისო კონკურსის „მისტერ მსოფლიო 2010"-ის ფინალური კონკურსი მოეწყობა.

ჯოსვოოდი ა

შვეულად: 1. თურქული აბანო; 2. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ფასიანი ქაღალდების გასაყიდ და საყიდ ფასებს შორის სხვაობა; 5. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 6. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვანი მცენარეების საერთო სახელწოდება; 11. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა; 14. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ბერძნული ცეკვა; 19. ცხვრის, ხბოს ტყავისაგან დამზადებული ღვინის შესანახი ჭურჭელი.

თანაზომილ: 1. ბეჰემოტის მეორე სახელწოდება; 4. ქალთა ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 7. კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის laureატი; 9. მე-14 საუკუნის საფრანგეთის გლეხთა აჯანყების სახელწოდება; 10. სამატომიანი ჟანგბადი; 12. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 16. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი რაჭაში; 17. გაერთიანებული საქფფოს დედაქალაქი; 18. წვრილად დაჭრილი და ერთმანეთში არეული სხვადასხვა ბოსტნეულით მომზადებული ცივი საუზმე; 20. სარწმუნოება ანუ...; 21. ტბა თბილისში; 22. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში.

შეადგინა ბესიკ ბერიძემ



იუმორი

***

— ოფიციანტ, შეგიძლიათ რესტორანში. ბიფშტექსი რომ მომიმზადოთ?
— არა, ბატონო.
— მაშინ, შემწვარი სოკო არაუნიათ?
— არა.
— მაშ, იქნებ ზუთხის მწვადი შეძლოთ?
— არც ეგ.
— აბა, რა შეგიძლიათ?
— შემიძლია შეკვეთა მივიღო, მე ოფიციანტი ვარ და არა მზარეული...

***

სკაიპში
— იცოდე, გაკვირდები.
— მართლა? საიდან?
— ზემოდან.
— მართლა? ახლა რას ვაკეთებ?
— ზემოთ იყურები.
— ვა, სადა ხარ?

***

პაციენტი ექიმთან მივიდა.
— უკანასკნელად როდის იყავით ჩემთან?
— რვა წლის წინ. მაშინ მითხარით, რომ მხოლოდ ნახევარი წელს ვიცოცხლებდი.
— მართლა, როგორც ჩანს, არასწორი მკურნალობა დანიშნავს...

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

ვერძი — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ჯარი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ. **ქალწული** — დაისვენეთ და გაართეთ, ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ. **სასწორი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე კარგად მიდის, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **თხის რქა** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ.

ასტროპროგნოზი
9 თებერვლისთვის

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ხახთ თუ ახა მზად ბავშვისთვის?

ბავშვის დაბადებამდე 2 თვით ადრე

1. ახალი შობებეჭდილებები. დიახ (2), არა (0)
2. სიხარული სახლში.
3. სიყვარულის, სინაზის გამოვლინების საშუალება.
4. იმედი და მშობლების მომავალი.
5. აღმზრდელობითი პოტენციალის გამოვლენის საშუალება.
6. სიცოცხლის არსი.
7. მხიარული თამაშები, შინაარსიანი დასვენება.
8. ბავშვური ალერსი, მშობლების სიყვარული.
9. მშობლების იმედი სიბერეში, ოჯახის ბურჯი.
10. განათლებული, საინტერესო ადამიანი მომავალში.
11. მშობლებში ყოველივე კარგის მემკვიდრე.
12. ყველაზე ახლობელი ადამიანი.

პასუხები

ქალებისათვის ბავშვის ყოლის სურვილის დამადასტურებელია 20 და მეტი, მამაკაცებისათვის 18 და მეტი ქულის მოგროვება.